



- გაღვარჩინოთ სამედიცინო მისია 33.15
- ერთობაში დაკარგულები 33.11
- რუსეთის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია 33.18
- ბელარუსი აფხაზეთითა და ოსეთით ვაჭრობს 33.19
- არჩევნები რუსული აქცენტით 33.21
- ვინ დააზღვევს საქართველოს ჯანდაცვას? 33.35
- ვანო მერაბიშვილი VS მაია გაღვანისვილი 33.10
- გვამური ტრანსპლანტაცია 33.46

ციბუხანი

№ 3 / 17 - 30 ივნისი / 2009

საქართველო 27•33 83

სამართლიანი სასამართლოს მოლოდინები



ფასი 2.80 ლარი



რადიო „უცნობი“ წარმოგიდგინებთ დილის გადაცემას „**დილა მშვიდობისა**“


ნაგა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- კოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- სანიტარულ მოსაზრებები
- SMS გამოქიტხვები
- მაგარი სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800


Skype ID:ucnobidila



www.ucnobifm.ge



ფოტო: ზვიად ნოსტალიზმი



ბარაკანა:
დინანა კ. მურის ქანდაკება
„სამართლის თავი“, ქ. ნიურაქი, აშშ

ფონდ „ლიბერალი“ გამომცემა
ფონდ „ლიბერალი“ გამომცემა -
სამართლის ფონდის მხარდაჭერით.

04 მოკლედ

06 ვრცლად

10 ორი აზრი
ვოლიტეელი სკოლაში
ვანო მერაბიშვილი v.s.
მაია გედევანიშვილი

11 პოლიტიკა
ოპოზიცია
ერთობაში დაკარგულება

13/ რუსეთ-სამართლებლო
ომის მიზეზები
ფაქტების მოძიების
შეუხრულებელი
მისია

15/ თვალსაზრისი
გადავარჩინეთ
სამართლებლო
სამსახურის მისია
ლორენს შიტსი

16/ დამკვირვებლები
კონფლიქტის ზონებში
ბასვლის მოლოდინში

18 მეზობლები
რუსეთი და მსოფლიო
ნატო-ს ჩანაცვლების
რუსული გეგმა

19/ რუსეთ-ბელარუსის
ურთიერთობები
ბელარუსული რძის
აფხაზური ქაფი

21 საქართველო და
კონფლიქტები
აფხაზეთი
არჩევნები რუსული
აქცენტით

23/ ვოლიტიკური
ოპოზიცია ცხინვალში
კოკოთის ოპოზიცია
კლიერდება

24/ საქართველო
ოსი დევნილები

26/ თვალსაზრისი
დაუსრულებელი პროცესი
იმედა დვალაძე

27 სახსრებორტაჟი
სასამართლო რეფორმა

30/ სისხლის სამართლის
კოდექსი
ადვოკატები 371-ე კრიმა
მუხლის წინააღმდეგ

32/ თვალსაზრისი
სამართლიანი
სასამართლოს
მოლოდინი
სოზარ სუბარი

33/ სამართალი და
ადამიანის უფლებები
საკნინო კვლევა

35 საზოგადოება

ჯანდაცვის რეფორმა
ვინ დააზღვევს
საქართველოს
ჯანდაცვას?

37/ განათლება

როგორ მეურვეობენ
სამეურვეო საბჭოები

40/ განათლება

მეთორმეტკლასელები
სკოლიდან მიდიან

42/ მომხმარებლის უფლებები

სასურსათო დილემა

44/ გარემო

შავი ზღვა ისევ შავია

46/ მედიცინა

გვამური
ტრანსკლანტაცია

48/ კულტურული მემკვიდრეობა

დამოგებული ფიროსმანი



გამომცემელი შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი 0162,
ფალიაშვილის ქ. 108.
ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326.
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
დამატებითი: სტამბა შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წარეთლის გაზ.
140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
სხვა გამომცემები: „ცხელი შოკოლადი“,
„ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“,
„გიზნესი: აღამიანები, მეთოდები,
სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები
დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული
მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი
გამოყენება რედაქციის თანხმობის გარ-
ეშე აკრძალულია. ISSN 1987-7528

რედაქცია

ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირის ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერვაშვილი** / ადამსრულეობელი რედაქტორი **ნინო ჯავახიშვილი**
საზოგადოება **თაბარ ბაბუაძე** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭავჭავაძე** / საპარტეზოლო და კონფლიქტები **სოფო ბუჯია** / აღამიანის უფლებები
და საგარეო **ნინო ბაქიშვილი** / კავკასია **მარგარიტა ახვლედიანი** / ახალი ამბები **ნათია ახალავილი**

რედაქცია: არტ-რედაქტორი **მანანა არაგული** / ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე**
/ რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითია**

ადმინისტრაცია: პროექტის მენეჯერი **ქეთი გაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითია**
/ გიზნესის მენეჯერის მენეჯერი **გიორგი კობალიაშვილი** / რეკლამის და გაყიდვების მენეჯერი **ნესტან ავალიანი**
/ IT მენეჯერი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / ოფისის ადმინისტრატორი **ეთუნა ინჰიკიკელი** / დისტრიბუტორი **ზვიად შვებელია**



... და ერთი ჭიქა ღვინო

თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით
მიღებული სიამოვნება.



TBILVINO



ფოტო: REUTERS / რუსთაფლიანი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სამეცნიერო კვლევებისა და ექსპერტების მიერ გაკეთებული ანალიზის საფუძველზე H1N1 ვირუსის პანდემიის დაწყების შესახებ გამოაცხადა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი, მარგარეტ ჩენი ამბობს, რომ „მსოფლიო ახლა გრიპის პანდემიის საწყის ეტაპზე“. დღეისათვის მსოფლიოს 74 ქვეყანაში ვირუსის 30 ათასი შემთხვევა დაფიქსირებულია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინების მწარმოებელ კომპანიებთან და კვლავ არ მიიჩნევს საჭიროდ მოგზაურობის შეზღუდვას და საზღვრების ჩაკეტვას. O



ეროვნულ გვარდიის ახალი მეთაური ჰყავს – ზურაბ არსოშვილი. ახალი თანამდებობის სანაცვლოდ, 31 წლის ზურაბ არსოშვილმა მმართველი პარტიის სიით მოპოვებული პარლამენტის დეპუტატის მანდატი დათმო. მანამდე კი იგი თბილისის მერის მოადგილე იყო, ეკავა სხვადასხვა თანამდებობები ფინანსურ პოლიციასა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში. გვარდიის ახალი მეთაური პროფესიით ისტორიკოსი და სამართალმცოდნეა. O

მოსკოვის გარეუბან „გორკი 2“-ში სპეცოპერაციის შედეგად ე.წ. კანონიერი ქურდი, ქართველი მენარმის გატაცებაში ბრალდებული ტარიელ ონიანი დააკავეს. ამ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. მათივე ცნობით, დაკავებულ ტარიელ ონიანსა და მისი დაცვის წევრებს გატაცებული ბიზნესმენი 2 დღე ტყვეობაში ჰყავდათ და გამოასყიდს ითხოვდნენ; ბიზნესმენმა პოლიციასთან დაკავშირება შეძლო და გამტაცებლებიც ამოიცირო. O

საჩხერის რაიონში, სოფელ პერევის მეზობლად მდებარე ქარძმანში რუსული პოსტის გვერდით ახალი საფუძავო გაიხსნა. რამდენიმე ხნის წინ ქარძმანში 70-მდე ოსი შეიარაღებული პირი შეიჭრა და პირუტყვი გაიტაცა. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის თავდაცვის მინისტრის ოური ტანაევის თქმით, პოსტის გახსნამდე ქართული ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები ამ მონაკვეთზე, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაა, დაუბრკოლებლად მოძრაობდნენ. „აღნიშნული პოსტის გახსნით აღკვეთით ჩვენს ტერიტორიაზე საქართველოს სპეცსამსახურების თავისუფლად გადაადგილებას და ოსი ხალხის მატერიალური სიმდიდრის დატაცებას“, – აცხადებს ტანაევი. ქარძმანში 44 ქართული ოჯახი ცხოვრობს და მათ ჯავის რაიონის დე-ფაქტო ადმინისტრაცია საჩხერის რაიონში გადასვლის საშუალებას აძლევს. O

სამხედრო სწავლება „კავკასია 2009“-ში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 8 500 სამხედრო მოსამსახურე, 200 ტანკი, 450 ერთეული ჯავშანტექნიკა და 250 სხვადასხვა დანიშნულების საარტილერიო მანქანა მიიღებს მონაწილეობას. სწავლებას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, არმიის გენერალი, ნიკოლაი მაკაროვი უხელმძღვანელებს. რუსეთის თავდაცვის უწყების ინფორმაციით, სწავლება ითვალისწინებს, ვითარების გამწვავების შესაბამისად, სამხედრო კონფლიქტში ჯარების პრაქტიკული მოქმედების დახვეწას, კონტრტერორისტული ოპერაციის განხორციელებას და ამ პროცესში ჯარების მართვის დამუშავებას; ტერორისტული ორგანიზაციის წევრთა და ხელმძღვანელთა, მათი ბაზების და მოზადების ცენტრთა განადგურებას. რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ალექსანდრ კოლმაკოვის თქმით, „კავკასია-2009“ საბჭოთა პერიოდის სწავლებების მასშტაბის იქნება, ასევე მანევრებში გაითვალისწინებენ იმ გამოცდილებასაც, რაც ჯარმა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მოქმედებების დროს მიიღო. ჩრდილოეთ ოსეთში სწავლება 29 ივნისს დაიწყება და 6 ივლისს დასრულდება. O



2-თვიანი პაუზის შემდეგ პარლამენტის შენობაში რეგარემე სხდომა ჩატარდა, სადაც დეპუტატებმა 4 საათში განხილეს ამ ხნის მანძილზე დაგროვილი საკითხები და კანონებში 100-მდე ცვლილება შეიტანეს. სხდომა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დაინიშნა. ამავე სხდომაზე საბოლოოდ იურიდიულად გაფორმდა საქართველოს დსთ-დან გამოსვლა; სახალხო დემოკრატულმა გაეზარდა უფლებამოსილებანი; დამტკიცდა კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ახალი წევრის – ირაკლი ჩიქოვანის კანდიდატურა; ასევე პირველი მოსმენით განიხილეს „პატიმრობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც პატიმრობისთვის ხუთდღიან შევებულებებსა და პირობით გათავისუფლების კომისიის შექმნას ითვალისწინებს. O



ნავთობის ფასი ბოლო ორი თვის განმავლობაში სტაბილურად იზრდება და ყოველი ვაჭრობის შემდეგ მაქსიმალურ მაჩვენებელს აღწევს. კუვეიტის ნავთობის მინისტრის შეიხ აჰმედ აბდულა ას-საბაჰის თქმით, Opec-ი ნავთობის მოპოვების მოცულობას მანამ არ გაზრდის, ვიდრე ერთი ბარელი „შავი ოქროს“ ფასი 100 აშშ დოლარს არ მიაღწევს. შეიხი აცხადებს, რომ ნავთობის ამჟამინდელი გაძვირება მხოლოდ დოლარის შესუსტების შედეგია. O

ზუგდიდში 10-11 ივნისს სამი აფეთქება მოხდა. პირველად რკინიგზის სადგურზე გაჩერებული სატვირთო ვაგონი აფეთქდა, სადაც მატარებლის ელექტრიკოსი დაზარალდა, დაახლოებით ნახევარ საათში სადგურში სანაგვე ურნა აფეთქდა, ბოლოს კი – შს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს ერთ-ერთი ქვედანყოფილების წინ მდგომი ავტომანქანა. შს-ში აცხადებენ, რომ „აღნიშნული აფეთქებები მათი ნამოქმედარია, ვისაც არ სურს ამ რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა იყოს“. O

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე.



ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 18,40 ლარი

13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი

25 ნომერი (1 წელი) – 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

23 37 31, (877) 78 78 05

ან მოგვანოდათ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge



შემოსავლები მსირღება, ბიუჯეტი იზრდება

მთავრობა 2009 წლის ბიუჯეტში აღმინისტრაციულ ხარჯებს 20 მილიონი ლარით ამცირებს. სახელმწიფო უწყებები კი, ჯამში, 100 მილიონი ლარით ნაკლებს მიიღებენ. **მაია ლემეტრაშვილი**

მთავრობა ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებებს ამზადებს. ქვეყნის ბიუჯეტი 312 მილიონი ლარით იზრდება და 7,168 მილიარდ ლარს მიაღწევს. ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, რომ არა აპრილში სამემოსავლო გეგმის – 450 ათასი ლარით, მასში კი 7,1 მლნ. ლარით გარღვევა.

„გლობალური კრიზისის გავლენის შედეგად საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა და ფულადი გზავნილები შემცირდა, შეფერხდა ინვესტიციების შემოდინება. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ეკონომიკური აქტიურობა კიდევ უფრო შეამცირა და ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი დანაკარგები მიიღო“, – განმარტავს ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი.

საგადასახადო შემოსავლების შემცირების გამო, კორექტირებულ ბიუჯეტში 372,644 მილიონი ლარით ნაკლები შემოსავლის მიღება დაიგეგმა. საბიუჯეტო შემოსავლების კლებამ ბიუჯეტის შესაძლო სეკვესტრის მოლოდინი გააჩინა. ფინანსთა მინისტრი საგადასახადო შემოსავლების კლების ფაქტს არ მალავს, თუმცა სეკვესტრს გამოირიცხავს.

ბიუჯეტის ზრდა ნაწილობრივ არასაგადასახადო შემოსავლების (სალიცენზიო და სხვა მოსაკრებლების) ხარჯზე იგეგმება. მათ შორისაა ფიჭური კავშირგაბმუ-

ლობის კომპანიების „ჯეოსელისა“ და „მაგთიკომის“ მიერ 10-წლიანი ლიცენზიების შექმნით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები. „მაგთიკომმა“ ახალი ლიცენზია 2009 წლის მაისში 36,9 მლნ. ლარად შეიძინა. პირობების თანახმად, ლიცენზიის ღირებულება 2 თვეში უნდა დაფაროს. რაც შეეხება „ჯეოსელს“, მას სინშირით სარგებლობის ვადა 2009 წლის აგვისტოში ეწურება. ვადის გასაგრძელებლად საჭირო 39,3 მილიონი ლარი ბიუჯეტის ცვლილებაში უკვე გათვალისწინებულია.

ამას ემატება ნავთობისა და გაზის მოპოვების ლიცენზიების 57,7 მილიონ ლარად გაყიდვით მიღებული შემოსავლები.

ლარის დოლართან მიმართ კურსის ცვალებადობის შედეგად ეროვნული ბანკის მოგებიდან ბიუჯეტი დამატებით 50 მლნ. ლარს მიიღებს.

საბიუჯეტო შემოსავლების მიღების ახალი, კარგად დაფინანსებული გზა სახაზინო ვალდებულებების ემისია. სახელმწიფო ბანკებისათვის სახაზინო ვალდებულებების მიყიდვით 260 მილიონი ლარის მიღებას ვარაუდობს. ბაინდურაშვილის თქმით, გლობალური კრიზისის პირობებში, ბანკები სესხების გაცემისას ფრთხილობენ, თუმცა ლიკვიდურობა ჭარბი აქვთ. ეს ოპერაცია კი ბანკებისთვის მიმზიდველია, რადგან მათ უფრო გარანტირებული და მეტად შემოსავლიანი

აქტივების შექმნაში დაეხმარება. სახელმწიფო ფასიან ქალაქებში თანხის დაბანდება, თუნდაც მინიმალური სარგებლით, ნებისმიერი ბანკისთვის მისაღებია, რადგან ამ დროს ბანკი არაფერს რისკავს.

ეკონომიკის ექსპერტის, ლადო პაპავას თქმით, 260 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ქვეყანაში იგივე რაოდენობის ლარის საკრედიტო რესურსის შემცირებას გამოიწვევს. „ბანკებიდან სესხის აღება ისედაც გართულებულია და ამით საკრედიტო რესურსი უფრო გაძვირდება. სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით ბანკებს არსებობა უადვილდებათ, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა ამ საკრედიტო რესურსს დაკარგავს და თან იმ პირობებში, როდესაც კრიზისული ვითარებიდან გამოსავალს ვეძებთ“, – განმარტავს პაპავა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მოზიდული თანხებით ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტები: გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალ-კანალიზაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების რეაბილიტაცია დაფინანსდება. ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები კი დამატებით 38,7 მლნ. ლარს მიიღებს.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 2,5%-იანი ეკონომიკური ზრდითა და 7%-იანი ინფლაციით დაიგეგმა, თუმცა კრიზისის ფონზე მთავრობამ ამ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს გადახედა და მშპ-ს ზრდის საპროგნოზო მოცულობა 1,5%-იანი კლებით შეიცვალა, ინფლაცია კი 3%-ით დაიგეგმა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საპროგ-

სხვაობა დამატებული ბიუჯეტსა და ცვლილებების პროექტს შორის

	დამატებული ბიუჯეტი	ცვლილებების პროექტი	სხვაობა
შემოსავლები	5,51 მლრდ. ლარი	5,137 მლრდ. ლარი	- 372,644 მლნ. ლარი
ბალანსადაც	4,76 მლრდ. ლარი	4,26 მლრდ. ლარი	- 500 მლნ. ლარი
ბრუნება	444,971 მლნ. ლარი	555,474 მლნ. ლარი	110,503 მლნ. ლარი
სხვა შემოსავლები	305,19 მლნ. ლარი	322,042 მლნ. ლარი	16,852 მლნ. ლარი
არაფინანსური აქტივების კლება (სახელმწიფო ქონების ბასეისადაც მთლიანი სახარჯები)	78,3 მლნ. ლარი	213,25 მლნ. ლარი	134,95 მლნ. ლარი
ფინანსური აქტივების კლება (სახელმწიფო ქონების შემანაწი მთავრობის სახარჯები)	731,345 მლნ. ლარი	783,322 მლნ. ლარი	51,976 მლნ. ლარი
ვალდებულებების ზრდა (საბარეო და შიდა ვალი)	536,582 მლნ. ლარი	1,034 მლრდ. ლარი	497,921 მლნ. ლარი
ამჟამინდელი ვალდებულებები	00	260 მლნ. ლარი	260 მლნ. ლარი
სულ საფინანსო რესურსი (ბიუჯეტი)	6,856 მლრდ. ლარი	7,168 მლრდ. ლარი	312,204 მლნ. ლარი

2009 წელს საინფორმაციო და სახელმწიფო დანაშაულებას დაფინანსება თითქმის 100 მილიონი ლარით უმცირდება

საინფორმაციო/დანაშაულება	თანხა
თავდასვის საინფორმაციო	45 მლნ. ლარი
ფინანსთა საინფორმაციო	19 მლნ. ლარი
კრიზისული მართვა/რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის საინფორმაციო	9,5 მლნ. ლარი
გარეო ურთიერთობების და უსაფრთხოების საინფორმაციო	3,6 მლნ. ლარი
სოფლის მეურნეობის საინფორმაციო	1,9 მლნ. ლარი
მთავრობის ადმინისტრაცია	1 მლნ. ლარი
სხვადასხვა ორგანიზაციების დაფინანსება	17,4 მლნ. ლარი
სულ	99,1 მლნ. ლარი

ნოზო მაჩვენებელიც 1,7 მილიარდი აშშ დოლარიდან 1,1 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა.

„ქამრების შემოჭრის პოლიტიკა“ ცალკეულ სამინისტროებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებზეც აისახა, რომელთაც საერთო ჯამში დაფინანსება თითქმის 100 მილიონი ლარით შეუმცირდათ.

ბიუჯეტის კორექტირების პროექტი ექსპერტ დავით ნარმანიას ოპტიმიზმის საფუძველს არ

აძლევს. მას მიაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაზრდილი ბიუჯეტი, არა შემოსავლების ზრდის, არამედ არსებული ფულის საბიუჯეტო მუხლებს შორის გადანაწილების ხარჯზე დაგეგმა. ნარმანიას არ მოსწონს სახაზინო ვალდებულებების გამოშვების იდეა და მიაჩნია, რომ დამატებით აღებული შიდა ვალით, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ნაცვლად, მთავრობა მიმდინარე

საბიუჯეტო ხარჯებს გაისტუმრებს. „260 მლნ. ლარით ინფრასტრუქტურული პროექტები რომც დაფინანსდეს, ეს ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემაა, ერთგვარი პიარ-კამპანია“, – მიაჩნია ნარმანიას.

კანონპროექტის კანონად ქცევა იმაზე და მოკიდებული, თუ როდის მოახერხებს პარლამენტი შეკრებას, მის განხილვას და შემდეგ დამტკიცებას. **0**



ახალი თბილისი

ახალი გენერალური გეგმა, რომელსაც არქიტექტორები ძალაძის პასპორტსა და კონსტიტუციასაც უწოდებენ, თბილისის იერსახეს ძირფესვიანად შეცვლის.

ნათია ახალავილი

თბილისის საკრებულომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა დამტკიცა. ბოლო, 1971 წელს მიღებულ გეგმას ვადა ჯერ კიდევ 9 წლის წინ გაუვიდა.

„სამართლებრივად ამ რუკამ სულ სხვა შინაარსი შეიძინა. ეს არის ახალი ტიპის იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ძალიან გამჭვირვალეა და ინტერაქტიული. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ნახოს იგი მერიის ვებ-გვერდზე“, – აცხადებს გენგეგმის კოორდინატორი პაპუნა ძიძიგური, თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

არქიტექტორები გენგეგმას ქალაქის პასპორტსა და კონსტიტუცია-

საც უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მისი დამტკიცება მნიშვნელოვანი ფაქტია.

„გენერალური გეგმის გარეშე ყოფნა იგივეა, რაც კონსტიტუციის გარეშე ცხოვრება. კონსტიტუციის გარეშე ყოფნას კი ცუდი კონსტიტუციით ყოფნა ჯობს. ჩვენ დეველოპერები ვართ და ამ გეგმის დამტკიცებამ ბევრი უაზრო და უშედეგო შეკითხვა აგვარიდა. პროექტთან დაკავშირებით ძალიან ბევრი შენიშვნა გექონდა, ბევრი გათვალისწინებულია, ზოგიერთი კი სამსჯელოა. მთავარია, რომ ძირითადი არტერიები და ტენდენციები იყოს ჯანსაღი. რა თქმა უნდა, გენგეგმას ოპონენტებიც ბევრი ეყოლება“, – აღნიშნავს „არსის“ დამფუძნებელი, არქიტექტორი გია აბულაძე.

ახალი გენგეგმის მიხედვით, თბილისში ბევრი ცვლილება დაგეგმილი. სამრეწველო ზონა მომავალში ქალაქის გარეუბანში განვითარდება (აეროპორტთან, ლილოს ტერიტორიაზე), რკინიგზის ცენტრალური სადგური კი თბილისის ზღვაზე გადავა. შესაბამისად, გამოთავისუფლდება დიდუბე-ნაძალადევის გამყოფი, რკინიგზის ინფრასტრუქტურით დაკავებული საკმოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ახალი გეგმით მრავალფუნქციური საქალაქო ცენტრის განთავსებაა გათვალისწინებული.

პაპუნა ძიძიგურის თქმით, რკინიგზის სადგურები აღმოსავლეთით – ნავთლულში, ხოლო დასავლეთით დიდუბეში დარჩება, მცხეთასა და გარდაბანს შორის კი თანამედროვე ტიპის ტრამვაი – „ეურო-თრემი“ იმპორტავს, რომელიც გარდაბანში აეროპორტის გავლით ჩავა.

ახალი გენ-გეგმით, რეკომენდირებულია ორთაჭალაჰესის გაუქმება და მტკვრის დონის 4 მეტრით აწევა, რაც სანიღვრე ქსელის მუშაობას გააჯანსაღებს. გეგმაში ასევე აღნიშნულია, რომ თბილისს გაზის სარეზერვო მინისტევემა საცავი უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, ერთი კვირის მარაგით.

აუცილებელ საკითხთა ნუსხაში შევიდა სხვადასხვა გზატკეცილსა და მაგისტრალზე უწყვეტი მოძრაობის უზრუნველყოფა. ეს ახალი სატრანსპორტო კვანძების მოწყობასაც გულისხმობს (ალმაშენბლის ძეგლთან), ზოგან ხიდების გაგრძელებას (ვახუშტის ხიდის მიმართულების გაგრძელება ცოტნე დადიანის გამზირამდე), ზოგან კი – ახალი გვირაბებისა და გზების გაყვანას. **0**



ახალი მაგისტრალი

თბილისის მერი ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ურბანულ პროექტს საჯარო დისკუსიის გარეშე წარმოგვიდგინს. ნათია ახალავილი



თბილისის საკრებულოს ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე ახალი მაგისტრალის მშენებლობის პრეზენტაცია შეხვედრის ყველაზე საზეიმო ნაწილი იყო. ეკრანზე პროექტის წარდგენის პარალელურად, ქალაქის მერმა განაცხადა, რომ მაგისტრალი, რომელიც გმირთა მოედანსა და თამარაშვილის ქუჩას (ვაკე-საბურთალოს გადასასვლელი გზა) შეაერთებს, „ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტია, რომელიც მოძრაობას განტვირთავს“.

წელს ამ პროექტისთვის დედაქალაქის 64 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტიდან 30,8 მილიონი ლარი გამოიყოფა.

თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი გიორგი ლიპარტია განმარტავს, რომ 4,5-კილომეტრიანი მაგისტრალი დაიწყება გმირთა მოედნიდან, გაივლის ზოოპარკის მიმდებარე ფერდობს, გაჰყვება მდინარე ვერეს ხეობას და შეუერთდება თამარაშვილის ხეივანს. ზოოპარკთან გზა ორდონიანი იქნება, „მზიურიდან“ კი – ერთდონიანი და ოთხზოლიანი მაგისტრალით გაგრძელდება. „მზიურთან“ გზა უშუალოდ მდინარის თავზე გაივლის, აქედანვე გადავა ერთ-ერთი მონაკვეთი ხილიანზე.

მუშა-პროექტს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს „საქგზა მეცნიერება“ აკეთებს. უგულავასა და ლიპარტიასგან განსხვავებით, კომპანიის დირექტორი თამაზ შილაკაძე აცხადებს, რომ ჯერ დაზუსტებული არაა, კონკრეტულად რა ადგილებზე გაივლის მაგისტრალი. „ჯერ გასაკეთებელია ზუსტი სქემა, ამაზე ვმუშაობთ. პარალელურად ვხვდები მოსახლეობასაც, ზოგს

მოსწონს ახალი პროექტი, ზოგი – წინააღმდეგია“, – დასძენს შილაკაძე.

ხილიანი „მზიურის“ ტერიტორია, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს გამო, ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი იყო ბინის შექმნის მსურველებისთვის. რამდენიმე წლის წინ ამ ტერიტორიაზე გაშენებული „არსის უბნის“ მთავარი პლუსიც ასე განისაზღვრა – მწვანე და მყუდრო უბანი თან ქალაქის ცენტრში, თან – ქალაქის მთავარი მაგისტრალისგან მოშორებით.

თუმცა მას შემდეგ, რაც აქ ერთ-ერთ ყველაზე „მასშტაბურ მშენებლობად“ გამოცხადებული პროექტი დაიწყება, არ არის გამორიცხული, მოსახლეები, დიდი მაგისტრალის ხმაურის გარდა, მწვანე საფარის შემცირებამაც შეაწუხოს.

ქალაქის მერმა საკრებულოში გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ „უკვე დასრულებულია პროექტის ეკოლოგიური შესწავლა“. თუმცა, პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილემ, თემურ უძილაურმა „ლიბერალთან“ საუბარში განმარტა, რომ ამ ეტაპისთვის მხოლოდ ზოგადი კვლევის შედეგებია მზად. მისი თქმით, შესწავლის პროცესშია ეკოლოგიური საკითხებიც.

თამაზ შილაკაძის თქმით, მხოლოდ დეტალური სქემის მომზადების შემდეგ გაკეთდება პროექტის ეკოლოგიური პასპორტი. „მანდ რომ გზა იქნება, ეჭვი არავის შეეპაროს და, ეკოლოგიურადაც რომ გამართლებული იქნება, არც ამაში დაეჭვდეს ვინმე“, – აცხადებს იგი.

მერი ამბობს, რომ მშენებლობა 1 აგვისტოს დაიწყება. თამაზ შილაკაძე კი აცხადებს, რომ ამ დროისთვის

მხოლოდ მუშა-პროექტის მცირე ნაწილი ექნება მზად. თუმცა „ეს პირველი მონაკვეთი რომელი იქნება, ჯერ არ ვიცით, შეიძლება პროექტი-რება და მშენებლობა შუაგულიდანაც დავიწყოთ“.

თუმცა, მშენებლობის დაწყებამდე, გარემოზე ზემოქმედების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან ნებართვის აღებაა საჭირო. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა და მას მინიმუმ 80 დღე სჭირდება. ეს პროცედურა კი შემდეგი ეტაპების გავლას გულისხმობს: გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადებას, მისი საჯარო განხილვის შესახებ მედიაში განცხადების გაკეთებას, საჯარო განხილვას, შენიშვნების მიღებას, დისკუსიის შედეგების შესახებ ოქმის შედგენას და, შენიშვნების უარყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტილების წერილობით არგუმენტირებას.

ამ 80 დღეში შედის უშუალოდ ნებართვის გაცემისთვის საჭირო 20 დღეც, რომელსაც სამინისტრო პროექტის განსახილველად იღებს. ჩვენ სამსახურს ასეთი ნებართვისთვის რომ მომართონ, ყველა წინა ეტაპი გავლილი უნდა ჰქონდეთ. მსგავსი საბუთი ან შეკითხვა ჩვენ სამსახურს არ მიუღია“, – განმარტავს ნიკა ჭახნავია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სანებართვო განყოფილების უფროსი.

თამაზ შილაკაძის თქმით, ეკოლოგები პროექტის მონაცემების დაანგარიშებას „2-3 დღეში დაიწყებენ“. იგი დარწმუნებულია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროსგან ნებართვის აღებას იოლად შეძლებს.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის – CENN-ის პროგრამების მენეჯერის, კახა ბახტაძის აზრით, პროცესის დახურული წარმართვით ირღვევა, როგორც საქართველოს კანონი, ისე ორჭუსის საერთაშორისო კონვენცია, რომლის თანახმად, ყველანაირ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ნებისმიერ ადამიანს უნდა მიუწვდებოდეს ხელი.

„მთელ მსოფლიოში ცდილობენ, რომ პარკებს ქალაქებში დიდი ფართობი დაუთმონ, რათა მათ ჰაერის გამწმენდი ფილტრის ფუნქცია

შეასრულონ. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ზოოპარკი და „მზიური“ ამ ფუნქციას დაკარგავს. ქალაქში, რომელშიც ისედაც არ ხდება ჰაერის მონიტორინგი, ავტომობილებს კი ტექნიკური დათვალიერება არ უტარდებათ, რეკრეაციული ზონების შემცირება კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას“, – დასძინა CENN-ის წარმომადგენელი.

თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თქმით, ზოოპარკსა და „მზიურს“ ეს პროექტი არ შეეხება. „გამოიძენა ალტერნატივა, რომლითაც არავის ტერიტორიას არ ვეხებით და არ ვაზიანებთ არც ერთ დასახელებულ პარკს. მაგისტრალი „მზიურთან“ უშუალოდ მდინარე ვერეს კალაპოტზე გაივლის“, – აცხადებს იგი.

საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის ფაქტიც, რომ გმირთა მოედნისა და თამარაშვილის დამაკავშირებელი მაგისტრალის პროექტი რამდენიმე დღით ადრე დამტკიცებულ თბილისის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული არაა. „პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, ამ სარეკრეაციო ზონაში გზის გაყვანა დაშვებულია. როდესაც საკრებულო გენ-გეგმაში შესწორებებს დამტკიცებს, დამტკიცდება ეს პროექტიც“, – აღნიშნავს თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი მურღულია.

გიორგი ლიპარტია აცხადებს, რომ დათვლილია მანქანების მოძრაობა, ნაკადები და, ამ ცნობებიდან გამომდინარე, პროექტს ალტერნატივა არ აქვს: „პროექტი რომ დასრულდება, მოსახლეობა დაინახავს, რამდენად განიტვიტრება ქალაქის ორი ცენტრალური უბანი. ზოგადილას საჭირო იქნება ესტაკადა, ზოგან ხიდი, ზოგან კი მაგისტრალი მინაზე გაივლის“.

პროექტი 2010 წელს უნდა დასრულდეს. ღირს თუ არა საგზაო საცობების აღმოფხვრა სარეკრეაციო ზონების ხარჯზე, თბილისელთა გადასანწყვეტია, თუმცა ქალაქის ყველაზე მასშტაბური მაგისტრალის მშენებლობას მერია საჯარო განხილვის გარეშე იწყებს. **0**

სამაგისტრო გამოცდაები

წელს პირველად სამართო სამაგისტრო გამოცდას 6000-მდე სტუდენტი ჩააბარებს. **ანიტა თვაშური**

აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სამაგისტრო პროგრამებში მოხვედრის მსურველებს ორი ეტაპი ექნებათ გასაველი: საერთო სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. პირველს გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს, მეორეს – უმაღლესი სასწავლებელი.

სტუდენტის უნარების შემოწმების აუცილებლობას საბაკალავრო კურსის დაწყების წინ და დასრულების შემდეგ საგამოცდო ჯგუფის წევრი დავით გაბელაია ასე ხსნის: „სახელმწიფო აძლევს აკრედიტაციას უნივერსიტეტს, უნივერსიტეტი გაცემს მაგისტრის დიპლომს, ამიტომ სახელმწიფო პასუხისმგებელია ხარისხზე, ამ ხარისხის მინიმალური დონის უზრუნველყოფის მექანიზმი კი საერთო სამაგისტრო გამოცდები იქნება“.

გამოცდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საუკეთესო კანდიდატების შერჩევაში დაეხმარება. საერთო სამაგისტრო გამოცდები ძველ ტრადიციასაც მოსპობს, რომლის მიხედვითაც, ზოგიერთი სასწავლებლის მთავარი ინტერესი სტუდენტის მიღებისას ფინანსური შემოსავალი იყო და არა მომავალი მაგისტრანტის მომზადების დონე.

საერთო სამაგისტრო გამოცდას, უცხოური ანალოგების, GRE, GMAT და LSAT ტესტების საფუძველზე, გამოცდების ეროვნული ცენტრის საგამოცდო ჯგუფი სამი წლის განმავლობაში ამუშავებდა. ტესტის ქართული მოდელის შექმნისას მთავარი სირთულე იყო საერთო ტესტის ყველა სპეციალობისთვის მორგება. ტესტების დახვეწაში ჯგუფს პროექტის პილოტირება დაეხმარა: უკვე მესამე წელია, რაც ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ტიპის გამოცდით იღებს მაგისტრანტებს.

ტესტი ოთხი ნაწილისგან შედგება: ნაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური

მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა.

თვალის ერთი გადავლებით შეიძლება გაგიჩნდეთ ეჭვი, რომ სამაგისტრო ტესტები ძალიან ჰგავს ზოგადი უნარების ტესტებს, რომელთაც აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ. თუმცა, როგორც დავით გაბელაია გვიხსნის, ამ ორ ტესტს შორის უმთავრესი განსხვავება სირთულის დონეა. ზოგადი უნარებისგან განსხვავებით, სამაგისტრო გამოცდა „ანალიტიკური წერის“ უნარსაც ითვალისწინებს. გარდა ამისა, თუ ეროვნულ გამოცდაზე 100 კითხვიდან 15 სწორი პასუხი ზღვარის გადალახვას ნიშნავს, სამაგისტრო გამოცდის დროს ეს ზღვარი საერთო ტესტიდან 25%-ზე სწორი პასუხის გაცემას გულისხმობს.

საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების გათვალისწინება 2010 წლიდან ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის სავალდებულო გახდება. თუმცა წელს არჩევანის უფლება მხოლოდ კერძო სასწავლებლებს მიეცათ.

უურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა ერთ-ერთია იმ უნივერსიტეტებს შორის, რომელმაც უარი განაცხადა და წლევანდელ საერთო სამაგისტრო პროგრამაში ჩართვაზე. „ჩავთვალეთ, რომ აბიტურიენტები ვერ მოასწრებდნენ მობილიზებას, განსაკუთრებით, ჰუმანიტარულ დარგებში“, – აცხადებს უნივერსიტეტის დეკანი მია მიქაშვიძე.

საერთო ჯამში, საერთო სამაგისტრო გამოცდებს უნივერსიტეტები დადებითად აფასებენ. საერთო სამაგისტრო გამოცდა 8 და 10 ივლისს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის საგამოცდო ცენტრებში ჩატარდება. **0**



მომხრა
ვანო მერაბიშვილი
შინაგან საქმეთა მინისტრი

როდესაც მინისტრი გავხდით, აქტუალური იყო კანონიერ ქურდებთან, ყაჩაღობასთან და ადამიანის გატაცებასთან ბრძოლა. ეს უკვე წარსულშია. დღეს ჩვენი, ისევე, როგორც ყველა ნორმალური სახელმწიფოს პოლიციის მიზანია არა მხოლოდ დამნაშავეს დაკავება, არამედ დანაშაულის პრევენცია.

15 წელია, პოლიციელი სკოლაში არ შესულა და ვნახეთ, რა მოიტანა ამან. სკოლებში ხშირია ძალადობის, ერთმანეთის ჩაგვრის, ნარკოტიკების მოხმარების, ჩხუბის და ცივი იარაღის გამოყენების ფაქტები.

შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით, საქართველოს ყველა სკოლაში 70 000 წერილი გავაგზავნეთ. მასწავლებლებს პოლიციასთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობა შეეთავაზეთ. სამინისტრომ 30 000-მდე პასუხი მიიღო. ეს ნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე მასწავლებლებისა და სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლობა შედგა – შემდეგი ეტაპი თითოეული მასწავლებლისა და უბნის ინსპექტორის ინტერაქციაა.

ფაქტია, რომ ხშირად მობელი, ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, უძლიერა საკუთარი შვილის პრობლემების მოგვარებისას. ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელშიც თბილისის მასშტაბით 15-17 წლის 500 ახალგაზრდის მშობელი მონაწილეობდა. უბნის ინსპექტორები დაუკავშირდნენ იმ ახალგაზრდების მშობლებს, რომლებიც „მოკრიმინალო ელემენტებთან“ მეგობრობდნენ და დიდი ალბათობა იყო, რომ ნარკოტიკების მოხმარებას იწყებდნენ, იცვამდნენ ძველი ტყურად, ატარებენ დანას. სპეციალურად მომზადებულმა უბნის ინსპექტორმა მათ მშობლებს შვილების პრობლემების ერთობლივად მოგვარება შესთავაზა. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მშობელი ნეგატიურად შეხვედროდა უბნის ინსპექტორის ჩარევას. ექსპერიმენტმა გაამართლა და ამ ტიპის მუშაობა მალე თბილისის გარეთაც დაიწყება.

500 ახალგაზრდიდან 50 მაინც რომ აცდეს დანაშაულს და მისი ცხოვრება გაუმჯობესდეს, ჩვენთვის ეს უფრო დიდი მიღწევა იქნება, ვიდრე 5000 დამნაშავეს დაჭერა. სტატისტიკა მხოლოდ ციფრებია და უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ თუნდაც რამდენიმე ახალგაზრდა, მშობლის და პოლიციის თანამშრომლობის შედეგად, დაადგეს სწორ გზას.

იმის ალბათობა, რომ დაჭერილი ადამიანი ციხიდან უკეთესი გამოვა, ძალიან დაბალია. ამიტომ, დანაშაულის თავიდან აცილებაში სამართალდამცავებს არა მხოლოდ მასწავლებელი ან მშობელი, არამედ თითოეული მოქალაქე უნდა ეხმარებოდეს. ეს ძალიან ბუნებრივი პროცესია. **o**



მონინალმღვა
მანია გელაშვილი
ომბუდსმენის ოფისის ბავშვთა უფლებების ცენტრის მთავარი სპეციალისტი


თუ მოხდა დანაშაული, ყველა მოქალაქე ვალდებულია, შეატყობინოს პოლიციას, მაგრამ როგორ უნდა ვეძებოთ ჯერ ჩაუდენელი დანაშაული სკოლაში? თუ გარდატეხის ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი გამომწვევი, ხშირად პროვოკაციული ქცევა, მათი ჩაცმის უცნაური მანერა და ხმამაღალი საუბარი დანაშაულის ჩადენის უეჭველ ნიშანპირობად მივიჩნიეთ, ვერაფერს მივალწვეთ.

როცა აღმზრდელობით პროცესზე საუბარი, აქ სიფრთხილეა საჭირო. სკოლის ასაკისთვის დამახასიათებელი პრობლემების მოგვარებაში მოზარდებს მშობლები და მასწავლებლები უნდა დაეხმარონ. გარდა ამისა, საჭიროა მოზარდებში აგრესიის მიზეზების ძიება და მათი განეიტრალება, ეს კი პოლიციის საქმე არ არის. ეს სკოლის ფსიქოლოგმა უნდა გააკეთოს. ამისათვის ძალიან შრომატევადი სამუშაო გასაწევი და მიმართა, რომ თუ ჩვენი მიზანი მოზარდებში ძალადობის დაძლევაა, უბნის ინსპექტორების სკოლებზე მიმავრება, მათი საგანგებო მომზადების გარეშე, ნაჩქარევი და ნაკლებად ეფექტური გზაა. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ბავშვის ინტერესებიდან და არ უნდა დავუკარგოთ მას ნდობა იმ სპეციალური ავტორიტეტების მიმართ, როგორებიც უნდა იყვნენ მშობელი და მასწავლებელი.

საინტერესოა, გამოიკითხეს თუ არა ბავშვების აზრი მასწავლებლებისა და პოლიციელების თანამშრომლობის შესახებ? ან ვინმემ თუ აუხსნა მათ, რა არის ამ ინიციატივის შინაარსი და მიზანი? ბავშვის პიროვნული ჩამოყალიბების ასაკში მისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ენდობოდნენ და ითვალისწინებდნენ მის აზრს. მოზარდების პროტესტს და აგრესიულ ქცევას ხშირად სწორედ ის გარემოება იწვევს, რომ უფროსები მათ პრობლემებს მათი მონაწილეობის გარეშე განიხილვენ და ასე იღებენ გადაწყვეტილებებს.

სამწუხაროდ, მასწავლებლების დიდი უმრავლესობა არ არის სათანადოდ მომზადებული მოზარდებთან სწორი ურთიერთობისთვის. ასეთი მომზადება არ აქვთ არც პოლიციელებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთლიანად უნდა შეიცვალოს სამართალდამცავი ორგანოების დამოკიდებულება მოზარდების მიმართ. სანამ ეს არ მოხდება, პოლიციელის შესვლა სკოლაში გაუმართლებლად მიმაჩნია. **o**



პოლიციელი სკოლაში

/11 ერთობაში დაკარგულები **/13** ფაქტების მოძიების შეუსრულებელი მისია
/15 გაღაპარჩინოთ საქართველოს სემპედილოზო მისია **/16** გასვლის პოლოდინეზი



ფოტო: REUTERS / სტრინგერები

■ ოპოზიციის ლიდერები დემონსტრაციაზე

ოპოზიციის ერთობაში დაკარგულები

ოპოზიციური ნიშა, რომელიც კონსერვატიული, კრძნისიანი და ავტორიტარული იდეებს ეძღვნება, ჯერ ისევ თავისი ადგილზეა. >>

სოფო ავაქი

უკვე მეორედ, საზოგადოების ერთი ნაწილი ირაკლი ალასანიასგან კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას ელის. პირველი ხელისუფლებისგან გამიჯვნა იყო. გაერო-ში საქართველოს ელჩისგან ამ გადაწყვეტილებას გაცილებით ადრე ელოდნენ, ვიდრე მან ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა.

მისგან დღესაც გამიჯვნას მოითხოვენ, ამჯერად – რადიკალური ოპოზიციისგან. „მე ჩემი ხედეა, ჩემი გზა შევთავაზებ ოპოზიციას. მე არავის ვემიჯნები. ვინც თავად გამიჯნება ამ გზას, ეს მისი გადასაწყვეტია“, – აცხადებს „ალიანსი – საქართველოსთვის“ ლიდერი 11 ივნისის „ლიბერალთან“ ინტერვიუში.

ალასანიას რეიტინგი დღეს ოპოზიციის ლიდერთა შორის ყველაზე მაღალია. „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ კვლევის თანახმად, კითხვაზე – „ვინ გინდათ იხილოთ საქართველოს მომავალ პრეზიდენტად“ – გამოკითხულთა უმრავლესობამ ირაკლი ალასანია დაასახელა. 9 აპრილის აქციების დანებებამდე მთავარი მოლოდინები სწორედ მას უკავშირდებოდა. ცუდი პოლიტიკური წარსულისგან თავისუფალ ალასანიაში პოტენციურ ლიდერს

ხედავდა ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების როგორც რადიკალური, ისე ზომიერი ფრთა. საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილის ვადამდე ალასანიასი „შეცვლა“ ამერიკაში უკვე გადაწყდა და ქუჩის აქციებში ყოფილი ელჩის მონაწილეობა მხოლოდ აუცილებელი ფორმალობა იყო. თუმცა, ნაცვლად ამისა, ალასანიასგან მხოლოდ ის ისმის, რომ მიზანს ერთ დღეში ვერ მიაღწევ.



გალალი რეიტინგის მიუხედავად, ირაკლი ალასანიას პრეზიდენტის პოსტს ის, რას მის კონკურენტებს - ის არს „ხალხური“ ლიდერია და არს პოლიტიკური გაემოსლილებისა და ფინანსური რესურსის მქონე ფიგურა.

ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო საზოგადოების ის ნაწილი კი, რომელსაც კონსპირაციული თეორიების არ სჯერა და ხელისუფლების რეველაციის გზით დამხობის წინააღმდეგია, ფიქრობდა, რომ ალასანია იქნებოდა ის, ვინც ზომიერ და ეფექტურ ოპონირებას გაუწევდა ხელისუფლებას. თუმცა, ალასანიამ ვერც მათი იმედები გაამართლა, რადგან პოლიტიკური ბრძოლის საკუთარ გზას სხვის თამაშში ჩაბმა არჩია.

„არ ვიცი, სხვას რას ელოდა საზოგადოების ის ნაწილი ჩემგან, რომელსაც მოლოდინი გაუქარხნელე. ეს პროცესი აუცილებლად გასაველი იყო. ეს ორი თვე წარუმატებელ პერიოდად არ მიმაჩნია“, - აცხადებს ირაკლი ალასანია.

ალასანიას ორ ფრონტზე თამაშის ნათელი დადასტურება საკონსტიტუციო კომისიის მიმართ მისი დამოკიდებულება. ერთი მხრივ, ის ამბობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტზე მისი გუნდი იმუშავებს და მუშაობის შედეგს კომისიას გადასცემს. მაგრამ, მეორე მხრივ, ის არ ემიჯნება საერთო ოპოზიციურ აზრს, რომ მთავრობის ნებისმიერ შემოთავაზებაზე უარი უნდა თქვან. და კომისიის წევრობაზე ალასანიას პოლიტიკური გუნდი არ თანხმდება.

„საქართველოში დაბრუნების შემდეგ ირაკლი ალასანიას პოლიტიკურ ბიოგრაფიაში კონკრეტული არაფერი ჩანერილა, - ამბობს გია ნოდია, - პოზიტიური მხოლოდ ის არის, რომ მას ჯერ სისულელე არ უთქვამს და საკუთარი იმიჯის საზიანოდ არაფერი ჩაუდენია“.

„ლიბერალთან“ ინტერვიუში ალასანია ამბობს, რომ პოლიტიკური პროცესი მხოლოდ ახლა იწყება: „დღეიდან ჩვენ ბრძოლის ახალ ეტაპს ვინწყებთ. ამას უკავშირდება ჩემი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბება.“ „ალიან-

სი საქართველოსთვის“ ლიდერი საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნას გულისხმობს, რომლის პრეზენტაციაც, სავარაუდოდ, ივლისის დასაწყისში გაიმართება. ალასანიას იმედი აქვს, რომ ბრძოლის ახალი ეტაპი გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნებამდე მიიყვანს.

„საზოგადოება მალე გაარჩევს მათ, ვინც მხარს უჭერს რადიკალურ, მწვავე აქციებს და იმ ძალებს, რომლებიც ქვეყანას მოლაპარაკების გზით წაიყვანს“, - ალასანია თავს ამ უკანასკნელს მიაკუთვნებს და ოპოზიციურ ძალებში მიმდინარე პროცესს „კრისტალიზაციას“ უწოდებს. თუმცა, ეს განცხადება ფრთხილად, ზედმეტი კონკრეტულის გარეშე კეთდება.

იდუბური ერთობა რუსთაველზე შეკრებილ ოპოზიციონერებს არასდროს ჰქონდათ. მათი გაერთიანების მიზეზი სააკაშვილის გადადგომის ჰიპოთეტური შანსი იყო. თუ აპრილის დასაწყისში ამის იწინეს სჯეროდა, დღეს ოპოზიციის ყველაზე რადიკალური და ემოციური ნაწილიც დარწმუნდა, რომ ეს მოლოდინი შეცდომა იყო.

ოპოზიციას გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. 9 აპრილამდე და შემდეგაც ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელები გამუდმებით აღნიშნავენ, რომ არ არიან ერთმანეთის კონკურენტები. თუმცა, ლიდერის სტატუსის მოსაპოვებლად ფარული ბრძოლა მაინც მიმდინარეობს.

„არათუ ერთი ლიდერი არ არსებობს, არამედ ვისაც აქვს ლიდერობის პოტენციალი, ოპოზიციამ იმ ადამიანს მუდმივად ბლოკავენ. ალასანიას ვეულისხმობ“, - ამბობს პოლიტოლოგი ანდრო ბარნოვი.

მისი აზრით, ალასანიას საკუთარი ნაბიჯების გადადგმაში ხელი ჯერ კიდევ თებერვალში შეუშალეს. მაშინ ალიანსის იდეას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ დანარჩენმა ოპოზიციამ 9 აპრილის იდეა დაუპირისპირა და ამ გზით ალასანიას გუნდი რადიკალურ პროცესებში „ჩაითრია“.

„ხომ იცით, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“. მაშინ ისეთი პროცესები იყო, სხვა გზა არ გვექონდა“, - განმარტავს ალასანიას ალიანსის წევრი, რესპუბლიკელი პაატა ზაქარეიშვილი.

პოლიტიკურ მოკავშირეებს შორის პრინციპული სხვაობა ბევრია. ისინი ვერ თანხმდებიან ბრძოლის მეთოდებზეც - ნინო ბურჯანაძისთვის საბოლოო მიზნის მისაღწევად სარკინიგზო მაგისტრალის გადაკეტვაც გამართლებულია და საკნების პერმანენტული აქციაც. ალასანია კი ამბობს, რომ ის ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიიდან საკნების აღების ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

ოპოზიციის ცალკეული წევრები ერთ-

მანეთზე საუბრისას სიტყვა „გამიჯვენას“ ერთდებიან და ასე ცდილობენ ხელოვნური ერთობის შენარჩუნებას.

„ირაკლი ალასანიას, როგორც ლიდერს, არ შეეფასებ, იმიტომ რომ არაკორექტულია, ლიდერებმა ერთმანეთის შეფასებები დაიწყეთ, - აცხადებს ნინო ბურჯანაძე, - რადგან ვთანამშრომლობთ, ეს ნიშნავს, რომ გვაქვს ნორმალური ურთიერთობა. ყველა პოლიტიკური ძალა თავად ირჩევს, რა პოლიტიკური ნაბიჯები გადადგას“.

ნაბიჯები, რომელიც თავად ბურჯანაძემ აირჩია, მოულოდნელი იყო მათთვის, ვინც იცნობს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პოლიტიკურ წარსულს.

„რელსებზე დამდგარი ბურჯანაძე ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო“, - ამბობს ნოდია. მისი აზრით, „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარემ თავადაც იცის, რომ სრულფასოვანი ლიდერი არ არის, და ამიტომაც, ხალხისთვის უფრო მისაღებ პოლიტიკოსებთან ერთანობა მას ყველაზე მეტად აძლევს ხელს. ბურჯანაძეს აქვს ხელისუფლების შეცვლის პროცესში თანამონაწილეობის გამოცდილება. თუმცა, 2003 წელს, კონსოლიდირებული ოპოზიციის პირობებში, მისი როლი მკაცრად იყო განსაზღვრული „ვარდების“ რეველაციის ავტორის - ზურაბ ჟვანიასა და მთავარი გმირის - მიხეილ სააკაშვილის მიერ.

დღეს კი ოპოზიციურ ძალებს არც საერთო სტრატეგია ჰყავთ და არც გამოკვეთილი გმირი. ბურჯანაძე ფიქრობს, რომ ასეთ მოქცეულობაში მას ინდივიდუალური მოქმედების შანსი ეძლევა და, პასიური მოთამაშის ნაცვლად, ახლა თავის ნამდვილ სახეს წარმოაჩენს. ბურჯანაძე საპროტესტო აქციებში რომ ყველაზე მეტ ფულს ხარჯავს, ამას ოპოზიციის ყველა ლიდერი აღიარებს.

პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეზე საუბრისას ლევან გაჩეჩილაძე თავშეკავებულია. „მას თავისი გზა და მეთოდები აქვს, რალაცაში ვეთანხმები, რალაცაში - არა“, - ამბობს იგი „ლიბერალთან“ ინტერვიუში. თავისი კონკურენტების შეფასებას ისიც თავს არიდებს: „არ ვფიქრობ ასეთ რალაცებზე, იმიტომ, რომ არ არის აქტუალური“. ოპოზიციის ლიდერებს შორის გაჩეჩილაძე ერთადერთია, რომელსაც ძალა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არჩევნებში მოუსინჯავს და წარმატებითაც. 2008 წელს გაჩეჩილაძის მიერ თბილისში არჩევნების მოგება მას საშუალებას აძლევს, თავი ხალხის რჩეულად იგრძნოს და ამით ის ხშირად სარგებლობს. მიტინგებზე ხალხთან ურთიერთობისას გამოუცდელ ირაკლი ალასანიას და პოლიტიკური წარსულით დამძიმებულ ნინო ბურჯანაძეს

არაერთხელ დასჭირდათ ლევან გაჩეჩილაძის დახმარება.

თუმცა, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იგი გაურბის. ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ლევან გაჩეჩილაძე ამბობდა, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყნის პირველი პირი გახდება, მალევე დატოვებს პოსტს. ის ახლაც ხშირად ამბობს, რომ, საკუთარი აქტივობის სანაცვლოდ, არაფერი უნდა და ქვეყნის მართვის ამბიციას არ აქვს. მხარდამჭერებიც მას ეროვნულ გმირად უფრო განიხილავენ, ვიდრე პოლიტიკურ ფიგურად.

მას მერე, რაც ხალხის წინაშე დადო პირობა, რომ სააკაშვილს მხოლოდ სხვა ლიდერებთან ერთად და მხოლოდ პირდაპირ ეთერში შეხვედებოდა, ის პრეზიდენტთან

შენახადას რეზიდენციაში მარტო მიდის და მხარდამჭერების ლეგიტიმურ უკმაყოფილებას მოგვიანებით ასე პასუხობს: „რავქნა, ეს ყოფილა ჩემი ბედი“.

„გაჩეჩილაძე ზედმეტად „ჯიგარია“ და ოპოზიციის მომხრეების შედარებით მოაზროვნე ნაწილის ნდობას არ იმსახურებს. მას ემოციური მხარდაჭერა უფრო აქვს, ვიდრე რაციონალური“, – ამბობს გია ნოდია. მისი აზრით, ზუსტად საპირისპირო მიზეზი შეუშლის ხელს ალასანიას, გახდეს ერთიანი ოპოზიციის ლიდერი.

„ოპოზიციის მომხრეთა დიდი ნაწილის თვალში ის ზედმეტად პრო-ამერიკულია და ზედმეტად იზიარებს სააკაშვილის „სისუსტეებს“. ალასანია არასაკმარისად „ჯიგარია“.

მალალი რეიტინგის მიუხედავად, ირაკლი ალასანიას არ აქვს ის, რაც მის კონკურენტებს – ის არც „ხალხური“ ლიდერია და არც, ბურჯანაძის მსგავსად – პოლიტიკური გამოცდილებისა და ფინანსური რესურსის მქონე ფიგურა.

ალასანია ვერც ერთიანი ოპოზიციის ლიდერი გახდება, იმ მიზეზით, რომ ასეთი ერთობა არ არსებობს.

თუმცა, მას ჯერ კიდევ აქვს შანსი, გახდეს სრულფასოვანი პოლიტიკური მოთამაშე. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ის რაციონალურად შეაფასებს საკუთარ ვალდებულებებს პოტენციური მხარდამჭერების მიმართ და უფრო თამამი და სწრაფი რეაგირების უნარს შეიძენს. **■**

რუსეთ-საქართველოს ომის მიზანმიმართული

ფაქტების მოქიანების შეუსრულებელი მისია

ევროკავშირის მიერ დაქირავებული ექსპერტები კონფლიქტის მონაწილეობისას უთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას იძლევიან. ტალიჰანის კომისიას ამ ორივე ამოცანის შესრულებისას პრობლემები შეექმნა.

მანია ნიკლაური, თამარ ნუცუბიძე **მოსკოვი**



■ ქართველი ჯარისკაცები გორის შესასვლელთან, აგვისტო 2008

ევროკავშირის ეგიდით შექმნილი საგამოძიებო კომისიის წევრებმა ბოლო შეხვედრა ცხინვალში დაასრულეს და დასკვნაზე მუშაობა ქართული, რუსული, ოსური და აფხაზური მხარეების მასალების საფუძველზე დაიწყეს.

„კომისიას საქმიანობა არ დაუსრულებია, ამიტომ ვერ გეტყვით, თუ რა მასა-

ლები აისახება მის დასკვნაში და რა – არა. თუმცა, საერთო სურათი, რა თქმა უნდა, შეიქმნება“, – თქვა ცხინვლიდან გამგზავრების წინ ფაქტების მოძიების მისიის ხელმძღვანელმა მარიან სტაშე-ვსკიმ.

საერთო სურათის შესაქმნელად კომისიას ორი მთავარი ამოცანა ჰქონდა.

პირველი – დაეთანხმებინა კონფლიქტის მონაწილე მხარეები, გადაეცათ მისიისთვის ყველა მათთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მეორე, რომ კომისიის მუშაობა პოლიტიკური ჩარევის გარეშე წარმართულიყო. ტალიჰანის კომისიას ამ ორივე ამოცანის შესრულებისას პრობლემები შეექმნა.

კონფლიქტის არც ერთი მხარისთვის მისიასთან თანამშრომლობა სავალდებულო არ ყოფილა, თუმცა კომისიის შექმნისთანავე მხარეებმა ინფორმაციის გაცემის კეთილი ნება გამოთქვეს. ფაქტების მოძიების მისიის დასასრულს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის წევრებმა აღიარეს, რომ ექსპერტებს მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად არ მიაწოდეს. „სტუმრებს აინტერესებდათ იმ სარეზერვო დანაყოფების შემადგენლობის რიცხვი, რომელიც ომის დროს სამხრეთ ოსეთის მხარეს იბრძოდა, მაგრამ ჩვენ მათ ეს ინფორმაცია არ გადავეცით. ეს სახელმწიფო საიდუმლოა“, – განაცხადა მისიის წევრებთან შეხვედრის შემდეგ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსმა ვადიმ სიუკაევმა.

მხარეების მიერ კომისიისთვის გადაცემული ინფორმაცია, როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავია. მაგალითად, ფაქტების მოძიების მისიამ აფხაზეთის



კონფლიქტის არს ერთი მხარისთვის ვინიანსთან თანამშრომლობა სავალდებულო არ ყოფილა. ფაქტების მოქიპაბის ვინიის დასასრულს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის ნაპრაბა ალიარეს, რომ ექსპერტებს მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად არ მიანოღეს.

დე-ფაქტო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, გარი კუპალბასთან ერთად კოდორის ხეობა დაათვალიერა. კუპალბას განცხადებით, საერთაშორისო ექსპერტებმა „საკუთარი თვალთ ნახეს ის ბაზები, სადაც 3000-მდე ქართველი სამხედრო იყო განლაგებული“. ასევე, აფხაზური მხარის მტკიცებით, მათ კომისიას გადასცეს სამხედრო ინფორმაციის შემცველი ქართული დოკუმენტები, რომლებიც საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ კოდორის ხეობაში იპოვეს. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელი მალხაზ აქიშბაია (რომელმაც 11 ივნისს ეს თანამდებობა დატოვა) ამბობს, რომ ამავე დელეგაციასთან შეხვედრისას მან კატეგორიულად უარყო ორივე ფაქტი: „კოდორის ხეობაში იყვნენ მხოლოდ პოლიციელები, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები. იმ დროს რეგიონში გაერო-ს მისია მუშაობდა და ისინი აფიქსირებდნენ ქართული პოლიციის გადაადგილებას“. ქართული მხარე, ასევე, არ ადასტურებს ინფორმაციას ხეობაში დარჩენილი დოკუმენტების შესახებ.

კონფლიქტის ორივე ძირითადი მონაწილე, საქართველო და რუსეთი, კომისიაზე პოლიტიკური ზენოლის მოხდენის შესაძლებლობაზე ლაპარაკობს. „რუსეთი ყველანაირ მეთოდს გამოიყენებს ამ დოკუმენტის შესაცვლელად. არ მინდა, ვიფიქრო, რომ ამ მცდელობას შედეგი ექნება. თუმცა, მცდელობა ნამდვილად იქნება“, – ამბობს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა

კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი.

რუსეთის მხრიდან კომისიის მუშაობაში ჩარევის მაგალითად ქართულ მხარეს 2009 წლის მარტში გავრცელებული ინფორმაცია მოჰყავს. მაშინ გერმანულ გაზეთ „შპიგელში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთმა საგამოძიებო კომისიას გადასცა რუსეთის დავიდევის მიერ მოპოვებული პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულება №2. ამავე წყაროზე დაყრდნობით, ქართულმა მხარემ უარი განაცხადა დოკუმენტის დედანის გადაცემაზეც, იმ მოტივით, რომ ის სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავდა. საქართველოს მთავრობამ ასეთი ბრძანებულების არსებობა უარყო. „ეს არის [რუსეთის] ტყუილების კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს საგამოძიებო კომისიით მანიპულირებას“, – თქვა მაშინ მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა.

„კომისიის ორ სამხედრო ექსპერტს – პოლკოვნიკ ქრისტოფერ ლანგტონს და პროფესორ ოტო ლუხტერჰანდტს საერთაშორისო მედიაში კომისიის შექმნამდე ჰქონდათ გამოქვეყნებული სტატიები და ცალსახად იჭერდნენ რუსეთის პოზიციას. ჩვენ ვსვამთ კითხვას: თუ ამ ადამიანებს აქვთ პოზიცია, მაშინ რამდენად არიან ისინი მიუკერძოებლები?!“ – ამბობს მინაშვილი. ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ თებერვალში მოითხოვა ამ ექსპერტების ჩანაცვლება, თუმცა ამას ვერ მიაღწია.

რუსეთის გავლენას კომისიაზე არ გამოორიცხავს არც მოსკოვში მოქმედი პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის დირექტორი ალექსეი მუხინი. „ფაქტია, რომ ევროკავშირს დღეს რუსეთის ენერგორესურსები სჭირდება, თანაც – მისაღებ ფასში. ასევე, რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში მწვავე ეტაპი დასრულდა და დღეს ნორმალურ სტაბილურ ფაზაში გადავიდა. ამიტომ კომისია ეცდება, რუსეთის ინტერესები გაითვალისწინოს“, – ამბობს მუხინი.

თავის მხრივ, რუსული მხარეც გამოთქვამს ეჭვებს კომისიის ობიექტურობასთან დაკავშირებით: „ისინი პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ. ჩემი აზრით, დასკვნაში იგნორირებული იქნება მომხდარის გამო ევროპის და ამერიკის პასუხისმგებლობა – ის, რომ სწორედ მათ შეუწყვეს ხელი სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს, განეხორციელებინა აგვისტოს აგრესია“, – ამბობს რუსეთის სათათბიროს დეპუტატი სერგეი მარკოვი. მსგავსი დამოკიდებულება აქვს

კომისიის მიმართ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელმძღვანელობასაც: „ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი მიზანია გასული წლის აგვისტოს შემდეგ მსოფლიო საზოგადოების იმაში დარწმუნება, რომ რუსეთმა განახორციელა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. მათი ასეთი მუშაობა დღემდე გრძელდება“, – განაცხადა ბორის ჩოჩიევმა ფაქტების მოძიების მისიის წევრებთან შეხვედრის შემდეგ.

საქართველო-რუსეთს შორის აგვისტოს ომის მიზეზებზე კომისიის შექმნა 2008 წლის 2 დეკემბერს გადაწყდა. ევროკავშირის მიერ შექმნილ კომისიაში შვეიცარიელი დიპლომატი ჰეიდი ტალიანი, მისი ორი მოადგილე, ასევე, სამხედრო საქმის და სამართლის ხუთი ექსპერტი შევიდნენ. კომისიის საბოლოო ანგარიში არანაირი სამართლებრივი ძალა არ აქვს და მას მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება. კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე წინასწარ აცხადებს, რომ კომისიის დასკვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ობიექტურად, თუ ამ დასკვნით მისი სიმართლე დადასტურდება.

„იმედი გვაქვს, რომ კომისია ობიექტურად იმუშავებს და მათი დასკვნა დაემთხვევა მომხდარის ჩვენეულ ვერსიას. თუკი სხვანაირად დაინერება, მაშინ სრული უფლება გვექნება, რომ კომისიაზე პოლიტიკური ზენოლის ფაქტებზე ვილაპარაკოთ“, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში რუსეთის სათათბიროს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩოვი.

„დასკვნამ სიმართლე უნდა აღწეროს, ის რუსეთის აგრესიის ანატომიის კვლევა უნდა გახდეს. თუ არ იქნება პოლიტიკური კონიუნქტურა, და მე იმედი მაქვს, რომ არ იქნება, მისიის შედეგები შეიძლება საინტერესო იყოს. მაგრამ მე პრობლემად მიმაჩნია ის აზრი, თითქოს ახლა დადგინდება „მტყუან-მართალი“, ან ვინ იყო აგრესორი და ვინ არა. ეს, ჩემი აზრით, შეურაცხმყოფელად არასწორია“, – ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია იმ მასალების მიწოდებას უზრუნველყოფს, რომელიც კომისიამ ქართული მხარისგან მოითხოვა.

კომისიამ საბოლოო დასკვნა 31 ივლისს უნდა წარმოადგინოს. თუმცა, თუკი ფაქტების მოძიების მისია ჩათვლის, რომ მას შეკრებილი ინფორმაცია დასკვნის დასაწერად არ ჰყოფნის, კომისიას უფლება აქვს, ვადის გახანგრძლივება მოითხოვოს. **□**



ლორანს შიტსი, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის კავკასიის პროექტის დირექტორი

გაღაპარჩინოთ საქართველოს სამშვიდობო მისია

საზავო ხელშეკრულება, რომლის დადების შემდეგაც დასრულდა რუსეთ-საქართველოს ომი, დღეს მეტ-ნაკლებად ძალაშია, მაგრამ რუსეთის მხრიდან ზენოლა და დასაკვლეთის შემერიგებლური პოზიცია ხელს უწყობს მშვიდობისდასაცვლი სტრუქტურების მოშლას. **ლორანს შიტსი**

გასული წლის აგვისტოში მოსკოვი და თბილისი სამხრეთ ოსეთისათვის იბრძოდნენ. ბრძოლა ხანმოკლე იყო, მაგრამ სახედისწერო. სამხრეთ ოსეთის რეგიონს, სადაც 50 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, მოსკოვი ახლა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებს, მაგრამ დანარჩენი მსოფლიო მას საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. ინტენსიურმა დიპლომატიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრძოლის დასრულებაში. ევროკავშირის შუამავლობამ, საფრანგეთის თაოსნობით, აიძულა რუსეთი, საზავო ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი.

სამწუხაროდ, დოკუმენტს მელანი ჯერ კიდევ არ შემორობდა, როცა მოსკოვმა დაუფარავად თქვა უარი ცეცხლის შეწყვეტის პირობების შესრულებაზე.

მან არა მარტო უარი განაცხადა დამატებითი საჯარისო ფორმირების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიიდან გაყვანაზე (აფხაზეთი კიდევ ერთი რეგიონია, რომლის დამოუკიდებლობასაც მხოლოდ რუსეთი აღიარებს), არამედ

კატეგორიული უარი თქვა საერთაშორისო დამკვირვებლების მიღებაზეც. აპრილში კი რუსეთმა განაცხადა, რომ ის კიდევ უფრო მეტ ჯარს გააგზავნიდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში; თითქოს დაიტრიაბა, რომ არ ასრულებს მედვედევ-სარკოზის აგვისტოს შეთანხმებას.

ამჯერად რუსეთმა მიზანში ამოიღო ერთადერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება და სოლიდური წარმატება აქვს საქართველოში, ეს არის ეუთო, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის 56-წევრიანი ორგანიზაცია. ეუთო საქართველოში, 15 წელზე მეტია, მუშაობს: აწარმოებს მონიტორინგს არასტაბილურ რაიონებში – სამხრეთ ოსეთსა და მის გარეთ, ხელს უწყობს კონფლიქტის გადაჭრას, მხარს უჭერს უმცირესობის საკითხების მოგვარებას, მისი დახმარებით ეყრება საფუძველი დემოკრატიისა და კანონის ამოქმედებას. ის აკრიტიკებს არჩევნების გაყალბებას. სანამ აგვისტოს ომი დაიწყებოდა, ეუთო

სამხრეთ ოსეთში ეთნიკურ ქართველებსა და ოსებს ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებაში ეხმარებოდა.

გასულ თვეში ეუთოს წევრი ქვეყნები ვენაში შეიკრიბნენ. შეკრების მიზანი იყო საბერძნეთის მიერ დაფინანსებულ კომპრომისულ შეთანხმებაზე მუშაობა ეუთოს საქართველოში დარჩენის თაობაზე. ეს იმ მწვავე მოლაპარაკებების ერთ-ერთი საბოლოო საფეხური იყო, რომელიც იანვრის შემდეგ მიმდინარეობს. მაგრამ მოსკოვმა დაგმო



ფოტო: ეუთო / დავით სიონიშვილი

■ ეუთოს სახელმწიფო მონიტორინგის ოფიცარი აპირდება რუსული ჯარის გასვლას საქართველოს ტერიტორიიდან, 8 ოქტომბერი, 2008

ამჯერად რუსეთმა მიზანში ამოიღო ერთადერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება და სოლიდური წარმატება აქვს საქართველოში, ეს არის ეუთო.

ბერძნული პროექტი, რომელშიც რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ უკვე ბევრი შესწორება იყო შეტანილი და არ დაუშვა პროექტის კენჭისყრაზე გატანა.

არსებობს რამდენიმე სავარაუდო მიზეზი, თუ რატომ სურს რუსეთს საქართველოდან ეუთოს-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მისიის გაყვანა.

მოსკოვს, შესაძლოა, არ სურდეს, რომ მსოფლიომ დაინახოს, თუ რა ხდებოდა სამხრეთ ოსეთში რვათვიანი სამხედრო „განმათავისუფლებელი“ ქმედებების დროს.

რუსეთის უზარმაზარმა სამხედრო ძალამ არ შეუშალა ხელი სამხრეთ ოსეთის მილიციას, როდესაც მან 25 ათასი ეთნიკური ქართველი საკუთარი სახლიდან გამოაგდო. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი მილიცია წავადა, ძარცვავდა და ბულდოზერებით ანგრევდა სოფლებს, როცა რუსული ჯარები იქვე იდგნენ. ამ ქმედებებს Human Rights Watch-მა „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“ უწოდა, ევროსაბჭოს საპარლამენტ-

ტო ასამბლეამ კი გამოიყენა ტერმინი „ეთნიკური წმენდა“.

საქართველოში ეუთო-ს მისიის დახურვით რუსეთმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თავისი გრძელვადიანი დიპლომატიური მიზნის მისაღწევად – მთლიანად გამოუთხაროს ძირი ეუთო-ს ქმედითუნარიანობას. 1975 წლიდან მოყოლებული ორგანიზაცია ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე ზრუნავს. მაგრამ რამდენიმე წელია, მოსკოვი უკმაყოფილოა იმით, რომ ჯგუფი სტაბილურობის ხელშეწყობის საუკეთესო საშუალებად ადამიანის უფლებებს, მედიის თავისუფლებასა და სამართლიან არჩევნებს მიიჩნევს. ორგანიზაციის მწყობრი ფუნქციონირების შესაფერხებლად და შესაჩერებლად რუსეთი იმ პოლიტიკურ იარაღს იყენებდა ხოლმე, რომელიც მისთვის, როგორც ნევრი ქვეყნისთვის იყო ხელმისაწვდომი. მაგალითად, მოსკოვმა არაერთხელ შეაფერხა ეუთო-ს წლიური ბიუჯეტის გადაცემა.

ეუთო-ს თხუთმეტი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ ადგილზე შეექმნა ძლიერი მისია საქართველოში. ის ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე ორგანიზაციიდან, რომელთაც სტაბილურობაზე ზრუნვის გარკვეული შესაძლებლობა ჰქონდათ. ჩვეულებრივ, ევროკავშირი და დასავლეთი თვალს ხუჭავდნენ რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არშესრულებაზე. ეს ვალდებულება ითვალისწინებდა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც

საფრანგეთის პრეზიდენტის სახელს ატარებს. ეუთო-ს ნევრი ქვეყნების უმრავლესობამ უნდა აჩვენოს, რომ ისინი არ შეურიგდებიან არც ერთი ქვეყნის მხრიდან ეუთო-ს ქმედითუნარიანობის შეზღუდვის მცდელობას.

ახლა დრო ცოტაა, მაგრამ საქართველოში ეუთო-ს მისიის გადარჩენა დაგვიანებული მაინც არაა. მისიის მანდატი ექვს თვეში იწურება და ჯერ კიდევ შეიძლება მისი გადარჩენა, თუკი ეუთო-ს ნევრი ქვეყნები მიზანმიმართულად იმოქმედებენ. უპირველეს ყოვლისა, მისიას მინიმუმ თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მუშაობის ნება უნდა დართონ. ამის სანაღმდეგო გონივრული არგუმენტები მოსკოვს ვერ ექნება. თუ საქართველო ისეთი არასტაბილური ქვეყანაა, როგორც ამას მოსკოვი ამტკიცებს, მაშინ, თვით რუსული ლოგიკის მიხედვითაც კი, უდავოდ არსებობს ეუთო-ს საქართველოში დარჩენის მიზეზი.

ევროკავშირისა და აშშ-ს ძლიერმა დიპლომატიურმა პასუხმა კრემლს უნდა მიანიშნოს, რომ თუ ის არ დაუშვებს საქართველოში ეუთო-ს სასარგებლო საქმიანობის გაგრძელებას, ეს შემდგომში ეჭვქვეშ დააყენებს რუსეთის, როგორც საერთაშორისო პარტნიორის, სანდოობას. ამ შემთხვევაში მოსკოვს მოუწევს, დაგვანახოს, ნამდვილად რეგიონის სტაბილურობაზე ზრუნავს, თუ უბრალოდ გეოპოლიტიკური მიზნები ამოძრავებს. ■

დაპირფარებული კონფლიქტის ზონებში გასვლის მოლოდინი

ეუთო-ს მისია საქართველოში ევაობას წყვეტს, აზნაზათის ტერიტორიიდან გაართ-ს მისიის გასვრის შემთხვევაში, კონფლიქტური რეგიონები საერთაშორისო დაპირფარებრის გარეშე რარჩება. >>

აია ნიკოლაიშვილი



■ ეუთოს წარმომადგენელი ესაუბრება ევროკავშირის მონიტორებს, 8 ოქტომბერი, 2008

ეუთოს მისია, რომელიც ქვეყანაში 1992 წლიდან მუშაობს, იძულებულია, დატოვოს საქართველო. ეუთო-ს მუდმივმა საბჭომ მისიის გაგრძელების შესახებ კონსენსუსს ვერ მიაღწია. 30 ივნისს საერთაშორისო ორგანიზაცია ყველანაირ საქმიანობას შეწყვეტს საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველო წლების განმავლობაში ცდილობდა მის ტერიტორიაზე საერთაშორისო დამკვირვებლების რაოდენობის გაზრდას, ხოლო რუსეთი მიზანმიმართულად მუშაობდა, რომ ეს არ მომხდარიყო. 2004 წელს რუსეთის ძალისხმევით შეწყდა ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის მისია. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი, ისევ რუსეთის მონდომებით, სამხრეთ ოსეთის რეგიონის ტერიტორიაზე არ შესულა არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივმოქმედი მისია. ეუთო-ს მიერ დამატებით გამოგზავნილი 20 დამკვირვებელი მონიტორინგს მხოლოდ კონფლიქტური

რეგიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აწარმოებს.

„ეუთო-ს მისიის წასვლით კვდება ეუთო-ს მიერ ცხინვალის რეგიონის შიგნით უსაფრთხოების სიტუაციის მონიტორინგის პერსპექტივა“, – ამბობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი სერგი კაპანაძე. ქართული მხარისთვის მისია იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე შეიარაღების განლაგების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებისთვის სანდო ინფორმაციის მოპოვებაც მხოლოდ დამკვირვებლებს შეუძლიათ.

პრობლემები ეუთო-ს მანდატს საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ შეექმნა, როცა ეუთო-მ რუსეთი კონფლიქტის მხარედ გამოაცხადა. ამის შემდეგ რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთის (ასევე აფხაზეთის) დამოუკიდებლობა. იგივე პოლიტიკის გაგრძელება იყო მისი მოთხოვნა, რომ ეუთო-ს სამხრეთ ოსეთში გაეგზავნა ცალკე მისია, რაც ეუთო-ს მიერ სეპარატისტული რეგიონის სახელმწიფოდ აღიარებას უტოლდებოდა. მოსკოვმა არ მიიღო არც ეუთო-ს თავმჯდომარე სახელმწიფოს, საბერძნეთის მიერ შემოთავაზებული კომპრომისული წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა ეუთო-ს მისიის გაგრძელებას, სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის დაკონკრეტების გარეშე. 2008 წლის დეკემბერში საბოლოოდ გაირკვა, რომ რუსეთის ვეტოს გამო, ეუთო-ს მისია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას დატოვებდა.

ეუთო-ს გასვლისთვის მზადების პარალელურად, განხილვის საგანი ხდება საქართველოში კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დარჩენის საკითხი. ეუთო-ს მისიის შეწყვეტა რუსეთისთვის იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ სამხრეთ ოსეთის რეგიონში ობიექტური მონიტორინგი არ ჩატარებულყო, აფხაზეთის ტერიტორიაზე გაერო-ს მისიის დარჩენის საკითხი კი რუსეთისთვის მეტწილად სიმბოლურია. თუ გაერო-ს უშიშროების საბჭოს იენისის რეზოლუციაში შენარჩუნდება გენერალური მდივნის ბან კი მუნის ბოლო ანგარიშში გამოყენებული ტერმინოლოგია, სადაც ის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ხაზს არ უსვამს, რუსეთი მიზანს მიაღწევს.

თუკი რეზოლუციის ტექსტში არ იქ-

ნება დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის მთავრობა მზად არის, თავად თქვას უარი გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის გაგრძელებაზე.

„არანაირი შანტაჟის, არანაირი დაშინების, არანაირი მუქარების ქვეშ არ მოვანერთ ხელს იმას, რაც როდესმე ჩვენი შვილებს თვალში ეჭვქვეშ დააყენებს საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას და აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილებას“, – განაცხადა 5 ივნისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

საქართველოს მთავრობას რთული გადანყვეტილების მიღება უნევს. „საქმე გვაქვს „ნულოვანი ჯამის თამაშთან“, სადაც ჩვენი დათმობა არის რუსეთის წარმატება და რუსეთის დათმობა – ჩვენი წარმატება“, – აცხადებს სერგი კაპანაძე საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

გაერო-ს მისიის თბილისის ოფისში დარწმუნებულები არიან, რომ მისიის შეწყვეტა, პირველ რიგში, საქართველოს დააზარალებს. „როგორც ჩანს, ეუთო მიდის და იმ შემთხვევაში, თუ გაერო-ს მისიასაც მოუწია საქართველოდან წასვლა, არსებობს საფრთხე, რომ საქართველო საერთაშორისო საზოგადოების რადარიდან გაქრეს“, – ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იოჰან ვერბეკე.

სპეციალური წარმომადგენლის თქმით, გაერო-ს მისია აფხაზეთის ადმი-

საერთაშორისო მისიების გასვლის ნეგატიურ შეფასებას ყველა არ ეთანხმება. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორის, ჩარლზ კინგის მოსაზრებით, როგორც ეუთო-ს, ისე გაერო-ს მისიის მონიტორინგის დადებით მხარეებს თან ახლავს უარყოფითი ასპექტიც: „საერთაშორისო დამკვირვებლების კონფლიქტის რეგიონში ყოფნა სამხრეთ ოსეთის ლიდერებს იმის თქმის საშუალებას აძლევდა, თითქოს ისინი ჩართულნი იყვნენ ნამდვილ მოლაპარაკებებში საქართველოსთან და არა უბრალოდ აჭიანურებდნენ ამ მოლაპარაკებებს. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთსა და გაერო-ს მისიაზე“.

ეუთო-ს და გაერო-ს მისიების გასვლის შემთხვევაში, მათ შემცვლელად ევროკავშირი დარჩება. თუმცა, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ეფექტურობას საერთაშორისო ექსპერტების ნაწილი პესიმისტურად აფასებს: „საბოლოო ჯამში სავარაუდოა, რომ კონფლიქტურ რეგიონებში წარმოიქმნება ვაკუუმი, რომელიც რუსეთს შესაძლებლობას მისცემს, ამ ტერიტორიებზე საკუთარი გავლენა გააფართოვოს“, – ამბობს ბრიტანელი ექსპერტი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოსა და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე. დღეს მოქმედი ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიას ფარავს, მაგრამ მისიის დამკვირვებლები ვერ შედიან ვერც ერთი სეპარატისტული რეგიონის ტერიტორიაზე. □

„როგორც ჩანს, ეუთო მიდის და იმ შემთხვევაში, თუ გაერო-ს მისიასაც მოუწია საქართველოდან წასვლა, არსებობს საფრთხე, რომ საქართველო საერთაშორისო საზოგადოების რადარიდან გაქრეს“, – ამბობს საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იოჰან ვერბეკე.

ნისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს და მის გასწვრივ უსაფრთხოების უზრუნველმყოფ და პრევენციულ როლს ასრულებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის სასარგებლო: „გაერო-ს მისიის წასვლა შექმნის ვაკუუმს, რის შედეგადაც, შესაძლოა ავანტიურისტები გააქტიურდნენ. ამან კი შეიძლება ინციდენტების და მცირე შეტაკებების გახშირება და ესკალაცია გამოიწვიოს“.

რუსეთი და მსოფლიო

ნატო-ს ჩანაცვლების რუსული გეგმა

აღმოსავლეთ ევროპაში ნატო-ს ძირების საკუთარი სამხედრო შენაერთებით ჩანაცვლება რუსეთის ერთგვარი უსაფრთხოების სტრატეგიის ახალი ელემენტის მითითებით, >>

სოფო ჭაბვა, ვერონიკა ჭაბვა, ვაჰინგტონი



ფოტო REUTERS

■ დიმიტრი მადვედევინი ხვდება უშიშროების ფედერალური სამსახურის ჯარისკაცებს, ლაღესტანი, 9 ივნისი, 2009

რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, რომელიც ქვეყნის მთავრობამ 2009 წლის 12 მაისს მიიღო, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნატო-ს გაფართოების გეგმას და მისი, როგორც გლობალური უსაფრთხოების გარანტის, ფუნქციას.

დოკუმენტში, რომელმაც 1997 წლის უსაფრთხოების კონცეფცია ჩაანაცვლა, აღნიშნულია, რომ რუსეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობა 2009-2020 წლებში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გაითვალისწინებს ნატო რუსეთის ინტერესებს. რუსეთი სტრატეგიულ დოკუმენტში აფიქსირებს, რომ ჩრდი-

ლო-ატლანტიკური ალიანსის ექსპანსიას მსოფლიოსთვის საშიშ ტენდენციად აღიქვამს.

„დასავლეთს ძვირად დაუჯდება ალიანსის გაფართოების ინიციატივა“, – განაცხადა დიმიტრი მადვედევინმა ჯერ კიდევ 2008 წლის ივნისში, ბერლინში გამართულ ფორუმზე, სადაც ის პრეზიდენტის რანგში პირველად წარდგა ევროპელი ლიდერების წინაშე. ამ გამოსვლიდან რამდენიმე დღეში მადვედევინმა რუსეთის უშიშროების საბჭოს ახალი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა დაავალა.

სტრატეგიის დოკუმენტის ერთ-ერთი ავტორის, რუსეთის უშიშროების საბჭოს

მდივნის, ნიკოლაი პეტრუშევის განმარტებით, ევრო-ატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების არსებული არქიტექტურა, რომელიც ძირითადად ნატო-სა და ეუთო-ზეა ორიენტირებული, უუნაროა. რუსეთი მიიჩნევს, რომ სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მისი მეზობელი ქვეყნების კონფლიქტურ რეგიონებში, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები ჩადგება.

ექსპერტების შეფასებით, უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი ზოგადია და არ განმარტავს, თუ რას სთავაზობს რუსეთი იმ ქვეყნებს, რომლებიც უსა-

ფრთხობის მის სისტემაში განევრიაან-
დებიან. „მხოლოდ ერთი რამ არის ცხა-
დი – რუსეთს ხელს არ აძლევს ნატო-ს
ძალების არსებობა მის მეზობელ ქვეყ-
ნებში და მათ ჩასანაცვლებლად ყველა
ლონეს ხმარობს“, – ამბობს „ჰადსონის“
ინსტიტუტის ექსპერტი პოლიტიკურ-
სამხედრო საკითხებში, რიჩარდ ვაით-
ცი. მისი აზრით, ახალი პან-ევროპული
კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის
შექმნის ინიციატივა პირდაპირ უკავ-
შირდება რუსეთის ამბიციას, აღიდგი-
ნოს იმპერიის უფლებები რეგიონში.

12 მაისის დოკუმენტში ნატო-ს ჩანა-
ცვლების კიდევ ერთი სტრატეგიაა ნა-
ხსენები – რუსეთს სურს, გააძლიეროს
გაერო-ს ფუნქცია ევროპაში და აღჭურ-
ვოს იგი ნატო-ს ფუნქციებით ყოფილი
საბჭოთა ქვეყნების ტერიტორიაზე. ამის
შესახებ დიმიტრი მედვედევმა არაერ-

თხელ აღნიშნა საჯარო გამოსვლებ-
ში: „ორი აზრი არ არის, რომ გაერო
ექსკლუზიური ინსტიტუტია მსოფლიოში
ორპოლუსიანი ხელოვნური უსაფრთხო-
ების სისტემის დასაძლევად, რაც გზას
მისცემს უფრო ღია და ბუნებრივ საერ-
თაშორისო სისტემას, რომლის ცენტრიც
გაერო იქნება“, – ამბობს ის ჯერ კი-
დევე 2008 წლის ზაფხულში. ნატო-სგან
განხვავებით, გაერო-ს მუდმივმოქმედ
საბჭოში რუსეთს ვეტოს უფლება აქვს,
რაც მას ორგანიზაციის საქმიანობის
კონტროლის საშუალებას აძლევს.

რუსეთის გეგმები რომ განხორციელ-
დეს, მას ამისთვის ევროპისა და ამე-
რიკის პოლიტიკური ნება სჭირდება. ამ
ნების მოსაპოვებლად რუსეთი ევროპის
ყველაზე გავლენიან ქვეყნებს, სავარაუ-
დოდ, ენერგომომარაგების საკითხებში
დათმობებს შესთავაზებს. მოსკოვი,
როგორც ევროპის ყველაზე მსხვილი
ენერგო-მომარაგებელი, ცდილობს,
ამ პოზიციიდან, ეკონომიკურის გარ-
და, პოლიტიკური დივიდენდებიც მიი-
ლოს. თუმცა, დიდია ალბათობა, რომ
რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგია
ფურცელზე დარჩება. „ევროკავშირი
მზადაა სხვადასხვა პოლიტიკურ პრო-
ცესებში რუსეთის მონაწილეობისთვის,
ასევე მრავალ საკითხში მასთან თანა-
მშრომლობისთვის, მათ შორის – ენერ-
გეტიკისა და ატომური შეიარაღების
შემცირების თაობაზე; თუმცა ევროკა-
ვშირი, ისევე, როგორც გერმანია, კა-
ტეგორიულად გამორიცხავს ნატო-ს
რაიმე სხვა მანდატით ჩანაცვლებას“,
– ამბობს „ლიბერალთან“ ინტერვიუში
გერმანიის ბუნდესტაგის წარმომადგე-
ნელი, ვოლფგანგ გერჰარდტი.

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსე-
თი გააქტიურდება უსაფრთხოების
თავისი ინიციატივის გასატანად და
ევროკავშირს ენერგეტიკის სფეროში
გარკვეულ პრივილეგიებს შესთავა-
ზებს, მისი გეგმის განხორციელების
ალბათობა ძალზედ მცირეა“, – გან-
მარტავს ევროპისა და ტრანსატლან-
ტიკური უსაფრთხოების საკითხებში
„ჰადსონის“ ინსტიტუტის ექსპერტი,
იოანის სარატისი. „ევროკავშირში არ
არსებობს ერთიანი მიდგომა ყველა
საკითხის მიმართ, რადგან ყველა სა-
ხელმწიფოს თავისი პოზიცია აქვს. არც
უსაფრთხოების საკითხებშია ერთიანი
პოზიცია. ევროკავშირი არაეფექტურია
უსაფრთხოების პოლიტიკის წარმარ-
თვაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს
ნატო-ს მნიშვნელობას ევროგაერთი-
ანებისთვის“, – ამბობს სარატისი.

„რუსეთს უსაფრთხოების ახალი სის-
ტემის შექმნის თაობაზე ჩამოყალიბე-
ბული სტრატეგია არ გააჩნია, და არც
პოლიტიკური რესურსი აქვს, ითავოს
მსგავსი წამოწყება“, – ამბობს „ლიბე-
რალთან“ ინტერვიუში რიჩარდ ვაითცი.
„ჰადსონის“ ინსტიტუტის ექსპერტის
აზრით, 2008 წლის მოვლენებით რუ-
სეთმა ნათლად დაანახა დასავლეთს,
თუ რამდენად არასაიმედოა მასთან
პარტნიორობა. მიუხედავად იმისა, რომ
უსაფრთხოების ახალ ინიციატივას
ექსპერტების უმრავლესობა არასერიო-
ზულად მიიჩნევს, მათი უმრავლესობა
თანხმდება, რომ ეს ინიციატივა საჯა-
როს ხდის რუსეთის გრძელვადიან გეგ-
მას – ამერიკას და ევროპას თავის მო-
საზღვრე ქვეყნებზე ექსკლუზიური
გავლენის მოპოვებაზე ევაჭროს. □

**მხოლოდ ერთი
რამ არის ცხადი –
რუსეთს ხელს არ
აძლევს ნატო-ს
ძალების არსებობა
მის მეზობელ
ქვეყნებში და მათ
ჩასანაცვლებლად
ყველა ლონეს
ხმარობს.**

**რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები
ბელარუსული რძის
აფხაზური ქაფი**

*ბელარუსისთვის აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება
რუსეთთან ვაჭრობის საგანი ხდება. >>*

ვადიმ ლუბოვი, რადიო თავისუფლების მიმოხილველი **მოსკოვი**



ფოტო REUTERS / სტრინგერი

ალექსანდრე
ლუკაშენკო

ჯერ კიდევ შემოდგომაზე გახდა
ცხადი, რომ რუსეთი და ბელარუსი
დიდი დაპირისპირების ზღვარზე დგა-
ნან. აფხაზეთი და სამხრეთი ოსე-
თი, რომელთა აღიარებაც, წესით,
ლუკაშენკოს ნიკარაგუასთვის უნდა
დაეხსნო, იმ მოვლენის არა საბა-

ზად, არამედ ცხად სიმპტომად იქცა,
რომლის შესწავლაც აგვისტომდე
გაცილებით უფრო ადრე უნდა და-
გვეწყოს.
რუსეთ-ბელარუსის დღევანდელ
კინკლაობაში ოსურ-აფხაზურ მოტივს
იდეურად ახალი არაფერი შეუტანია.

საინტერესო სიგნალი, როგორც ლუკაშენკო აგზავნის: მას კარგად ესმის, რომ ვალე რუსეთთან ერთ ნავეი ჯდომა ისეთივე საჭკო დროსტარება იქნება, როგორც გუონ თვით ლუკაშენკოსთან მეგობრობა იყო.

მას შემდეგ, რაც ლუკაშენკომ ბოლოს და ბოლოს გაიაზრა, რომ ბრესტიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმული უკიდვანო ქვეყნის ბელადობა არ ენერა, და ამ აღმოჩენას გაისად 10 წელი შეუსრულდება, ოჯახური დავა ერთსა და იმავე ჟანრში გრძელდება. მის წესებს ძველებურად ლუკაშენკო განსაზღვრავს. ჟანრის არსი ისაა, რომ ლუკაშენკო ამ ძმათა კინკლაობით ოსტატურად ჰყვება დასავლეთში რუსეთის მიმართ იდიოსინკრეზიის თანდათანობით მზარდ რიტმს. ლუკაშენკო კრემლთან დაპირისპირების მიზეზებს ლონდონში „პოლონიუმის ჩაის“ სეზონის დროსაც პოულობდა და მოსკოვში ქართველების ხოცვისასაც. მოსკოვისა და ნატო-ს ისტორიული პოლემიკის დაღეღში, როცა ნატო-ში უკრაინის და საქართველოს განწევრიანებას განიხილავდნენ, ის „ნარინჯისფერ“ ლიდერებს ღიად ხვდებოდა. თითოეული ეს ნაბიჯი გააზრებული კონტრაპუნქტი და პაუზა გახლდათ, და მათი გადადგმა ვირტუალურ გეოგრაფიაში ბელარუსის დასავლეთისკენ კიდევ რამდენიმე სანტიმეტრით გადაჩოჩებას აღნიშნავდა. ამაზე მინსკი საქვეყნოდ ლაპარაკობდა და ამბობდა, რომ მუდამ ასე გაგრძელდებოდა. ხელოვნურად

გამოიყურებოდა მოსკოვის გაცემა მინსკის მიერ სოხუმისა და ცხინვალის ალიარების დაყოვნების გამო – ისედაც ყველა ყველაფერს ხვდებოდა და სათავისოდ სასიხარულო სიურპრიზებს არც არავინ ელოდა.

თუმცა, არსებობს ცდუნება, ნიუანსებს არ ჩავუღრმავდეთ და ყველაზე მარტივ და რეკლამირებულ სქემას ვენდოთ. თითქოს მინსკი მოსკოვს ვესტერნიზაციით აშინებს, და ამით მაზანდას ინვესტირებს ერთ კრედიტზე მოლაპარაკებისას. სწორედ ეს ვესტერნიზაცია არ აძლევს მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ალიარების უფლებას. განაწყენებული მოსკოვი, როგორც სჩვევია, ძალადობს, და თითქოს საქართველოსა და მოლდოვაზე იყოს საუბარი, მოედანზე სანიტარული დანიშნულების სპეცრაზმი გამოჰყავს – ბელარუსს სანქციებს უწესებს.

თითქოს ასეა. მაგრამ მოსკოვმა უკვე ისწავლა: სანქციები არ მოქმედებს. თუ სტრატეგიაზე ვსაუბრობთ, მაშინ გრძელვადიან პერსპექტივაში ბელარუსი ნამდვილად იპოვის ადგილს, სადაც საკუთარ რძის პროდუქციას გაასაღებს. არის ბელარუსში სანარმოები, რომლებსაც, ლუკაშენკოს ჯიბრზე, ევროპული სტანდარტებით მუშაობა შეუძლიათ. იმის დაშვება, რომ ლუკაშენკო, რომელსაც აღმოსავლეთიდან არაერთი ასეთი დარტყმა მოუგერიებია, უცბად დანებდება და ალიარებს უღიარებულს, მარტო დაუკრეფავში გადასულ რუს გეოპოლიტიკოსს თუ შეუძლია, ვისაც, საბედნიეროდ, ჯერჯერობით საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტას არ ანდობენ.

მართლაც, ლუკაშენკოს საპასუხო ექსპენსიურობა ვიცე-პრემიერი კუდრინისა და თვით პუტინის მიმართ ისევე ხელოვნური ჩანს, როგორც მოსკოვის იმაზე განაწყენება, რომ მინსკს ახალი სახელმწიფოების შექმნის აუცილებლობა არ ესმის. სინამდვილეში, კამათი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი არ შეეხება, არამედ სულ სხვა რამეს. მაგალითად იმას, თუ როგორ ეცინებათ ბელარუს ეკონომისტებს შეკითხვაზე – რატომ მოდის რუსულ ნავთობპროდუქტებზე ბელარუსის ექსპორტის დიდი წილი. ორი წლის წინ, მორიგი სკანდალის დროს გაკვირვებულმა მოსკოვმა აღმოაჩინა, რომ ძმები, უკვე წლებია, რუსულ ნავთობს იპარავენ და დრაკონული ბაჟი დააწესა. „კი, რაღაც სქემა მოიფიქრეს. რა მნიშვნელობა აქვს, როგო-

რი? მთავარია, ორმხრივი სიამოვნებისთვის მსგავსი სქემის მოფიქრება ყოველთვის შეიძლება“.

მოსკოვსა და მინსკს შეიძლება სძულდეთ ერთმანეთი, მაგრამ უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, ერთმანეთისთვის არიან შექმნილები – როგორც „ჩრდილოეთის ნაკადი“ და გერპარდ შრიოდერი. მაგრამ თვით ორმხრივად სასარგებლო ბიზნესიც კი კონფლიქტის საბაბია. რუსეთში არიან ბელარუსული ნავთობსკომპლექსზე, აგროტექნიკურ სიმძლავრეებზე მეოცნებენი და, ცუდი არ იქნებოდა, ჯერ სანქციების გზით გაეკოტრებინათ. რა დარჩენია ლუკაშენკოს – აფხაზეთი აღიაროს? ეს მართლაც სასაცილოა. დასავლეთისკენ გადაიხაროს?

ალბათ ლუკაშენკოც იღიმება, როცა კვასნევიის გეგმისმაგვარ ღრმავაროვან პროექტზე ფიქრობს: ბელარუსი ერთობლივ პროექტებში იმდენად ჩართოს, რომ მის მიძინებულ ლიდერს მთქნარებაში უკან დასახვევი გზა გამოეპაროს, აღმოსავლეთში დარჩეს, შემდეგ კი რომის პაპთან ურთიერთობით განწმენდილმა საბოლოოდ უარი თქვას ვოდევილურ, მაგრამ მაინც – დიქტატურაზე.

ის არსადაც არ წავა და არც მთქნარებას მოჰყვება. ეს დასავლეთშიც შესანიშნავად იციან და აღმოსავლეთშიც. საუბარია მხოლოდ რუსულ-ბელარუსული სიმბიოზის ახალი პირობებისადმი ადაპტაციაზე. და თუკი ამ თამაშით ლუკაშენკო მაზანდას ინვესტ, მოსკოვის თვალში – არა, იქ მას მშვენივრად იცნობენ, ალბათ უფრო – დასავლეთის თვალში. არც იქ ტყუვდებიან, მაგრამ რამდენადაც მომაბეზრებელია „სამხრეთის ნაკადის“ რეკლამა, იმდენად საინტერესოა სიგნალი, რომელსაც ლუკაშენკო აგზავნის: მას კარგად ესმის, რომ მალე რუსეთთან ერთ ნავეი ჯდომა ისეთივე საეჭვო დროსტარება იქნება, როგორც გუშინ თვით ლუკაშენკოსთან მეგობრობა იყო. ის მართლაც ცვლის ფსონს, მაგრამ ზუსტად იმდენით, რომ ეს ცვლილება ძველ სიმბიოზზე უკეთესს არაფერს გულისხმობს.

და ამ ძველ პროცესში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, უკვე დიდი ხანია, არა მხოლოდ მოხსნეს დღის წესრიგიდან, არამედ არც არასდროს შეუყვანიათ. ხოლო ის „ქაფი“, რაც ამ თემასთან დაკავშირებული დისკუსია შეიძლება გვეგონებოდა, სულ სხვა „რძეს“ ადგას. 

/21 არჩევნები რუსული აქცენტით /23 ოპოზიციის ოპოზიციის კლიჩეა /24 ოსი ღვინოები
/26 დაუსრულებელი პროცესი



ფოტო REUTERS / სტოიკოვიჩი

■ აზვისტო, სოხუმი 2008

აფხაზეთი არჩევნები რუსული აქცენტით

რუსეთთან ერთიანობა აფხაზეთში
ენისაარჩევნო კავშირის მთავარ თეზისი >>

ანდრე კრივენიუკი, სოხუმი

აფხაზეთის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ოპოზიციური მოძრაობა „ახაცას“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ხელისუფლება ნაციონალური ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაში დაადანაშაულა.

ეს გასაკვირი არ არის. რაულ ხაჯიმბა, როგორც თავად ამბობს, ბალაფის გუნდის წევრი არასოდეს ყოფილა. „მე გულწრფელად ვეუბნებოდი ამის შესახებ პრეზიდენტსაც და პრემიერ-

მინისტრ ალექსანდრე ანქვაბსაც“, – განუცხადა ხაჯიმბამ ჟურნალისტებს. იგივე თქვა თავად ბალაფშამაც, როცა ხაჯიმბას გადადგომის შესახებ კომენტარი სთხოვეს.

ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ოპოზიციას იმაში ეთანხმება, რომ ეკონომიკური პროექტები, რომლებსაც პრეზიდენტი ლობირებს, ისევე, როგორც საზღვრის ერთობლივად დაცვის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმება, ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს.

ხაჯიმბა ამბობს, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმება, რომელიც აფხაზეთმა რუსეთთან გააფორმა, განხილული არ ყოფილა არც პარლამენტში, არც უშიშროების საბჭოზე. მისი თქმით, საეჭვო ვითარებაში გაფორმდა ეკონომიკური შეთანხმებები რკინიგზასთან, აეროპორტთან და განსაკუთრებით ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით.

რუსულ კომპანიებთან ბუნდოვანი ეკონომიკური თანამშრომლობის გამო უკმაყოფილო აფხაზურმა საზოგადოებამ პირველად

მაისში იფეთქა. ეს საპრეზიდენტო კამპანიის ერთგვარ სტარტადაც იქცა.

ოპოზიცია პირველად გამოვიდა ერთიანი ფრონტით აფხაზეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ. ხელისუფლებაშიც საიმოვნებო მიიღო ეს გამოწვევა და ოპოზიცია ანტირუსული განწყობების გაღვივებაში დაადანაშაულა. სახელმწიფო ტელეარხზე გავიდა გადაცემა, სადაც სხვადასხვა რეგიონის რიგითი მოქალაქეები ოპოზიციის ლიდერებს პროვოკაციებსა და ანტირუსული პროპაგანდის გავრცელებაში ადანაშაულებდნენ.



ეროვნული უშიშროება, როგორც რუსეთთან გვიწინა ურთიერთობების მომხრე არიან, ხელისუფლებას დაუჭიროებს. აფხაზები კი, როგორც ანტირუსული იდეოლოგიის დახმარებელია.

რუსეთთან ურთიერთობის თემა აფხაზეთში მართლაც დელიკატურია. საზოგადოება კონსტრუქციულადაა განწყობილი ჩრდილოეთი მეზობლის მიმართ, განსაკუთრებით – რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ. თუმცა, აფხაზეთის ხელისუფლების რუსეთთან გადამეტებული დაახლოების გამო შეშფოთება იზრდება.

ხელისუფლება ანტირუსული განწყობების თეზისს აქტიურად ანვითარებს სახელმწიფო ტელევიზიის მეშვეობით. ოპოზიციამ თავისი მიზნებისთვის ტელეარხი „აბაზა“ გამოიყენა, რომელიც ერთ-ერთ ოპოზიციონერს ბესლან ბუტბას ეკუთვნის. თუმცა, „აბაზა“ მხოლოდ სოხუმის მასშტაბით მალევე დაიშალა. რიგითი მოქალაქეების აზრი „რუსეთის თემასთან“ დაკავშირებით სხვადასხვაგვარია. „მე ბალაფს მივცემ ხმას. ჩემთვის გაუგებარია რუსეთთან დაშორების პოლიტიკა, რომელსაც ოპოზიცია უწევს პროპაგანდას. უფრო მშვიდად ვარ, როცა ვიცი, რომ რუსეთი დამიცავს“, – ამბობს 23 წლის ანა ზახარიანი.

სოხუმელი გურამ აჟიბა ოპოზიციის მხარდამჭერია. „მე ხელისუფლებას, მოსკოვის მხარდაჭერას ამოფარებული, ნაწილ-ნაწილ ჰყიდის აფხაზეთს. სინამდვილეში ტყუილია, როცა ამბობენ, რომ ოპოზიციურად განწყობილი ხალხი რუსეთის წინააღმდეგია. პირიქით, ჩვენ რუსეთთან თანაბარ უფლებიანი ურთიერთობის მომხრე ვართ“, – ამბობს ის.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი, ახლა კი ოპოზიციონერი გენადი არძინა ამბობს, რომ ხელისუფლების მომხრეები და

მონინალმდეგეები ეთნიკური ნიშნით იყოფიან. „ეროვნული უმცირესობები, რომლებიც რუსეთთან მაქსიმალურად მჭიდრო ურთიერთობების მომხრე არიან, ხელისუფლებას დაუჭერენ მხარს, რომელიც, მათი აზრით, უფრო პრო-რუსულია. აფხაზები კი, რომელთაც ტერიტორიისა და ეთნიკური იდენტობის დაკარგვის შიში აქვთ, მიემხრობიან ოპოზიციას, რომელმაც ისეთი თემები წამოწია, როგორცაა ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე კონტროლის დაკარგვა“, – მიიჩნევს არძინა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან გაფორმებული ეკონომიკური შეთანხმებების წინააღმდეგ გამოსვლებმა ოპოზიცია გააერთიანა, ჯერ მაინც ბუნდოვანია, შეძლებს თუ არა ოპოზიცია საარჩევნოდ ერთიანი ფრონტით ბრძოლას.

არსებული ინფორმაციით, აქამდე ოპოზიციურ პარტიებს შორის შესაძლო გაერთიანების შესახებ გამართულმა კონსულტაციებმა დადებითი შედეგი არ გამოიღო. არის სამი მსხვილი ოპოზიციური ჯგუფი, რომელიც აფხაზეთის პრეზიდენტობის სხვადასხვა კანდიდატების გარშემო იკრიბება. ეს არის „ეკონომიკური განვითარების პარტია“, რომლის ლიდერი ბესლან ბუტბა ჯერჯერობით ერთადერთი ოპოზიციონერია, რომელმაც განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. მეორე პარტიაა „ნაციონალური ერთიანობის ფორუმი“, რომელიც არაერთ ქარიზმულ და ამბიციურ ლიდერს აერთიანებს; და მესამე – ეს არის 1992-1993 წლების ომის ვეტერანების მოძრაობა „არუა“ (მეომრები).

თითოეული ძალა განსხვავებულია. მაგალითად, „ეკონომიკური განვითარების პარტია“ ინტელექტუალების ბუდედ ითვლება, სადაც წინასწარჩვენო პერიოდში ბევრი საინტერესო იდეა იბადება. „ნაციონალური ერთიანობის ფორუმი“ ტრადიციული ელექტორატი ჰყავს – ე.წ. „ხაჯიმბისტები“, რომლებიც წინა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არსად წასულან. „არუას“ უკან უხეში ფიზიკური ძალა დგას – ხალხი, რომელიც მზად იქნება გამოვიდეს ქუჩაში იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლიან, რომ ხელისუფლება ბინძურ თამაშს თამაშობს.

თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გაერთიანების გარეშე, ოპოზიციას გამარჯვების დიდი შანსი არ აქვს. „ბალაფსის რეიტინგი, ცხადია, ის არ არის, რაც ადრე იყო, მაგრამ ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც სტა-

ბილურობა სურს, მას დაუჭერს მხარს. ამიტომ, ოპოზიცია აუცილებლად უნდა გაერთიანდეს, თუნდაც იმისთვის, რომ მეორე ტური დაინიშნოს“, – ამბობს გენადი არძინა. თუმცა, როგორც ჩანს, ლიდერებს საერთო კანდიდატურაზე შეთანხმება გაუჭირდებათ. ბუტბას გარდა, სავარაუდოდ, პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძოლებს რაულ ხაჯიმბა და აფხაზეთის საზღვაო ნაოსნობის დირექტორი, ზაურ არძინა.

სერგეი ბალაფმა უკვე ოფიციალურად გამოთქვა სურვილი, მეორე ვადით გახედეს აფხაზეთის პრეზიდენტი. მას აქტიურად დაუჭერს მხარს პარტია „ედინაია აბაზა“, რომელიც ადმინისტრაციულ რესურსს აერთიანებს. ამ პარტიას სათავეში უდგანან აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტის საკვანძო ფიგურები. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მოლოდინები არსებობს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სავარაუდო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს. ის „ედინაია აბაზიას“ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს და, ბალაფის წარმატების შემთხვევაში, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის სავარაუდო კი მოირგოს. გაურკვეველია პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანჭვაბის სამომავლო გეგმები. ცოტა ხნის წინ იყო მისი პოლიტიკური მოძრაობის, „აიტიარას“ (ალორძინება) რეანიმირების მცდელობა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ანჭვაბს, შესაძლოა, საკუთარი თამაშის წამოწყება სურდეს. მცდელობა არც ისე წარმატებული იყო, მაგრამ ანჭვაბს აქვს დრო. აფხაზეთის მთავრობის კულუარებში ამბობენ, რომ ანჭვაბი ამ არჩევნებზე პრეზიდენტის გუნდის წევრი არ იქნება. თუმცა, მანერირებისთვის მას დიდი გასაქანი არ აქვს.

არსებობს ინფორმაცია, რომ თითოეული კანდიდატი ცდილობს, მოსკოვისგან მხარდაჭერა მოიპოვოს. რაულ ხაჯიმბა ამას კატეგორიულად უარყოფს. „მე პრო-აფხაზური პოლიტიკის ვარ და არასოდეს ვყოფილვარ მოსკოვის მიერ ხელდასმული. მე არ ვმართავ არავითარ კონსულტაციებს აფხაზეთის ფარგლებს გარეთ“, – განაცხადა მან.

ამ თემაზე უფრო ლიად საუბარს თანხმდება ბესლან ბუტბა. „მოსკოვი ყოველთვის ერთი ტაქტიკაა – მოქმედ ხელისუფლებასთან მუშაობა ურჩევნიათ. თუმცა, კრემლისთვის ახლა სულ ერთია, ვინ მოვა აფხაზეთის სათავეში. მოსკოვი ყველასთან თანამშრომლობს“, – ამბობს „ეკონომიკური განვითარების პარტიის“ ლიდერი. ■

კოკოითის მოვლათა კლინიკა

მიხედავად საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისა,

კოკოითის ხანა სამხრეთ ოსეთში, პესაპოტა, არც ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა. >>

ოლაზ ჯიოვი, ცხინვალში



ფოტო REUTERS / ილზარ კოჩინიძე

საპარლამენტო არჩევნებში სამხრეთ ოსეთში, 31 მაისი, 2009

კოკოითის მესამე ვადით გაპრეზიდენტებისთვის ნიადაგის მზადება არჩევნებამდე ბევრად ადრე დაიწყო. ტექნიკურად ამისათვის მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებია საჭირო, რომელთა მიღებაც სირთულე არ იქნება 34-დეპუტატიანი ახლად არჩეული პარლამენტისთვის, სადაც 17 წევრი კოკოითის „ერთობიდანაა“, დანარჩენი კი პროსახელისუფლებო ოპოზიციიდან.

სამხრეთი ოსეთის რვანლიანი სტაჟის მქონე ლიდერი მესამე ვადის შესაძლებლობას თავადაც არ უარყოფს. როცა ჟურნალისტები მას ამის შესახებ ეკითხებიან, კოკოითი შუბლშეჭმუნხილი პასუხობს: „არჩევნებამდე ჯერ დიდი დროა და მანამდე ბევრი საქმეა გასაკეთებელი“.

თუმცა თუ რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი სოციალური ვითარება არ გამოსწორდა, კოკოითს, შესაძლოა, გაუჭირდეს ხელისუფლების შენარჩუნება.

ოპოზიციას, რომელიც კოკოითს ბოლო დროს პრობლემებს უქმნის, მას სწორედ იმის გამო აკრიტიკებს, რომ რესპუბლიკაში საქმე არ კეთდება და რუსეთის მიერ ომის შედეგების ლი-

კვიდაციისთვის გამოყოფილი თანხები უგზო-უკვლოდ იკარგება.

ცხინვალის ქუჩებში დამწვარ ქართულ ტანკებს ვეღარ ნახავთ, მაგრამ ბევრია დანგრეული შენობა, რომელთა გაშავებულ კედლებს ალაგ-ალაგ წინასაარჩევნო პლაკატები ამშვენებს, სადაც მომღიმარი ცხინვალელი პოლიტიკოსები რუს კოლეგებთან ერთად არიან გამოსახულნი.

გზები ისევ არ აღდგენილა. ცხინვალის მიტოვებული და უკაცრიელი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. დღეს აქ საგრძობლად ნაკლები ხალხია, ვიდრე ომამდე.

ცხინვალის ცენტრში, სტალინის ქუჩაზე, რომელსაც მედვედევის ქუჩად გადაკეთებას უპირებენ, დიდი პლაკატი ფრიალებს წარწერით „თითოეული ხმა არის აგური ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის!“

ოფიციალური მონაცემებით, 31 მაისს არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩევლთა 82-მა პროცენტმა მიიღო.

რეალობა კი განსხვავებულია. არჩევნების გასაშუქებლად ჩასულ რუს და უცხოელ ჟურნალისტებს საარჩევნო უბნები, როგორც წესი, ცარიელი ხედებოდათ.

მოსახლეობაში გამეფებული აპათია ვერც სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად გამეფებულმა სალუტმა გადაფარა. სანახაობას, რომლის ინიციატორი კოკოითი იყო, არც ისე ბევრი მაყურებელი ჰყავდა.

ცხინვალელი ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ძალიან მალე მოსახლეობის მოთმინება კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს და თუ ხელისუფლება არ გადაჭრის პრობლემებს, რომელთა მოგვარებასაც ხალხს დაჰპირდა, მაშინ მოსახლეობა საკუთარ მოლოდინებს წინასაარჩევნო ბრძოლიდან გარიყულ ოპოზიციას დაუკავშირებს.

„სამხრეთი ოსეთის საზოგადოებას წაართვეს პიროვნებების არჩევის შესაძლებლობა და პარტიების ჩარჩოებით შემოზღუდეს“, – ამბობს დამოუკიდებელი ექსპერტი სამხრეთ ოსეთიდან, ალან პარასტაევი, რომელიც მიიჩნევს, რომ კოკოითს ყველაზე მეტად პი-

როვნული კონკურენციის ემინია. ამ საპარლამენტო არჩევნების დროს მათორიტარი კანდიდატების სიაც კი არ არსებობდა.

მიუხედავად კოკოითის გამარჯვებისა, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ქვეყანაში ოპოზიციას არსებობს და რეალური საპროტესტო მოძრაობა მნიშვნელოვანია. „საზოგადოებრივად, მაგრამ მაინც იღვიძებს. ხალხმა პირველად დაინახა პიროვნებები, რომლებიც ღიად აკრიტიკებენ ხელისუფლებას და, რაც მთავარია, ამომრჩევლებს კრიზისიდან გამოსვლის საკუთარ გზებს სთავაზობენ“.

ოპოზიციას, რომელიც მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებდა, კოკოითმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. სხვადასხვა ხრიკებით მან წინასაარჩევნოდ რეგისტრაციიდან საკუთარი კონკურენტების მოხსნა მოახერხა.

ალან პარასტაევის აზრით, ოპოზიციამ „სტრატეგიული შეცდომა“ დაუშვა, როცა საპროტესტო ტალღა მოსკოვში ააგორა, და არა ცხინვალში.

მოსკოვსა და ვლადიკავკაზშია თავმოყრილი კოკოითის ოპოზიციის ძირითადი ნაწილი. 21 მაისს სამხრეთ ოსეთის გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოსკოვში, სახელმწიფო დუმის შენობასთან პიკეტი მოაწყო. მოპიკეტეები სამხრეთ ოსეთში გამეფებულ „ტოტალიტარულ რეჟიმს“ და მოსკოვიდან გამოგზავნილი ფულის დატაცებაზე ლაპარაკობდნენ.

„დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკის პრინციპს არ შეესაბამება, როცა ამგვარ განცხადებებს სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან აკეთებ. ხოლო თუ ამას კრემლისადმი სიახლოვის გამოხატვის მცდელობად განვიხილავთ, ეს ნამგებიანიცაა. ოპოზიციას იგივე შემადგენლობით ცხინვალში რომ ემოქმედა, ხელისუფლებაც უფრო გაუწევდა ანგარიშს და ხალხსაც პატივისცემა გაუჩნდებოდა“.

ოპოზიციას, რომელმაც ცხინვალის კოკოითის ტერორის შედეგად დატოვა, გააქტიურებას არჩევნების შემდეგ აპირებს.

არჩევნების დღეს სამხრეთი ოსეთის



საზღვრები მკაცრად კონტროლდებოდა, რათა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არც ერთი ლიდერი არ შესულიყო.

სახალხო პარტიის აქტივისტი ალან გასიევი ოპოზიციის რიგებში იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელმაც არჩევნების დღეს ცხინვალში ჩასვლა მოახერხა. ვლადიკავკაზიდან მან „ლიბერალის“ კორესპონდენტთან ერთად იმგზავრა.

როკის გვირაბთან მიახლოებისას ალან გასიევი მზადებას იწყებს: ვლადიკავკაზში გამომავალი ოპოზიციური გაზეთის „პოზიციის“ რამდენიმე ნომერს ავტომანქანის სავარძლებს შორის მალავს, ქართული მობილური ოპერატორის „მაგთის“ სიმ-ბარათს კი ფანჯრიდან აგდებს. „სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ამ სიმ-ბარათის გამო შეიძლება დიდი პრობლემები შემექმნას“, – ამბობს იგი.

როკის უღელტეხილის სამხრეთით საგუშაგოზე თითოეული მგზავრით დეტალურად ინტერესდებიან – ვინ არის, სად მიდის, ვისთან და რატომ.

„თუ სამხრეთი ოსეთის ხალხი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებას აპირებს, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება აუცილებელია რათა რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებმაც გვალაირონ“, – ამბობს ოპოზიციის ლიდერი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, თუ როგორ პირობებში უნევდათ მუშაობა არჩევნების გასაშუქებლად ჩასულ უცხოელ ჟურნალისტებს – ისინი ცხინ-

ვალში კი არა ჯავაში დაასახლეს. ეს იმით ახსნეს, რომ ჯავაში საუკეთესო პირობებია. ჟურნალისტები ჰყვებიან, რომ ადგილობრივი ინტერნეტის შენობაში შეასახლეს და ორ საერთო დარბაზში გააანაწილეს – „გოგონებისთვის“ და „ბიჭებისთვის“. არჩევნების დღეს ჟურნალისტები ცხინვალში ორგანიზებულად ჩაიყვანეს. მუშაობისას ისინი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ესპანური გაზეთის El Pais-ის ჟურნალისტს პილარ ბონეს განსაკუთრებული თავგადასავალი გადახდა. ჟურნალისტმა თავისი ნოუტბუკი ცხინვალში, ჟურნალისტებისთვის მოწყობილ პრესცენტრში დაცვის თანამშრომელს დაუტოვა. ნოუტბუკმა დაცვას ეჭვი აღუძრა. გამომძახებული გამნაღმველების ბრიგადას ბევრი არ უფიქრია, კომპიუტერი ქალაქგარეთ გაიტანეს და ააფეთქეს.

არჩევნების დღეს ჟურნალისტებისთვის შეუვალი აღმოჩნდა ჯავის რაიონის ქალაქი კვაისა. საქმე ისაა, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კვაისამ მემბოხე ქალაქის სახელი გაითქვა.

გავრცელდა ხმა, თითქოს ქალაქის ადმინისტრაციამ სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. სწორედ ამ ქალაქიდანაა წარმოშობით სამხრეთ ოსეთის ყველაზე ცნობილი ოპოზიციონერი ალბერტ ჯუსოევი, სამშენებლო ფირმა „სტროიპრო-

გრესის“ ხელმძღვანელი; ეს ის ფირმაა, რომელსაც ვლადიკავკაზიდან ცხინვალში გასაადენი გაჰყავს. ალბერტ ჯუსოევმა თავის ფირმაში ბევრი კვაისელი დაასაქმა, ამიტომაც, აქ მისი ავტორიტეტი უფრო მაღალია, ვიდრე კოკოითის.

კვაისაში შეღწევა მხოლოდ რამდენიმე რუსმა ჟურნალისტმა მოახერხა. ისინი ჰყვებიან, რომ ქალაქი საცხე იყო ავტომატიანი სამართალდამცავებით. ქუჩაში მოსახლეობა არ ჩანდა, საარჩევნო უბნებს, საერთო ჯამში, მხოლოდ 200-მა კაცმა მიაკითხა.

ოპოზიცია ამბობს, რომ არჩევნები ფალსიფიცირებულია, თუმცა ამ განცხადებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. არჩევნების შედეგებს არავინ გადახედავს. კოკოითმა ლოიალური პარლამენტი მიიღო და ახლა მას მოქმედების სრული თავისუფლება აქვს.

მოსკოვი, როგორც ჩანს, აღფრთოვანებული არ არის იმ იდეით, რომ კოკოითი მესამედ გახდება პრეზიდენტი. ამას მოწმობს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სერგეი ნარიშკინის განცხადებაც იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთმა საკუთარი კონსტიტუცია უნდა შეინარჩუნოს. ამის საპასუხოდ, რესპუბლიკური ტელეარხის ეთერით კოკოითის ნათესავი, ადგილობრივი ანალიტიკოსი, კოსტა კომტე განმარტავდა, რომ ეს ნარიშკინის პირადი აზრია და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცხოვრებაში ჩარევის უფლება არა-ვის აქვს. ■



საპარტიო

ოსი დევნილები

სიონიბიძიან ფაუნაბაძე და ფაუნაბიძიან დავნილაძე – აზა, რომაინი ოსებათმა ოსურა ოჯახსა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განვიღო. >>

ნათია კუპრაშვილი, შაშიანი, თბილისი

მარნეულის რაიონის სოფელ შაშიანში, აგვისტოს ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისთვის შექმნილ კომპაქტურ დასახლებებს ოცდაათი ოსური ოჯახიც აფარებს თავს.

ოცდაათივემ ცხინვალში თითქმის ერთდროულად, 2007 წლის ნოემბერ-

ცხინვალში დევნილები სოფელ შაშიანში

ფოტო მარია შინაშვილი

ში დატოვა და სამხრეთ ოსეთის ქართული მხარის მიერ კონტროლირებად სოფელში – ხეითში დასახლდა. ხეითი დღეს ოკუპირებულია.

ამ სოფელში ცხინვალელები მას შემდეგ გადმოვიდნენ, რაც დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოვევი კეთილმოწყობილ ბინებს, სამუშაო ადგილებს და ფულად კომპენსაციას დაჰპირდათ.

„ამ ხალხს იმაზე უკეთესი პირობების შექმნას დავპირდით, ვიდრე მათ ცხინვალში ჰქონდათ, ან შეიძლება ოდესმე ჰქონოდათ. ჩვენს სიტყვას ყოველთვის ვასრულებთ. მომავალში ამ ოცდაათ ოჯახს კიდევ ბევრი მიბაძვას და კოკოითი თავისი კრიმინალური გარემოცვის ამარა დარჩება“, – აცხადებდა დიმიტრი სანაკოვევი ცხინვალის გადმოსული ოჯახების პირველი ნაკადის მიღებისას.

პირველ ნაკადს ხეითში ალბინა ალბაროვა ორი წლის ვიკასთან ერთად ჩამოჰყვია. ალბინა ამბობს, რომ შეთავაზებულ წინადადებაზე უარი ვერ თქვა:

„სამწინააღმდეგო გვიჩივდა. ბინაზე და სამსახურზე უარს ვერ ვიტყვოდი. თუმცა იმან, რაც ხეითში დამხვდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩამოსვლისთანავე ბინის ორდერები და ფული მოგვცეს. სახლში რომ შევედი და ვნახე, ცხოვრება რა პირობებშიც მომიხდებოდა, შოკში ჩავვარდი. რამდენიმე დღე გაოგნებული დავდიოდი“, – იხსენებს ალბინა უახლესი საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და ავეჯით გავსებულ თავის ბინას.

30 ოჯახის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველსაყოფად მხოლოდ 2007 წელს სამხრეთ ოსეთის დროებითმა ადმინისტრაციამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიონი ლარი დახარჯა.

ხეითში ჩასახლებულ ოჯახებს ახლად აშენებულ, კეთილმოწყობილ ბინებთან ერთად ექვსი ათასი ლარი და სტაბილური სამსახურიც ერგოთ – ოჯახიდან თითო წევრი დროებით ადმინისტრაციაში იყო გაფორმებული და ყოველთვიურად 500 დოლარს იღებდა. ჩამოთვლილი სიკეთებიდან ხეითში გადმოსახლებულებს დღეს მხოლოდ ხელფასი შემორჩათ.

ალბინამ 2008 წლის 9 აგვისტოს ხეითი ნაჩქარევად, მხოლოდ ტანსაცმლის ამარამ დატოვა.

დღეს იგი სხვა 17 ოსურ ოჯახთან ერთად მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში, ყოფილი რუსული სამხე-

დრო ნაწილის ტერიტორიაზე კორპუსებში ცხოვრობს.

ლალი ფუხაევა, რომელიც სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში ლტოლვილთა საკითხებს კურირებს, ამბობს, რომ კიდევ სამი ოსური ოჯახია განსახლებული ლაგოდეხში, დანარჩენი კი – გორის რაიონში.

ეთნიკური სომხებით დასახლებული სოფელი შაუმიანი მარნეულის რაიონიდან, სადაც უმრავლესობას ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ, 25 კილომეტრითაა დაშორებული.

სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ სოფელი შაუმიანი ხეითიდან დევნილებმა საცხოვრებლად თავად შეარჩიეს.

ალბინა და სხვა დევნილები ამბობენ, რომ სოფელში განაწილებით მოხვდნენ. საცხოვრებელ კორპუსებად გადაკეთებულ სამხედრო დასახლებაში შარშან დეკემბერში სულ 209 ოჯახი შესახლდა. ყველა აქ მცხოვრებს დევნილის მონმობა ერთი თვის წინ გადაეცა.

„მადლობა დიმიტრი სანაკოვეს, ყველაფრით კმაყოფილი ვართ“, – ამას საუბრისას, ალბინას მსგავსად, მისი მეზობლებიც ხშირად ამბობენ, თუმცა ვერ მალავენ, რომ ცხინვალში დარჩენილ ნათესავებთან კავშირის განწყვეტას ძალიან განიცდიან.

თავად ალბინას ცხინვალში, დედამამასთან, 14 წლის ვაჟი დარჩა.

„ცხინვალში ოსურ სკოლაში სწავლობდა და ხეითში ამიტომაც არ წამოვიყვანე. ომამდე შეხვედრას ვახერხებდით. ახლა ვერ ვნახულობ და არც ვიცი, ვნახავ თუ არა. ხეითში გადმოსვლის შემდეგ ჩვენ იქ მოლაღატეებად შეგვრაცხეს და ნათესავებს ურჩიეს, ჩვენთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ“, – ამბობს ალბინა.

აგვისტოს ომამდე ხეითში კიდევ 120 ოჯახისთვის მოასწრეს ბინების აშენება. უკვე დასრულებული იყო სპორტული კომპლექსი, პარკი, ატრაქციონები.

ხეითში გადმოსახლებული ცხინვალელებისთვის უფასოდ მუშაობდა დაცვის სამსახური, მზარეულებისა და დამლაგებლების ბრიგადები.

დროებით ადმინისტრაციაში უჭირთ იმ თანხის დაკონკრეტება, რაც ამ პროექტისთვის სრულად დაიხარჯა. თუმცა, ამბობენ, რომ პროექტისათვის საჭირო ხარჯები დღესაც გაიცემა. პროექტის ფარგლებში დროებით ადმინისტრაციაში „დასაქმებულებს“ ხელფასები დღემდე ეძლევათ. ეს სამ-

სახური სიმბოლურია, რეალურად არც ერთი მათგანი არ მუშაობს.

„ეს უფრო კომპენსაციაა, თორემ ადმინისტრაციაში ჩასვლას იშვიათად ვახერხებთ. მადლობა დიმიტრი სანაკოვეს“, – ამბობს ერთ-ერთი ასეთი დასაქმებული დიანა თედეევა, რომელიც ამ კომპენსაციის გარდა, შაუმიანში დასახლებულების მსგავსად, დევნილებისთვის განკუთვნილი სოციალური პაკეტებითაც სარგებლობს.

დიანას ახალი, ქართული მეზობელი, გოდერძი ხადური ამბობს, რომ მეზობელი ოსებისთვის ყოველთვიური მაღალი შემოსავალი არ ენანება, მაგრამ თავი მაინც დაჩაგრულად მიაჩნია.

„რა, ჩვენ არ შეგვიოდით სანაკოვეის ადმინისტრაციაში?! თუ ამით ასაქმებენ, ჩვენ რით ვართ განსხვავებულები?“ – კითხულობს გოდერძი ხადური.

„უსამართლობა იქნებოდა, ცხინვალის გადმოსახლებული ოსები ხელფასის გარეშე დაგვეტოვებინა. დევნილთა დახმარება კი სხვა უწყებების კომპეტენციაა“, – ამბობს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსი ია ბარათელი.

შაუმიანში დასახლებული ხეითიდან დევნილი ოსური ოჯახები ახალი ბინის ორდერების მოლოდინში არიან. საქართველოს ხელისუფლების გადანაცვლებით, მათ დროებითი საცხოვრებელი საკუთრების უფლებით უნდა გადაეცეთ.

„შაუმიანიდან მაინც აღარავინ გაგყრის, აქედან ნასვლა მაინც აღარ მოგიწევს. მადლობა დიმიტრი სანაკოვეს“, – ამბობს ალბინა.

„ამ ხალხს იმაზე უკეთესი პირობების შექმნას დავპირდით, ვიდრე მათ ცხინვალში ჰქონდათ, ამ ოცდაათ ოჯახს კიდევ ბევრი მიბაძვას და კოკოითი თავისი კრიმინალური გარემოცვის ამარა დარჩება“ – ახსნალებს დიმიტრი სანაკოვევი.



ნიმდა დვალიძე,
იურიდიული ფირმა
Attorney-ს პარტნიორი,
ადვოკატი

დაუსრულებელი პროცესი

სასამართლო რეფორმა არასრულფასოვანი იქნება, თუკი პროკურორებისა და მოსამართლეებისგან განსხვავებით, ადვოკატები ცვლილებების მიღება დარჩებიან. იმედა დვალიძე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერ გაერთიანებად, რომელიც ამ პროფესიის სათანადო რეგულაციას და მართვას შეძლებდა. მართალია, ასოციაციის რამდენიმე წევრის დახმარებით გადაიდგა ნაბიჯები ადვოკატთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად, მაგრამ საყოველთაო და უწყვეტი პროფესიული განათლების პრინციპის დანერგვა-რეალიზაცია ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანად რჩება.

სამწუხაროდ, ეთიკის კოდექსი სრულფასოვნად არ ამოქმედებულა; არც ასოციაციის ბიუჯეტის ფორმირების პროცესი ყოფილა გამჭვირვალე; თანხების ხარჯვისას პრიორიტეტები არ იყო ნათლად განსაზღვრული; ჯერ კიდევ დასახვეწია ადვოკატთა ერთიანი სია.

ასოციაციის საქმიანობის ხარვეზებს სხვადასხვა მიზეზი აქვს. მათი ნაწილი ზოგიერთი საკანონმდებლო განაწესითაა გამოწვეული, ნაწილი კი იმით, რომ თავად ადვოკატებმა ვერ შევქმნილთ კორპორაციული ერთობის მიღწევა და მწყობრი თვითმმართველობის შექმნა.

მიმაჩნია, რომ პროფესიის დაუფლებების მარტივი პროცედურების გამო, გართულდა ადვოკატთა გაერთიანების დაცვა არაპროფესიონალებისგან. სანქციები პროფესიული ქცევის წესების დამრღვევ ადვოკატთა მიმართ ხშირად არ გამოიყენება. მართალია, ადვოკატთა საქმიანობით უკმაყოფილო პირთა განცხადებები ასოციაციის ეთიკის კომისიაში იშვიათად შედის, მაგრამ ვფიქრობ, საჩივართა სტატისტიკა ადეკვატურად ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას. მიმაჩნია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზია ასოციაციის მიმართ ნდობის ნაკლებობა ან ინფორმაციის არქონა.

მართალია, საქართველოს პარლამენტმა კანონი „ადვოკატთა შესახებ“ 2001 წელს მიიღო, მაგრამ ასოციაცია 2006 წლის თებერვლამდე ვერ ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში ადვოკატებს ინიციატივა რომ გამოგვეჩინა და გარკვეული პროფესიული გაერთიანებები დაგვეფუძნებინა, ვფიქრობ, ჩამოყალიბდებოდა კორპორაციული ერთობის ერთგვარი ტრადიცია. გაერთიანებული ძალისხმევით დაგროვდებოდა საქმიანობის გარკვეული გამოცდილება და, მოგვიანებით, უფრო გაიოლდებოდა ამ ჯგუფების თავმოყრა. ჩვენ ეს „ევოლუციის პროცესი“ გამოვტოვეთ, დრო დავეკარგეთ. შექმნილმა ვითარებამ ადვოკატთა ნაწილს გვაფიქრებინა, რომ გამართლებული იქნებოდა საქართველოში რამდენიმე ასოციაციის დამოუკიდებელი თანაარსებობა. თუმცა, დისკუსიების შედეგად აზრი ისევ ერთიანი ასოციაციის სასარგებლოდ შეიცვალა და გადაწყდა, რომ სიცოცხლისუნარიანი ორგანიზაციის შექმნის რესურსი არსებობს.

ამ მიზნის მისაღწევად, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის, ევროკომისიის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი და ცვლილებების პროექტი ასოციაციის წესდებაში. ეს ცვლილებები ძირითადად შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა: ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ხელმძღვანელობითი როლის მაქსიმალური შესუსტება და წარმომადგენლობითი ფუნქციის მხოლოდ ნაწილობრივ შენარჩუნება, თავმჯდომარისთვის, მისი საქმიანობის გამო, გასამრჯელოს მიცემაზე უარის თქმა, მენეჯერის (აღმასრულებელი დირექტორის) თანამდებობის შემოღება და მისი კონკურსის წესით შერჩევა; აღმასრულებელი საბჭოს, როგორც კოლექტიური მართვის ორგანოს რიცხოვნობის ზრდა, წევრთა როტაციის პრინციპის დანერგვა და საბჭოს ფუნქციების გაფართოება, სავალდებულო განათლების

შემოღება, ასოციაციის ქმედითუნარიანობის უზრუნველსაყოფად სავალდებულო კვორუმის გაუქმება და სხვა. ცვლილებათა პროექტები თავად ადვოკატთა შორის საბოლოო შეთანხმების და რედაქციული სრულყოფის ეტაპზეა. პრობლემების გამოწვევების გარდა, ჩვენი ბუნებრივი სურვილია, ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს უცხოური გამოცდილებაც.

მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის გაძლიერებაც, რომლის შემადგენლობაში,

შესაძლებელია, არაადვოკატებიც დასახელდნენ და შეირჩნენ, რაც ამ ორგანოს მიმართ ნდობას აამაღლებს. ჯერჯერობით ეს მოსაზრება განსჯის საგანია.

აუცილებლად უნდა მოხერხდეს იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა მხრიდან ერთმანეთის საქმიანობაში ჩართვა. მნიშვნელოვანია ადვოკატთა უფრო ინტენსიური მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესებშიც, რაც დღემდე არ ხდება; აგრეთვე – „გარეშე პირთათვის“ საადვოკატო საქმიანობის უფლების მაქსიმალური შეზღუდვა, რაც შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფით უნდა მოხერხდეს.

დღეს ქართული სახელმწიფო სასამართლო რეფორმის განხორციელების ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპს იწყებს. სამართალწარმოების, პროცესის მხარეთა რეალური თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვისას მნიშვნელოვანია, რომ თავად ადვოკატებმაც მოვახერხოთ განუხრელი პროფესიული ზრდა, დადგინილი ქცევის წესების დაცვა, პარალელურად კი, კანონიერი უფლებების და ინტერესების დასაცავად რეალურად დამოუკიდებელი, გამართული, ეფექტური და აქტიური ერთობის ჩამოყალიბება. **□**

მნიშვნელოვანია ადვოკატთა უფრო ინტენსიური მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესებშიც, რაც დღემდე არ ხდება.

/27 სასამართლო რეფორმა /30 აღვოქაგვაი 371-ე პაკეტი მუხლის წინააღმდეგ
/32 სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია /33 საქონლის კონტროლი



ილია ციკლაური მხატვარი

სასამართლო რეფორმა

ქართული სასამართლო სისტემის სასამართლოს ახალი კოდექსის მიღების შემდეგ ფუნდამენტურად შეიცვლება საზოგადოება და პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ამ თემაზე სასაუბროდ ჯარჯარობით ვერ იცვლიან. >>

ნინო გაბიძე

საქართველოში სასამართლო რეფორმა 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მიღებით დაიწყო. რეფორმა ამერიკის იურიდიული დეპარტამენ-

ტისა და ევროპის საბჭოს ექსპერტების მონაწილეობით ხორციელდება და ის სასამართლოს, პროკურატურისა და პენიტენციური სისტემის სრულ გარდაქმნას გულისხმობს. პროცესში ჩართული არასამთავრობო სექტორიც.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის შედეგად თითქმის მთლიანად იცვლება სასამართლო სისტემა, საზოგადოება და მედია ამ თემაზე ნაკლებად მსჯელობს. რეფორმის მსვლელობისას ერთ-ერთი უმნიშვნე-

ლოვანესი იყო 2007 წლის კონსტიტუციური ცვლილება, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო ხელისუფლების ორგანოდ იქცა. მანამდე ის პრეზიდენტის სათაბირო ორგანოს წარმოადგენდა და დღევანდელ ბერკეტებს არ ფლობდა. დღეს უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 9 მოსამართლეა, საბჭოს კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.



რეფორმა შეეხო პროკურატურასაც. ეს სტრუქტურა მთლიანად იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა და მისი როლიც შეიცვალა. პროკურორი დღეს, ექსკლუზიური, გამონაკლისი საქმეების გარდა, მხოლოდ საპროცესო ზედამხედველია.

რეფორმის შემდეგ ეტაპზე შეიცვლება მოსამართლეთა დანიშვნის წესიც. მოსამართლეებს, არა 10 წლის ვადით, არამედ, უვადოდ აირჩევენ და გამკაცრდება შერჩევის წესები. კონსტიტუციის მიხედვით, აუცილებელია, კანდიდატი 28 წლის იყოს, ჰქონდეს 5 წლის მუშაობის სტაჟი და ჩაბარებული ჰქონდეს გამოცდები. მოსამართლეების კანდიდატები იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 14-თვიან კურსს გაივლიან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მენიშვილი ამბობს, – „ეს არ არის ჩვეულებრივი საუნივერსიტეტო სწავლება ან კვალიფიკაციის ამაღლება. ეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე განვირევი პროგრამაა. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, არამედ, რიტორიკას, წერის უნარს. გვაქვს ასეთი თემები: სასამართლო და კინო, სასამართლო და საზოგადოება. ამ 14 თვის განმავლობაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სრული წარმოდგენა ექმნება კანდიდატზე. ეს რთული პერიოდი და რთული მოთხოვნები იმაზეა გათვლილი, რომ შეცდომის რისკი გამოირიცხოს“.

პარლამენტში წარსადგენად მზადაა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიღების შემდეგაც, როგორც პროექტის ავტორე-

ბი ამბობენ, ქართული სასამართლო სისტემა მთლიანად უნდა შეიცვალოს. კონტინენტური, ანუ ევროპული სამართალწარმოებიდან პრეცედენტულ, ანუ შეჯიბრებით სამართალზე გადადევნართ, რაც იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის, თინა ბურჯალიანის თქმით, „არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპაშიც კი ნოვაციას“.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, რამდენიმე სიახლე დაინერგება, მათ შორის – შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც უპირველესად იმას გულისხმობს, რომ გამოძიება სასამართლო დარბაზში გადადის და მონმეების ძირითადი დაკითხვაც იქ მოხდება. დაცვისა და ბრალდების მხარეებს მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის თანაბარი უფლებები ენიჭებათ. „ახალი კოდექსით, ცალკე ერთი მხარე შეაგროვებს თავის მტკიცებულებებს, ცალკე – მეორე, და, რაც მთავარია, ამ მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევა სასამართლო დარბაზში მოხდება“, – ამბობს ზაზა მენიშვილი.

თუმცა, როგორც „ლიბერალთან“ საუბარში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, თამარ ხიდაშელმა აღნიშნა, „საპროცესო კოდექსის უკანასკნელ ვერსიაში, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის გახდა ხელმისაწვდომი, გარდამავალი დებულებების სახით მითითებულია, რომ 2012 წლის 1 ივლისამდე გამოძიების დროს მონმის დაკითხვა მოხდება დღეს მოქმედი სისხლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი კოდექსის ამოქმედების პრობლემაშიც კი, 2012 წლამდე პროკურატურის მიერ დადგენილი პრაქტიკა გაგრძელდება, რომლის მიხედვითაც, გამომძიებლისა და პროკურატურის მიერ მონმის სახით დაბარებული პირი დაკითხვის პროცესშივე გარდაიქმნება ეჭვმიტანილად ან პირდაპირ ბრალდებულად. გარდა ამისა, საყურადღებოა საპროცესო კოდექსის პროექტის 114-ე მუხლიც, რომელიც გამონაკლისის სახით ითვალისწინებს მონმის დაკითხვას გამოძიების სტადიაზე. მართალია, ამ შემთხვევაშიც მონმე მაგისტრადი მოსამართლის წინაშე დაკითხება, მაგრამ იმისთვის, რომ პირი დაცულ იყოს საკუთარი თავის ინკრიმინაციისგან, აუცილებელია, მონმეს ადვოკატის ყოლის უფლება ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებში, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს ბრალდებული,

და მონმე დაკითხვის შემდეგ შეიძლება იქცეს ასეთად“.

კიდევ ერთი სიახლე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტია, რომელიც, რეფორმის ავტორების აზრით, სამოქალაქო საზოგადოებას აღზრდის და სამართლიანობის განცდას გაუჩინებს, რადგან მოქალაქეები თვითონ გამოუტანენ მსჯავრს ბრალდებულს, ექნებათ ინფორმაცია, რა ხდება სასამართლო დარბაზში, მიხედვებიან, რამდენად რთულია, იყო მსაჯული. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ეტაპობრივად დაინერგება. თავიდან შემოდის მხოლოდ მძიმე დანაშაულზე და მხოლოდ თბილისში. ზაზა მენიშვილი თვლის, რომ კონკრეტული საქმისთვის 12 ნეიტრალური ადამიანის შერჩევა შესაძლებელია. „შერჩევაც თავად მხარის პასუხისმგებლობაა და საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რამდენად სამართლიანი ნაფიცი მსაჯული შეარჩია. მეორეა ამისთვის მზად ყოფნა. თუ ვიძახებთ, რომ ჩვენი საზოგადოება მზად არ არის, ის არც არასდროს იქნება მზად“.

თინა ბურჯალიანის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოსა და ამერიკის იურიდიული დეპარტამენტები აქტიურად მონაწილეობენ რეფორმირების პროცესში, მაინც იქნება სუსტი წერტილები, რომლებიც მხოლოდ პრაქტიკაში გამოჩნდება.

მნიშვნელოვანია ერთი თემაც: სახელმწიფო და უცხოური ორგანიზაციები უამრავ ფულსა და რესურსს ხარჯავენ ბრალდების მხარის მომზადებაზე, ხოლო იმაზე, თუ რამდენადაა მზად რეფორმისთვის ადვოკატთა კორპუსი, ნაკლებად ფიქრობენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარე, ადვოკატი მანანა კობახიძე ამბობს, რომ დღეს სასამართლო პირდაპირ ახდენს ყველაზე წარმატებული ქართველი ადვოკატების დისკრედიტაციას იმით, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფებს უმაღლეს სასჯელს უსჯიან. მან ორი ასეთი ადვოკატიც დაასახელა – შალვა შაგვულიძე და სოსო ბარათაშვილი. ადვოკატთა კორპუსი პროკურატურიდან წამოსული, წარუმატებელი იურისტებითაც შეივსო. ადვოკატები ხშირად გადახდისუუნარო კლიენტების ჯიბეზე არიან დამოკიდებული და უჭერთ, პროფესიული დონის ამაღლებაზე იზრუნონ. თუმცა, მანანა კობახიძე იმასაც აღნიშნავს, რომ ხშირად ბრალდების მხარეც სუსტია და ვერ ახერხებს მტკიცებულებების გამოკვლევასა თუ დაცვას, და თუკი ადვოკატი-

**საერთაშორისო
და ადგილობრივი
სოსიოლოგიური
კვლევები
აღასტურებს, რომ
საქართველოს
მოსახლეობის დიდი
ნაწილი ქაუჩის
სასამართლო
სისტემას
არააფექტურად
მიიჩნევს და მის
მიმართ დაბალი
წილია აქვს.**

ბი პროცესებს ხშირად ვერ იგებენ, ეს უმეტესწილად მიკერძოებული სასამართლოს ბრალია.

საერთაშორისო და ადგილობრივი სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნის სასამართლო სისტემას არაეფექტურად მიიჩნევს და მის მიმართ დაბალი ნდობა აქვს. ამის მიზეზად ზაზა მეიშვილი ტრადიციის არქონას, პოლიტიკოსების ბრალდებებს და მოსახლეობის გაუთვისებლობას ადასტურებს: „საზოგადოებამ არ იცოდა, რა დატვირთვა აქვს სასამართლო ხელისუფლებას, რა არის მისი უფლებამოსილება, რაზე შეიძლება შეედავო, რა ცოდვები უნდა მოჰქონებო. ეს ძალიან კარგად შეუძლიათ გამოიყენონ მათ, ვისაც სურს გარკვეული პოლიტიკური ქულები ჩაინეროს სასამართლოს დისკრედიტაციის ფონზე. სასამართლო არ გახლავთ პოლიტიკური ავანსცენების ადგილი. ადვილია დაბრალდება და რთულია „თავის მართლება“. რაც შეეხება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, მოქალაქეების უმრავლესობა ისე აფიქსირებს თავის მოსაზრებას, რომ არ ჰქონია შეხება სასამართლოსთან. მისი პოზიცია კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენით ჩამოყალიბდა. ეს ჩვენთვის დიდი პრობლემაა. თინა ბურჯალიანიც თვლის, რომ ეს უფრო აღქმის პრობლემაა და არა თვითონ სასამართლო სისტემისა. როცა პროცესის ერთ-ერთ მონაწილეს აქვს შეგრძნება, რომ პროკურატურა ზენოლას ახორციელებს, ცოტა მეტი არგუმენტაციის თუ მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს. როცა ერთი მხარე – ადვოკატი ან პროკურორი უფრო ძლიერია, უფრო კარგადაა მომზადებული, უფრო კარგად იცის საქმე და ამით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მოსამართლეზე, ეს ზენოლა არ არის“.

მანანა კობახიძის აზრით, რეფორმა აუცილებლობამ განაპირობა, რადგან ბოლო 5 წლის განმავლობაში სასამართლო ხელისუფლება პროკურატურის ნების აღმსრულებელად იქცა. „პრობლემა რეალურია – პროკურატურას დღეს დიდი გავლენა აქვს სასამართლოზე. მტკიცებულებები, რომლებიც წინასწარი ძიებიდან სასამართლოში მიდის, უაპელაციოადაა გაზიარებული მოსამართლის მიერ, მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა სასამართლო დარბაზში იშვიათად ხდება. მაშინაც კი, როცა საქმეებში არსებითი დარღვევებია. არ არსებობს

პოლიტიკური ნება, თორემ ჩვენ მოსამართლეებს ნამდვილად აქვთ კვალიფიკაცია, მცდარი მტკიცებულება ნამდვილისგან განასხვავონ“.

თამარ ხიდაშელი ფიქრობს, რომ ცალკე აღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი ვერ შეძლებს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრობლემების მოგვარებას. „მართლმსაჯულებასთან ეფექტურად თანამშრომლობასთან დაკავშირებული პრეტენზიების უმეტესი ნაწილი სწორედ სასამართლო სისტემის პროკურატურის მხრიდან ზენოლაზე მოდის, მაგრამ სასამართლო არასასურველი გავლენისაგან არც ადმინისტრაციული წარმოების დროსა და ცუდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმის მიმართ ხელისუფლებას შეიძლება პოლიტიკური ინტერესი ჰქონდეს“. მას მაგალითად საარჩევნო დევები მოჰყავს, რომლებსაც სასამართლოები ადმინისტრაციული წესით განიხილავენ. 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში მითითებული იყო, რომ „კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სასამართლო სისტემის შესაძლებლობა, იმუშაოს, როგორც დამოუკიდებელმა ორგანომ არჩევნებთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადასაჭრელად“.

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ I ინსტანციის სასამართლოებმა 2008 წელს სულ 6709 ადმინისტრაციული საქმე განიხილეს. აქედან 2973 საქმე ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა, 3292 საქმე – ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ, 95 საქმე – მორიგებით; ანუ იურიდიულმა და კერძო პირებმა სახელმწიფოს საქმეების დაახლოებით 60% მოუგეს.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, აქ განსხვავებული სურათია – 2007 წელს სასამართლომ მხოლოდ 13 ბრალდებული გაამართლა, რაც საერთო რაოდენობის 0,1%-ია, 2006 წელს – 35, ხოლო 2005 წელს 78 ბრალდებულს, ანუ 0,8%-ს, გამოუტანეს გამამართლებელი განაჩენი. ამ ციფრების მიხედვით აშკარაა, რომ წლიდან წლამდე სასამართლო ერიდება გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რაც, ზაზა მეიშვილის აზრით, სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც, „არ უნდა მოველოდეთ, რომ 100-დან 80 ბრალდებული გაამართლდება. ეს კატასტროფა იქნებოდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის საქმეების 90% საპროცესო შეთანხმებებით მთავრდება, დარჩენილი 10%-დან 2% შემდეგ ისევ გარიგებით, ნაფიცი მსაჯულები საქმეების დაახლოებით 3-5%-ს განიხილავენ, 2%-ს – პროფესიონალი მოსამართლეები, იქაც 40% – 60%-ზეა გამამართლებელი განაჩენი. ასევეა დიდ ბრიტანეთშიც. ნუ შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ რადგან არსებითი განხილვიდან 40% გამართლდა, ეს საერთო რიცხვის პროცენტია. ჩვენთანაც დაახლოებით ასეთი სტატისტიკაა: 50% საპროცესოთი მთავრდება, გამართლებას რაც შეეხება, არსებობს მთლიანი გამართლება, მეორეა – როდესაც პროცესის რამდენიმე ბრალი აქვს წარდგენილი. შეიძლება ყაჩაღობაში გამართლდეს და ქურდობისთვის მოხდეს მსჯავრდება. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი პირველმა ინსტანციამ გაამტყუნა, სააპელაციომ გაამართლა ან ნაწილობრივ გაამართლა, ან საკასაციოში გამართლდა. ჩვენი მონაცემები დიდად არ განსხვავდება აშშ-ს და დიდი ბრიტანეთისგან. ნუ ექნება საზოგადოებას იმის მოლოდინი, რომ ნორმალურ სასამართლოში გამამართლებელ განაჩენთა რიცხვი დიდი იქნება“.

მანანა კობახიძის აზრით, მოსამართლეებს გამამართლებელი განაჩენის გამოტანისა ეშინიათ, რადგან ამ შემთხვევაში, კანონის მიხედვით, გამომძიებელი ან პროკურორი უნდა დაისაჯოს, ანუ ის, ვინც ეს განახორციელა. მოსამართლეებს ურჩევნიათ ის პირი დასაჯონ, ვისაც ისედაც განსასჯელის სტატუსი აქვს, ვიდრე ამას ჩინოვნიკების პასუხისმგებლობა მიეცემა ან თანამდებობიდან განთავისუფლება მოჰყვება. თამარ ხიდაშელი პოლიტიკური ნების არარ-

პარლამენტში ნარსდგენად გზადაა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიღების შედეგად, როგორც პროცესის ავტორიტი აგზობა, ქართული სასამართლო სისტემა მთლიანად უნდა შეიცვალოს.

თლის საქმეების 90% საპროცესო შეთანხმებებით მთავრდება, დარჩენილი 10%-დან 2% შემდეგ ისევ გარიგებით, ნაფიცი მსაჯულები საქმეების დაახლოებით 3-5%-ს განიხილავენ, 2%-ს – პროფესიონალი მოსამართლეები, იქაც 40% – 60%-ზეა გამამართლებელი განაჩენი. ასევეა დიდ ბრიტანეთშიც. ნუ შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ რადგან არსებითი განხილვიდან 40% გამართლდა, ეს საერთო რიცხვის პროცენტია. ჩვენთანაც დაახლოებით ასეთი სტატისტიკაა: 50% საპროცესოთი მთავრდება, გამართლებას რაც შეეხება, არსებობს მთლიანი გამართლება, მეორეა – როდესაც პროცესის რამდენიმე ბრალი აქვს წარდგენილი. შეიძლება ყაჩაღობაში გამართლდეს და ქურდობისთვის მოხდეს მსჯავრდება. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი პირველმა ინსტანციამ გაამტყუნა, სააპელაციომ გაამართლა ან ნაწილობრივ გაამართლა, ან საკასაციოში გამართლდა. ჩვენი მონაცემები დიდად არ განსხვავდება აშშ-ს და დიდი ბრიტანეთისგან. ნუ ექნება საზოგადოებას იმის მოლოდინი, რომ ნორმალურ სასამართლოში გამამართლებელ განაჩენთა რიცხვი დიდი იქნება“.

მანანა კობახიძის აზრით, მოსამართლეებს გამამართლებელი განაჩენის გამოტანისა ეშინიათ, რადგან ამ შემთხვევაში, კანონის მიხედვით, გამომძიებელი ან პროკურორი უნდა დაისაჯოს, ანუ ის, ვინც ეს განახორციელა. მოსამართლეებს ურჩევნიათ ის პირი დასაჯონ, ვისაც ისედაც განსასჯელის სტატუსი აქვს, ვიდრე ამას ჩინოვნიკების პასუხისმგებლობა მიეცემა ან თანამდებობიდან განთავისუფლება მოჰყვება. თამარ ხიდაშელი პოლიტიკური ნების არარ-



სებობასთან ერთად არასრულყოფილ საკანონმდებლო ბაზაზეც ლაპარაკობს, რომელიც „ნებისმიერი მოსამართლის მიმართ იძლევა დისციპლინარული სამართალწარმოების დაწყების და თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას. კანონის მიხედვით, დისციპლინარულ გადაცდომად მიიჩნევა „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა“. ეს სასამართლო გადაწყვეტილებების შინაარსობრივ გადამონმებას გულისხმობს, რაც მხოლოდ და მხოლოდ ზემდგომი სასამართლოს და არა უშუალოდ ზემდგომი პირის პრეროგატივა უნდა იყოს. თუმცა არსებული ფორმულირების მიხედვით, „კანონის უხეშ დარღვევა“ შეიძლება კანონის არასწორი განმარტება ან პროცესუალური ნორმების არასწორი გამოყენებაც შეფასდეს, რისგანაც არც ერთი მოსამართლე არაა დაზღვეული. აღნიშნული გადაცდომისთვის კი მოსამართლეს, დისციპლინური სახდელის სახით, შეიძლება თანამდებობიდან გათავისუფლება დაეკისროს“.

ერთ სტატიაში შეუძლებელია სასამართლო რეფორმის მთელი სპექტრის მიმოხილვა, თამარ ხიდაშელი ამბობს, რომ „სასამართლო სისტემის რეალური რეფორმირებისათვის საჭიროა კომპლექსური ცვლილებები, რომლებზეც კონსენსუსს ფართო საზოგადოებრივი განხილვის შედეგად უნდა მივალნიოთ“. სამწუხაროა, რომ დღეს პოლიტიკოსების დიდი ნაწილი და საზოგადოება სასამართლო რეფორმაზე მსჯელობისთვის ვერ იცლის. ჯერჯერობით არც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამხდარა საჯარო განხილვის საგანი. ■

სისხლის სამართლის კოდექსი აღვოკატები 371-ე პრიმა მუხლის წინააღმდეგ

სკრუპულენტური მისამართის დასჯის მექანიზმის განახლებაც, პრაქტიკის უზრუნველყოფა, განხორციელებისთვის მოწოდება ფანჯარის ბარკაჯახი იქნა. >>

სინო უპრინციპული

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 30 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები და დამატებები შეიტანა. კოდექსში შევიდა ახალი, 371 პრიმა მუხლი, რომელიც წერია: „მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაინანაღმდეგო ჩვენების მიცემით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთიდან სამ წლამდე“. ცვლილებების ინიციატორი იურიდიულ საკითხთა კომიტეტი იყო.

სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წლამდეც არსებობდა და ახლაც არის 370-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ცრუ ჩვენება დასჯადი ქმედებაა. პარლამენტმა კი, ორი მიზეზის გამო, არსებულ რეგულაციას ახალი მუხლი მიიწვია დაამატა.

პირველი: პრიმა მუხლის დამატებამდე გართულებული იყო ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტის დადგენა და დასჯა, რადგან ამას დამატებითი გამოძიება და სასამართლო პროცესი სჭირდებოდა; და მეორე: 370-ე მუხლი იძლეოდა ისეთი ინტერპრეტაციის საშუალებას, რომელიც ცრუ ჩვენების მიმცემს, ჩვენების გადათქმის შემთხვევაში, არ სჯიდა. თუნდაც მოწმეს სიმართლე მხოლოდ რაიმე პირადი გამორჩენის მიზნით ეთქვა.



იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილე და ცვლილების მხარდამჭერი, გიგა ბოკერია 371-ე პრიმა მუხლის შემოღებას ასე ხსნიდა: „მიზეზი იყო ის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში დამკვიდრდა. დაზარალებული მოწმეების მიერ ჩვენებების შეცვლა, მათ შორის სამართალდამცავი

ვი ორგანოების მონაწილეობით, ჩვეულებრივ ბიზნესად იქცა“.

ადამიანის უფლებების დამცველები ამბობენ, რომ 371-ე პრიმა მუხლი მონმეზე ზეწოლის საშუალებას იძლევა. ადვოკატების ნაწილის აზრით, მუხლი საშუალებას აძლევს გამოძიებას, თუკი ის აიძულებს და მოწმეს მიაცემინებს მისთვის სასარგებლო ჩვენებას, ჰქონ-

ილუსტრაცია: შიორამ მასაჩაი

დეს შედარებით მყარი გარანტია, რომ პროცესზე ეს ჩვენება აღარ შეიცვლება. ამ მუხლის მიხედვით, საკმარისია სასამართლომ ჩათვალოს, რომ ჩვენება არსებითად შეიცვალა, მონმე შეიძლება სასამართლო პროცესზე დააკავონ და პაუზისგებაში მისცენ.

371-ე პრიმა მუხლი ამოქმედდა მოქალაქე გელა ქვარიანის წინააღმდეგაც. მისი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ იგი 2007 წლის 1 ივნისს სადგურის ტერიტორიაზე სასადილოში არაყს სვამდა. მოგვიანებით ქვარიანი მეზობელ სუფრას შეუერთდა და მათთან ერთად განაგრძო სმა. დილის 5 საათზე სუფრის ერთ-ერთმა წევრმა ქვარიანს მობილური გამოართვა და აღარ უბრუნებდა. ქვარიანმა პატრულს მიმართა. პოლიციელებმა მობილური ტელეფონი იქვე, ნაგვის ყუთთან დაგდებული იპოვეს და სუფრის წევრებიდან ერთ-ერთი – მიხეილ ლეჟავა დააკავეს.

საქმის გამოძიებელი პროკურორი ამტკიცებდა, რომ შემთხვევის ადგილზე დაზარალებული ქვარიანი ლეჟავაზე მიუთითებდა, – მან გამომართვა მობილური.

მოგვიანებით სასამართლო პროცესზე მონმის სახით მიწვეულმა ქვარიანმა თქვა, რომ ნასვამი იყო და არ ახსოვდა, თუ რა კითხვებს უსვამდა მას გამოძიებელი და რას პასუხობდა თავად. ქვარიანი ამბობდა, რომ არ იცნობს მიხეილ ლეჟავას და ის პირველად სატელეფონო გადაცემა „პატრულში“ და შემდეგ სასამართლო პროცესზე ნახა.

ამ ჩვენების შემდეგ დაზარალებული გელა ქვარიანი თავადაც დააკავეს. ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ სასამართლოზე მან თქვა, რომ კვლავ ადასტურებდა ჩვენებას, რომ ვერ ამოიცნო მიხეილ ლეჟავა. გელა ქვარიანს წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ერთი თვით გაუგრძელდა.

7 თებერვალს გელა ქვარიანის მესამე პროცესი ჩატარდა, სადაც მან გაიმეორა შემთხვევის ადგილზე მიცემული ჩვენება – რომ მას მობილური მიხეილ ლეჟავამ წაართვა. ამ ჩვენების მიცემის შემდეგ ქვარიანი საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს. 8 თებერვალს კი მიხეილ ლეჟავას საქმის განხილვა გაიმართა, სადაც პროკურორმა ქვარიანის შეცვლილი ჩვენება მოსამართლეს ახალ მტკიცებულებად წარუდგინა. მოსამართლე სანდოქმე მიხეილ ლეჟავას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

371-ე პრიმა მუხლი კაცობაძეების ოჯახის საქმის შემთხვევაშიც გამოიყენეს.

ოჯახის სამივე წევრის დაპატიმრების საბაზი მათივე ტელევიზორი გახდა. 2007 წლის 2 იანვარს მშობლები და მათი ვაჟიშვილი – მათე სტუმრად იმყოფებოდნენ დეიდასთან. მათე სახლში მშობლებზე ადრე დაბრუნდა, საკუთარი ბინიდან ტელევიზორი გაიტანა, ლომბარდში 70 დოლარად ჩააბარა და ფული მეგობრებთან ერთად დახარჯა. სახლში დაბრუნებულ მშობლებს ტელევიზორი ადგილზე რომ არ დახვდათ, პატრული გამოიძახეს.

პატრულმა საქმე აღძრა, მათე დააპატიმრეს და თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როცა მშობლებმა შეიტყვეს, რომ ტელევიზორი სახლიდან შვილმა გაიტანა, სცადეს იმის მტკიცება, რომ ნიეთი ოჯახის საერთო საკუთრება იყო და მისი განკარგვის უფლება მათესაც ჰქონდა. ეს გარემოება მხოლოდ უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა და დაადგინა, რომ მათე კაცობაძე საკუთარი ოჯახიდან საკუთარ ტელევიზორს ვერ მოიპარავდა. მათე 11-თვიანი პატიმრობის შემდეგ დარბაზიდან გაათავისუფლეს.

კაცობაძეების ოჯახმა 371-ე პრიმა მუხლის არსებობის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც შვილის გაათავისუფლებიდან 2 დღის შემდეგ ცოლ-ქმარი ჩვენების გადათქმისთვის დაიჭირეს და საქმე მათ წინააღმდეგ სწორედ ამ მუხლით აღძრეს. პირველ სასამართლო სხდომაზე მშობლებმა თქვეს, რომ „პატრულში“ გაქურდვის ფაქტის გამო დარეკეს, თუმცა რაც გაიგეს, რომ ტელევიზორი სახლიდან შვილმა წაიღო, მათ ჩვენება შეცვალეს.

ცოლ-ქმარი ციხიდან გირაოს საფუძველზე გამოუშვეს. მოგვიანებით კაცობაძეები გაასამართლეს და 5000-ლარიანი საპროცესო გარიგება გაუფორმეს, რომლის დასაფარად ოჯახმა აგარაკი გაყიდა.

371-ე პრიმა მუხლის დამცველები ამბობენ, რომ მცირე ხარვეზების მიუხედავად, მისი არსებობა მაინც მნიშვნელოვანია. „ასე, უნივერსალის კარივით რომ იღები აქეთ და იქით და ჩვენებას ცვლი, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ საზოგადოებას პრობლემები აქვს თავის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით“, – ამბობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი. მისი თქმით, მონმეს კარგად უნდა ესმოდეს, რომ მისი ჩვენების საფუძველზე, ვინმეს დასჯიან ან გაამართლებენ.

„სტატისტიკა დაადასტურებს, რომ ამ მუხლით ყოველთვის აპატიმრებენ ადამიანებს, რომლებმაც ბრალდების სასარგებლოდ მიცემული ჩვენება დაცვის სასარგებლოდ შეცვალეს“, – ამბობს კახა კუკავა, 2004 წლის მონვევის პარლამენტის წევრი, რომელმაც კოდექსში ცვლილებას მხარი არ დაუჭირა.

ცვლილების ოპონენტებს მსგავსი დასკვნების გაკეთების საფუძველს ისეთი შემთხვევები აძლევს, როგორცაა ათო ქელიძის მკვლელობის საქმე. რაჭის რაიონის სოფელ ქელიძელში ქელიძის ბინაში ნილბინი ყაჩაღები შევიდნენ და მას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. მკვლელობისთვის, რომელსაც ოჯახის წევრებიც შეესწრნენ, მოგვიანებით ისიდორე, ზაზა და ზურა დალაქიშვილები დააკავეს. მკვლელობის მონმემ და მოკულის ცოლმა ნატო გაბელაშვილმა თავდაპირველი დაკითხვის დროს განაცხადა: „გამოვრიცხავ, რომ რომელიმე თავდასხმელი სოსო დალაქიშვილი ყოფილიყო, რადგან მე აუცილებლად ვიცნობდი მას. ის ბეჭეტშია მოხრილი და რუსული აქცენტი აქვს“. საოლქო სასამართლოში პროცესის მიმდინარეობის დროს ნატო გაბელაშვილმა ჩვენება შეცვალა და ისიდორეს ხელი დაადო, როგორც მკვლელს. გაბელაშვილის წინააღმდეგ ჩვენების შეცვლისთვის საქმე არ აღძრულა.

კანონით, შეცვლილი ჩვენება მართლმსაჯულებისთვის ძალას კარგავს და თუ რომელიმე მოსამართლე შეცვლილ ჩვენებას იყენებს და მასზე დაყრდნობით განაჩენი გამოაქვს, ეს კანონის არასწორი ინტერპრეტაციაა. თუმცა, გაბელაშვილის შეცვლილი ჩვენება ჯერ საოლქო, შემდეგ კი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის დალაქიშვილებისთვის განაჩენის გამოტანის საფუძველი გახდა. ■

**371-ე პრიმა მუხლი
კახიბაძეების
ოჯახის საქმის
შემთხვევაშიც
გამოიყენეს.
ოჯახის ავივა ნაპრის
დაპატიმრების
საბაზი მათივე
ტელევიზორი გახდა.**



სოზარ სუბარი,
სახალხო დემოკრატიის

სამართლიანი სასამართლოს მოლოდინები

სამართლებრივ სასამართლო სისტემაში გოლო 10 წლის განმავლობაში უკვე მესამე რეფორმა მიმდინარეობს. უკვე მესამედ თითქმის ასი პროცენტით გამოიკვალა მოსამართლეთა პერსონალური შედეგებზე. სოზარ სუბარი

მიუხედავად ამისა, ნდობა სასამართლოს მიმართ, ყველა გამოკითხვის მიხედვით, ძალიან დაბალია. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2009 წლის გამოკითხვის თანახმად, საქართველოში სასამართლოს მიმართ დადებითადაა განწყობილი მოსახლეობის 14%, მკვეთრად უარყოფითად – 37%.

რეფორმებს აქვს წარმატებული მხარეებიც. 2003 წლის შემდეგ სასამართლოებში იკლო კორუფციამ, შეიქმნა მოსამართლეთა პროფესიული მომზადების სისტემა, გაუმჯობესდა მოსამართლეთა სოციალური უზრუნველყოფა, სასამართლოებში დამყარდა წესრიგი... სასამართლოს შენობები გარემონტდა და კეთილმოეწყო, მაგრამ სასამართლო ხელისუფლება მაინც ვერ ასრულებს თავის უმთავრეს ამოცანას – გახდეს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი.

საქართველოში ტრადიცია დამკვიდრდა – პრობლემას მხოლოდ მაშინ ვაღიარებთ, თუ მასზე უცხოეთი მიგვითითებს. სასამართლოში არსებული პრობლემებიც ხელისუფლებამ მხოლოდ მაშინ აღიარა, როცა კრიტიკა დასავლეთიდან გაისმა. 2008 წლის ივლისში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კონსტანტინე კუბლაშვილმა თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და ამის მიზეზად მოსამართლეთა უპრინციპობა და დამოუკიდებელი სასამართლოს ტრადიციის არქონა დაასახელა. იმავე წლის შემოდგომაზე პრობლემა აღიარეს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა. ერთადერთი, რაშიც ძნელია მათ დაეთანხმო, მიზეზებია, რადგან შეუძლებელია, ტრადიციის ნაკლებობას დავაბრალოთ, როცა ახლად არჩეული მოსამართლე ვერ ბედავს დამოუკიდებლად გადწყვეტილების მიღებას და მის ნაცვლად ამას ან პოლიტიკოსები აკეთებენ, ან პროკურორები. ამ უკანასკნელთ, რატომღაც, არც პრინციპულობა აკლიათ და არც ტრადიციის უქონლობა უმძიმებთ ზურგს.

ტრადიციის არსებობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ტრადიცია ვერ განდგება, თუ სასამართლო დღესვე არ გათავისუფლდება ზენოლისა და კონტროლისგან, თუ ის არ იქცევა ხელისუფლების რეალურ შტოდ. თავისუფლების სწავლა მხოლოდ თავისუფლებაში შეიძლება და არა მონობაში. რა თქმა უნდა, იქნება შეცდომები, იქნება კორუფცია, პრო-

ფესიონალიზმთან დაკავშირებული პრობლემები... მათთან ბრძოლა მარადიული ამოცანაა და ბოლომდე ვერასდროს გადაწყდება, მაგრამ გზა სამართლიანი სასამართლოსკენ მხოლოდ დამოუკიდებლობაზე გადის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მხოლოდ ფიქციად დარჩება, რომელიც, ნოტარიუსის მსგავსად, სხვა კაბინეტებში მიღებულ გადწყვეტილებებს გამოაცხადებს ხოლმე.


ხელისუფლების რეაგირება უცხოეთის კრიტიკაზე ხშირად არასერიოზულია ხოლმე. მაგალითად, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების 2006 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს საბჭოთა ტიპის „სატელეფონო მართლმსაჯულება“.

კრიტიკის პასუხად, საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო კანონი, რომელიც მოსამართლეს უკრძალავს მხარეებთან სატელეფონო ან სხვა ტიპის კომუნიკაციას. ფორმალურად კრიტიკას პასუხი გაეცა, ფაქტობრივად კი ყველაფერი უცვლელი დარჩა, რაც 2008 წელს ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენლებმაც აღიარეს, ახლა უკვე ნატო-ს გენერალური მდივნის კრიტიკის შემდეგ.

სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელება დამოუკიდებელია არა მხოლოდ სასამართლოზე, არამედ მარ-

თლმსაჯულების მთელი სისტემის ეფექტურ მუშაობაზე. 2004 წლიდან დაიწყო მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარება. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გადწყვეტილების მიღების პროცესში არა მხოლოდ პრაქტიკაში შეიზღუდა, არამედ საკანონმდებლო დონეზეც. მაგალითად, თუკი 2007 წლამდე მოსამართლეს შეეძლო, ეხელმძღვანელა პრინციპით, როცა უდიდესი სასჯელი მთლიანად ან ნაწილობრივ შთანთქავდა დანარჩენებს, 2007 წლიდან დარჩა მხოლოდ სასჯელთა შეკრების პრინციპი. ამასთან, გაკეთდა დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები (ე.წ. „გაიდლაინები“), თუ კონკრეტული გარემოების დროს რა სასჯელი უნდა გამოიტანოს მოსამართლემ. შედეგად მივიღეთ არაადამიანური სასჯელები, რომლებიც ხშირად არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

ზემოთქმულის მაგალითად ერთ განაჩენს მოვიყვან, რომელიც 2009 წლის 3 აპრილს იქნა გამოტანილი. ქალბატონ ნანა ქა-ს ბრალი ედებოდა თაღლითობაში, ექვს ეპიზოდში. ზარალი,



თარგმანი: თარგმანი

რომელიც მან მოქალაქეებს მიაყენა, 3734 ლარს შეადგენდა. განაჩენის თანახმად, ერთ მოქალაქეს მან თაღლითობით 40 ლიტრი ღვინო გამოსტყუა, მეორეს – 20 ლიტრი არაყი, მესამეს – 40 კილოგრამი ფევილი, მეოთხეს – წინილები, მეხუთეს და მეექვსეს – ფული. სასამართლომ ნანას 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა (აქედან 1 წელი და 3 თვე ამნისტიით მოეხსნა და მოსახდელი დარჩა 23 წელი და 9 თვე), დამატებით სასჯელად – ჯარიმა 17500 ლარი და, ასევე, დაზარალებულებისთვის მიყენებული ზარალის – 3734 ლარის ანაზღაურება. რომ არა „გაიდღაინები“ და მათ მიმართ მონური მორჩილება, ძნელი წარმოსადგენია მოსამართლე, რომელიც ასეთ განაჩენს გამოიტანდა.

სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გამო, 2004 წლის დასაწყისიდან 2007 წლის ბოლომდე – 4 წლის განმავლობაში – პატიმრების რაოდენობა 6 ათასიდან 21 ათასამდე – თითქმის 350 პროცენტით გაიზარდა. 2007 და 2008 წლების ბოლოს პოლიტიკური კრიზისების შედეგად პრეზიდენტმა რამდენიმე ათასი პატიმარი შეიწყალა ან ამნისტიით გამოუშვა. ეს რომ არ მომხდარიყო, პატიმართა რიცხვის ზრდის ტემპების გათვალისწინებით, დღეს მათი რაოდენობა 25 ათასიდან 30 ათასს მიაღწევდა – 4-მილიონიან ქვეყანაში! ამასთან, თუ გავითვალისწინებთ მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის კიდევ ერთ შედეგს – ხანგრძლივ სასჯელებს, ფაქტია, რომ ამ პატიმართა უმრავლესობა თავისუფლებას დიდხანს ვერ ეღირსება. ამავე დროს პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ მხოლოდ მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის შემცირებას. მაგალითად, 2005 წელს სა-

ქართველოში მსჯავრდებული იქნა 9168 პირი, 2008 წელს კი – 20804 პირი.

2008 წლის ბოლოს, როცა ხელისუფლებამ აღიარა პრობლემის არსებობა, ტრადიციულად დაიწყო ლაპარაკი კიდევ ერთ, ახალ რეფორმაზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაა. ამით, რეფორმის ავტორთა აზრით, გაიზრდება საზოგადოების მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში და, შესაბამისად, გაიზრდება ნდობა სასამართლოს მიმართ.

ამ მიდგომის გაზიარება შეიძლებოდა, რომ არა ერთი პრობლემა: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მეტ-ნაკლებად ეფექტურად მოქმედებს იქ, სადაც საზოგადოება თავისუფალია და არსებობს შესაბამისი ტრადიცია. ავტოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც სამართალდამცავი სტრუქტურები – პოლიცია, ფინანსური პოლიცია, პროკურატურა – აკონტროლებენ ყველაფერს, ნაფიცი მსაჯულები ვერ გაექცევიან ხელისუფლების ზენოლას; თანაც, ქვეყანაში, სადაც ერთხელაც არ ჩატარებულა გაუყალბებელი არჩევნები, შეუძლებელია არსებობდეს ნდობა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სისტემის მიმართ. 2008 წლის იანვარში, საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები პოლიტიზებულია და მათი დეპოლიტიზების აუცილებლობაზეც ილაპარაკა, მაგრამ ამ დაპირებას შედეგი არ მოჰყოლია. ხოლო საზოგადოებაში, სადაც სამართალდამცავი სტრუქტურები პოლიტიზებულია, ძალიან ძნელია, მართლმსაჯულება ნაფიც მსაჯულთა იმედად დატოვო. **■**

სამართალი და ადამიანის უფლებები

საკნიდან კელიაში

საქართველოში სასჯარს 20 000-მდე პატიმარი იხრის, გასაუმართარი სისხაბრს პრობრეზის გადარჩას სახერხიოტ და აქრისა ერთარე აპირებენ. >>

ინოო პაქიშვილი



2006 წლის 6 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ნულოვან ტოლერანტობას უცხადებდა დანაშაულს და ნებისმიერი, თვით წერილმანი დამნაშავეც კი ციხეში უნდა წასულიყო. მთავრობის და სამართალდამცავების მუშაობის შედეგებს დღეს ყველანი ვხედავთ: თბილისის ქუჩებში მანქანის დატოვება ისეთი საშიში აღარ არის, როგორც რამდენიმე წლის წინათ, არც ღამით ქუჩაში გასვლის გვეშინია, არც ჩინოვნიკები გვძალავენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრთამს, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს ციხეებში პატიმართა რიცხვი რამდენჯერმე გაიზარდა.

King's College London-ის კვლევის მიხედვით, რომელიც პატიმართა რაოდენობას მთელ მსოფლიოში სწავლობს, 2008 წელს საქართველოში 100 000 მოსახლე-

ზე 415 პატიმარი იყო. საქართველო პატიმრების რიცხვით უახლოეს მეზობლებს ბევრად უსწრებდა წინ: სომხეთში – 109, აზერბაიჯანში კი, სადაც ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ სერიოზული პრობლემებია, 229 პატიმარი იყო. საქართველო ოდნავ ჩამორჩება ბელარუსს – იქ 2008 წელს 100 000 მოსახლეზე 468 ადამიანი იხდიდა სასჯელს.

„ნულოვანი ტოლერანტობა დანაშაულის მიმართ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დამნაშავე ციხეში გაუშვათ, – ამბობს რაით ქუსი, ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონული დირექტორი, – ბუნებრივია, ხელისუფლებას ნებისმიერ დანაშაულზე უნდა ჰქონდეს რეაქცია, მაგრამ დღეს საქართველოში ადამიანები წერილმანი ქურდობისათვისაც კი ძალიან დიდი დროით მიდიან ციხეში. თანამედროვე

მსოფლიოში ასე არ ხდება. მსოფლიო პრაქტიკასთან შედარებით, სასჯელის ხანგრძლივობაც გრძელია“.

პატიმრების დიდი რაოდენობა ხელისუფლებასაც ბევრი პრობლემის წინაშე აყენებს. აშენდა ახალი ციხეები, სადაც პატიმრები შედარებით ნორმალური პირობებში ცხოვრობენ, მაგრამ რაით ქუსის თქმით, „ისევე არსებობს ისეთი ციხეები, როგორიცაა „ქსანი“ და „ხონი“, სადაც პირობები არანაირ სტანდარტებს არ შეესაბამება. ერთი მხრივ, კარგია, რომ ახალ ციხეებს აშენებთ, მეორე მხრივ კი, ეს პრობლემას ვერ წყვეტს. უფრო მეტი ალტერნატივებით უნდა ისარგებლოთ, მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ პრევენციას. ვერ ვიტყვი, რომ ქართული ციხეთა სისტემა შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, მაგრამ რამდენიმე კარგი მაგალითი გვაქვს და დინამიკა სწორადაა მიმართუ-

ლი. საერთაშორისო ორგანიზაციები მიესალმებიან იმას, რომ ციხე უფრო მეტად გაიხსნას საზოგადო, სამოქალაქო მონიტორინგისთვის. ამ შემთხვევაში, ეს სისტემა უფრო სწრაფად განვითარდებოდა“.

სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშის მიხედვით, ოთხი უკანასკნელი შეწყალების საფუძველზე, 1767 პატიმარი გაათავისუფლეს, მაგრამ მარტის მონაცემებით, პატიმრების რაოდენობა ციხეებში ისევ გაიზარდა და 20 000-ს მიუახლოვდა.

პატიმართა რიცხვის შემცირების ყველაზე ეფექტური და სამართლიანი მეთოდი – პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემა, ჩვენთან ბოლო დრომდე ცუდად მუშაობდა.

ანნისტია და შეწყალებები ერთგვარადი ხასიათისაა, ძირითადად პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება და უფრო მეტად ახლავს თან საფრთხე, რომ გათავისუფლებული პატიმარი ისევ ციხეში მოხვდეს. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების დროს კი სამართალდამცავები მრავალ ისეთ ფაქტორს ითვალისწინებენ, რაც გარკვეულ გარანტიებს ქმნის და იმ პირებს შეეხებათ, ვინც სასჯელის ორი მესამედი უკვე მოიხადა, არ ჩაუდენია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და საპატიმროში კარგი ყოფაცხევით გამოირჩევა. პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება არ არის დაკავშირებული პატიმრის მიერ დანაშაულის მონაწილესთან, როგორც, მაგალითად, შეწყალება. ეს საკითხი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“. პატიმრებს კანონით აქვთ უზრუნველყოფილი ციხის ვადაზე ადრე დატოვება ან სასჯელის არასაპატიმრო ფორმით შეცვლა.

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი აქვს შეტანილი პარლამენტში დასამტკიცებლად. ერთ-ერთი სწორედ, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემას შეეხება. თითოეული პატიმრის საქმეს კომისია განიხილავს, რომელიც აქამდეც არსებობდა, მაგრამ ძირითადად სამართალდამცავებით იყო დაკომპლექტებული და არაეფექტურად

მუშაობდა. ახალი კანონპროექტის მიხედვით, კომისიას 3 თვით აირჩევენ და მასში სამართალდამცავებთან ერთად პარლამენტის წევრები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც შევლენ. სწორედ კომისია იქნება უფლებამოსილი, მიმართოს სასამართლოს პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლების ან დარჩენილი პატიმრობის ვადის არასაპატიმრო სასჯელით შეცვლის მოთხოვნით. კომისიისგან უარის მიღების შემთხვევაში, პატიმარს ან მის ადვოკატს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება ექნება.

ამას გარდა, „პატიმრობის შესახებ“ მოქმედ კანონში მომზადებულია ცვლილებები, რომლის თანახმად, პატიმრებს წელიწადში 3-ჯერ მაქსიმალური 5 დღის ვადით ციხის დატოვების საშუალება ექნებათ. ეს ცვლილება სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო.

პატიმართა მიერ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახით მოხდის პროცესში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც ჩაერთო და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმება გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ეკლესია იღებს ვალდებულებას, პატიმრებმა არასაპატიმრო სასჯელი ეკლესია-მონასტრებში მოიხადონ. მართლმადიდებელი მღვდლები, უკვე რამდენიმე წელია, პატიმრებთან მუშაობენ. ზოგიერთ ციხეში ეკლესიებიც აშენდა. საპატრიარქო შეწყალების საკითხებშიც მონაწილეობს. საპატრიარქო თავად იღებს გადაწყვეტილებას, რომელი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის გახდეს შუამავალი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. ჯერჯერობით მართლმადიდებელი ეკლესია ერთადერთია, ვისთანაც ამგვარი მემორანდუმი გაფორმდა. საქართველოს ციხეებში კი სხვა აღმსარებლობის მოქალაქეებიც იხდიან სასჯელს. სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრის მთავარი ექსპერტი ბექა მინდიაშვილი ამბობს, რომ მათ ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც სხვა აღმსარებლობის, მაგალითად, მუს-

ლიმ პატიმრებთან სასულიერო პირები ციხეებში ვერ შედიოდნენ, დახმარებისთვის სახალხო დამცველის აპარატს მიმართავდნენ და მხოლოდ მათი ჩარევის შედეგად ახერხებდნენ პატიმართა მონახულებას. რაით ქუსი მიიჩნევს, რომ თუ ამგვარი ხელშეკრულებები, ეკლესიის გარდა, სხვა დაწესებულებებთანაც არ გაფორმდება და არ იარსებებს საზოგადოებრივი მონიტორინგი, „ეს მართლაც შეიძლება გახდეს დისკრიმინაციის მიზეზი. ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იფიქროს ამაზე, რომ სხვა რელიგიის აღმსარებელ ან ათეისტ ადამიანებსაც ჰქონდეთ საშუალება, ისარგებლონ თანაბარი უფლებებით“.

სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სხვა რელიგიების აღმსარებელი ან ათეისტი პატიმრების დისკრიმინაციის საშიშროებას ვერ ხედავს, ის თვლის, რომ „სასჯელალსრულების დაწესებულებებში ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანის უფლება არის გარანტირებული და ამ კუთხით საკმაოდ კარგი პრაქტიკა არსებობს, სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები საპატრიარქოსთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ მსჯავრდებულთან კონტაქტს. მემორანდუმის პრეამბულა ითვალისწინებს იმას, რომ რელიგიური უმცირესობის ინტერესების გათვალისწინება საპატრიარქოს მეშვეობით მოხდება. დღესაც თუ ციხეში სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელს სურს შესვლა, მას დახმარებას საპატრიარქო უწევს. მემორანდუმის შესაბამისად, თუ სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელს ენდომება მსჯავრდებულის ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და იღებს ამ მსჯავრდებულზე პასუხისმგებლობას, იგი მიმართავს საპატრიარქოს, რომელიც, თავის მხრივ, მიმართავს მუდმივმოქმედ კომისიას. რაც შეეხება მართლმადიდებელ მსჯავრდებულებს, რა თქმა უნდა, საპატრიარქო თვითონ განსაზღვრავს, რომელი მსჯავრდებულზე აიღოს პასუხისმგებლობა და ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, რწმენის სიძლიერე იყოს განმსაზღვრელი“.

თანამიმდევრული და კარგად გააზრებული პოლიტიკის შემთხვევაშიც, ციხეებში პატიმართა რიცხვის შემცირებას დრო დასჭირდება. პირველი ნაბიჯი სახელმწიფომ უკვე გადადგა – გასულ წელს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შექმნა. ახალი კანონპროექტების დამტკიცება კი შეჩერებული საპარლამენტო პროცესის გამო ჭიანჭურდება. **■**

ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იფიქროს ამაზე, რომ სხვა რელიგიის აღმსარებელ ან ათეისტ ადამიანებსაც ჰქონდეთ საშუალება, ისარგებლონ თანაბარი უფლებებით.

/35 ვინ დააზღვევს საქართველოს ჯანდასვას? **/37** როგორ შეუძლებს საქართველო საჭიროებებს
/40 პეტიორკეპეპლანსელები სკოლიდან მიდიან **/42** სენსიტივო ღილაკი **/44** შავი ზღვა ისევ შავია
/46 გვერდები ბრანსკლანგებში **/48** დამოუკიდებელი უიროსიანი



ფოტო: ლიბან სიხინაძე

ჯანდასვის რეფორმა **ვინ დააზღვევს საქართველოს ჯანდასვას?**

იუფი რეფორმის სამთავრობო პროექტი აშკარად ქრახს განიხილს, მაგრამ ახდენს თუ არა მართლაც ნაპოვინი მიზნების დაკმაყოფილებას, ისევე, როგორც ვერ ხერხდება საქართველოს ჯანდასვის სისტემის გაქრახიანი რეფორმის განხორციელება. >>

ლევან როინიშვილი, კონსულტანტი მართვის საკითხებში, კომპანია PURPLESHEEP

პრეზიდენტ სააკაშვილის დაპირებას იაფი დაზღვევის შესახებ იმედისა და ეჭვების კორიანტელი მოჰყვა. იმედი გაუჩნდა ბევრს, ვისაც აქამდე ხარისხიან მეურნეობაზე ხელი არ მიუწვდებოდა. ეჭვები კი იმათ დაეხებათ, ვინც პრეზიდენტის ამ ნაბიჯში მხოლოდ მოკლევადიანი პოლიტიკური ტკივილგამაყურებელი დაინახა.

თებერვლის დაპირებიდან ხუთი თვის თავზე ეჭვები უფრო მართლდება, ვიდრე იმედები. მთავრობის მიერ ნავარაუდები 800 000 მსურველის ნაცვლად, ივნისისთვის მხოლოდ 16 000 მოქალაქე დაეზღვია – დაგეგმილის უმნიშვნელო, 2%; თანაც მცირერიცხოვან დაზღვეულთა შორის დღესვე ბევრია უკმაყოფილო. საპრე-

ზიდენტო დაზღვევის ასეთი აშკარა მარცხის მიუხედავად, წარუმატებლობის ნამდვილი მიზეზები შეუსწავლელი რჩება. დასახელდა მრავალი სავარაუდო მიზეზი, თუმცა პროექტის ავტორები ადვილად აბათილებენ დღემდე გამოთქმულ ყველა შენიშვნას. კრიტიკოსთა ერთ-ერთი პირველი შენიშვნაა, რომ

ბიუჯეტში გათვალისწინებული 15 მილიონი ლარი მთავრობის მიერ ნავარაუდები 800 000 მსურველის დაზღვევას უბრალოდ ვერ ეყოფა. ამ მოსაზრებას მთავრობამ სასწრაფოდ უპასუხა, რომ საჭიროების შემთხვევაში თანხა გაიზრდება. დღეს უკვე ცხადია, რომ ასეთი საჭიროება არ გვემუქრება, დაზღვევის მსურველთა ძალიან მცირე რაოდენობის გამო. ამიტომ ეს არგუმენტი, არითმეტიკულად გამართულობის მიუხედავად, სადაზღვევო პროექტის ჩავარდნას ვერ ხსნის.



მეორე შენიშვნა ის არის, რომ იაფი დაზღვევით გათვალისწინებულ მომსახურებათა ნუსხა ძალიან მწირია. შარშანდღამდე სახელმწიფო საკუთარი ხარჯით ბევრად მეტ მომსახურებას ჰპირდებოდა მოსახლეობას, წელს კი შემცირებულ პაკეტში მოსახლეობისგან თანაგადახდას ითხოვს. მთავრობამ ამ კრიტიკას ასე უპასუხა: მილიონზე მეტი ყველაზე ღარიბი ჩვენი თანამემამულე დღეს მთლიანად მთავრობის ხარჯით არის დაზღვეული.

იაფი დაზღვევა კი ემსახურება დანარჩენ მოსახლეობაში სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის გაღვივებას. რაც უფრო გაიზრდება ნდობა, მით მეტი ადამიანი ჩაერთვება სადაზღვევო სქემაში, და მით უფრო შესაძლებელი გახდება მომსახურებათა ჩამონათვალის გაფართოება.

მესამე არგუმენტის ფორმულირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იყო საპრეზიდენტო პროექტი შეთანხმებული თავად სადაზღვევო კომპანიებთან. თუ შეთანხმება არ ყოფილა, მაშინ მთავრობა ამ კომპანიებს წამგებიან პირობებზე ამუშავებს და გააკოტრებს, ხოლო თუ შეთანხმება შედგა, მაშინ მთავრობისა და კერძო კომპანიების შეთქმულებასთან გვეჭონია საქმე და ახლა მოსახლეობა დაზარალდება. ამ ორლესული შენიშვნის საპასუხოდ პროექტის ავტორებმა განმარტეს, რომ პაკეტი სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობით შემუშავდა, მაგრამ შეთქმულების გარეშე, რადგან საბოლოო ჯამში მოსახლეობაც და ბიზნესიც მხოლოდ ერთდროულად შეიძლება აღმოჩნდეს მოგებულნი.

ამგვარად, პროექტის ავტორები ახერხებენ დღემდე გამოთქმულ ყველა შენიშვნაზე მეტ-ნაკლებად დასაბუთებული პასუხის გაცემას. მაშინ რაშია იაფი დაზღვევის პროექტის ნამდვილი სისუსტე? ამის გასარკვევად ანალიზის დაწყება მოგვინევს მთავრობის უფრო ადრეული ინიციატივის შესწავლით: უნდა გავისხნოთ თვით კერძო სადაზღვევო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება, რომელიც სულ რაღაც ორი წლის წინ მიიღო მთავრობამ.

სახელმწიფო დაზღვევიდან კერძო დაზღვევაზე გადასვლით საქართველოს მთავრობას უნდოდა ჯანდაცვის დაფინანსების მთავარი პრობლემის მოგვარება. მთავრობის აზრით კი, მთავარი პრობლემა იყო არა იმდენად ჯანდაცვისთვის გამოყოფილი თანხების სიმწირე, არამედ ამ თანხებიდან მნიშვნელოვანი დანაკარგები. იყო გაუთავებული ეჭვები, რომ გადატაკებული საავადმყოფოები და პოლიკლინიკები თანხებს მოტყუებით ითვისებდნენ. სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია კი, რომელსაც ამ თანხების განკარგვა ებარა, ვერ იყო საკმარისად მონდომებული მეთვალყურე, რადგან თანხების დაზოგვით მას პირადი ფინანსური სარგებელი არ ჰქონდა. აი, მის ადგილას რომ კერძო კომპანია ყოფილიყო, ყველაფერი პირიქით იქნებოდა. კერძო კომპანია ექიმებს ერთ თეთრსაც არ შეარჩენდა, რადგან მათთვის წართმეული თითოეული თეთრი კომპანიის მოგებას გაზრდიდა. მთავრობამ თავი ადვილად დაირწმუნა, რომ კერძო კომპანიების მიერ ასე დაზოგილი ფული ბევრად მეტი იქნებოდა, ვიდრე სახლში წაღებული მოგება, და ამით ჯანდაცვის დაფინანსების მთავარი პრობლემაც გადაწყდებოდა. მაგალითად მოჰყავდათ რამდენიმე განვითარებული ქვეყანა, სადაც ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა თითქოს სწორედ ასე მუშაობს.

გასაოცარია, რომ ამ გრძელ ლოგიკურ ჯაჭვში აბსოლუტურად ყველა რგოლი მცდარია. მაგრამ შევჩერდეთ მხოლოდ ერთ მოსაზრებაზე, რომელიც დღევანდელი იაფი დაზღვევის კრახის მიზეზსაც განმარტავს, და რომელმაც შეიძლება ქვეყნის კერძო სადაზღვევო სექტორიც გაანადგუროს და მთელი ჯანდაცვის სისტემაც.

საქართველოში ჯანდაცვის დაფინანსების მთავარი პრობლემა სინამდვილეში არც ბიუჯეტის სიმცირე იყო და არც მისი დანაკარგები. ამ ორ მიმე პრობლემაზე უფრო მნიშვნელოვანი ყოველთვის იყო ბიუჯეტის განაწილების ამოცანა. მთა-

ვრობამ ვერაფრით მოიფიქრა, მკურნალობის რა პაკეტი სჭირდებოდა მოსახლეობას ყველაზე მეტად, რომ არსებული მწირი ფული იქით მიემართა. ჯანდაცვის დაფინანსების ერთი პროგრამა მეორეთი იცვლებოდა, განიხილებოდა სხვადასხვა ბაზისური პაკეტი, მაგრამ მოსახლეობისთვის მისაღები ვარიანტი ვერ მოიძებნა. საერთო დაბნეულობაში მთავრობამ ვერც ის გაარკვია, რომ კერძო სადაზღვევო სისტემის მთავარი როლი სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტაა და არა ფულის დაზოგვა და ექიმების დევნა.

მაგრამ რატომ შეუძლია კერძო სადაზღვევო კომპანიის სახელმწიფო დაწესებულებაზე უკეთ მოსახლეობის საჭიროების გამოცნობა? პირველი მიზეზი ის არის, რომ კერძო კომპანიების შემთხვევაში, როგორც ნაპოლეონის არმიამ, რაოდენობა გადაიზრდება ხარისხში. მხოლოდ უთვალავ პატარა სახაჭაპურეს შეუძლია ყველა ქუჩაზე გამოაცხოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოსაწონი ხაჭაპური იმ მოსახლეობისათვის მისაღებ ფასად. „ხაჭაპურის სამინისტრო“, რაც უნდა კარგად მუშაობდეს, ასეთ მრავალფეროვნებას უბრალოდ ვერ აუვა. ჯანდაცვის შემთხვევაშიც, მოსახლეობას, ერთი ან ორი კი არა, მომსახურების მრავალი სხვადასხვა პაკეტი სჭირდება.

კერძო კომპანიის მეორე უპირატესობა მისი ფინანსების არსენალში არსებული ერთი სასარგებლო ილეთია, რომლის გამოერება არ შეუძლია სახელმწიფო დაწესებულებას. ეს ილეთი გაკოტრებაა. ამ დროს კომპანია ქრება, მაგრამ მისი იდეები, კაპიტალი და მუშახელი მის კონკურენტთან გადადის, რომელსაც შედარებით უკეთ ესმის მომხმარებლის მოთხოვნა. ამ გამანადგურებელი ესტაფეტის ბოლოს კი გამოვლინდება მომხმარებლის ნამდვილი მოთხოვნა და არჩევანი.

ეს პროცესი, რომელსაც ჯოზეფ შუმპეტერი „შემოქმედებითი განადგურება“ უწოდა, არ იქნებოდა საჭირო, თავიდანვე რომ ცნობილი იყოს მომხმარებლის ზუსტი დაკვეთა. სამწუხაროდ, ეს ფენომენი საწყის ეტაპზე უცნობია თვითონ მომხმარებლისთვისაც. მაგალითად, პირველი საფრენი აპარატი იმიტომ კი არ გამოიგონეს, რომ ვიღაც დაჟინებით ითხოვდა ფრანკფურტიდან ბადენ-ბადენში გაფრენას. პირიქით, ამ რეისზე მოთხოვნა სწორედ დირიჟაბლის გამოგონების შედეგად გაჩნდა.

ბრძენიც რომ იყოს პრეზიდენტი და მთავრობა, მოსახლეობის გულისტქმის ნაკითხვას მაინც ვერ ახერხებს. ამ პა-

ორი წლის წინ მთავრობამ სწორად გამოიხსნა კერძო დაზღვევის უპირატესობა, მაგრამ ვერ გამოიხსნა ამ უპირატესობის ნამდვილი ბუნება. დღეს მოწინააღმდეგე სწორად იწინასწარმეტყველეს იაფი დაზღვევის კრახი, თუმცა ვერ დააღვინეს ამ კრახის ნამდვილი მიზეზები.

რადოქსს „ცოდნის პრობლემა“ დაარქვა ნობელის პრემიის ლაურეატმა ფრედერიკ ჰაიაკმა. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტაა კერძო კომპანიების მთავარი უპირატესობა სახელმწიფო დაწესებულებებთან შედარებით. ქართული კერძო სადაზღვევო კომპანიების უპირატესობაც ეს უნდა ყოფილიყო: მათ იქამდე უნდა ებრძოლათ ერთმანეთში, სანამ მოსახლეობისთვის მისაღებ სადაზღვევო პროდუქტების მთელ წყებას არ მიაგნებდნენ.

მაგრამ კერძო კომპანიის ეს უპირატესობა მაშინვე ქრება, როგორც კი მთავრობა თვითონ დაუდგენს კომპანიას

პროდუქტსაც და მის ფასსაც. ეს მთავარი შეცდომა დაუშვა საქართველოს მთავრობამ იაფი დაზღვევის პროექტშიც. კერძო სადაზღვევო კომპანიებს აღარ შეუძლიათ შემოქმედებითად მიუდგნენ მოსახლეობისათვის მისაღებ სადაზღვევო პროდუქტის შერჩევას და ამ კეთილშობილურ პაექრობაში შეერკინონ ერთმანეთს. მათ ისლა დარჩენიათ, ექიმებს ეკინკლავონ თითოეული თეთრის გამო. მაშინ რა გასაკვირია, რომ მხოლოდ რამდენიმე ათასმა ჩვენმა თანამემამულემ გადაწყვიტა ამ ფარსში ფულის გადახდა, ხოლო „პარტერიდან“ უკვე ისმის განზილებული აუდიტორიის ხმამაღალი სტვენა“.

ორი წლის წინ მთავრობამ სწორად გამოიწინა კერძო დაზღვევის უპირატესობა, მაგრამ ვერ გამოიწინა ამ უპირატესობის ნამდვილი ბუნება. დღეს ოპონენტებმა სწორად იწინასწარმეტყველეს იაფი დაზღვევის კრახი, თუმცა ვერ დაადგინეს ამ კრახის ნამდვილი მიზეზები. მაგრამ თუ მიზანი ჯანდაცვის სისტემის რეალური გაჯანსაღებაა, და არა დროებითი პოლიტიკური ანესთეზია, მაშინ აუცილებელია ამ პროცესების ეკონომიკური სარჩულის კარგად გააზრება. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაქარწყლება ეჭვები და გამართლება ხალხის იმედები.

თუ ხალხს ჯერ კიდევ დარჩა იმედი. ■

განათლება

როგორ მიუჩვეოდა სამეურვეო საბჭოები

საქართველოს 2000-ზე მეტ საჯარო სკოლას სამინისტრომ ვაჭაროვანი ანგარიშით ახალი საბჭოები საბჭოებში ახორცილა. >>

თამარ ლონდაძე



სკოლის მართვაში ამ ახალი რგოლის დამატება სამი წლის წინათ განათლების რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად შეფასდა. მშობლებითა და მასწავლებლებით დაკომპლექტებულ საბჭოს, რომელსაც ჰქონდა დირექტორის არჩევის, ბიუჯეტის დამტკიცების, პედაგოგის კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენების, გამოცდებზე დასწრების და კიდევ ბევრი სხვა უფლება, სკოლის მართვა დემოკრატიულ პროცესად უნდა ექცია.

სამეურვეო საბჭოების შესახებ დოკუმენტში აღწერილი ეს სურათი იდეალური იყო. რეალობა კი სხვაა, რომელსაც კიდევ

უფრო ართულებს ზოგადი განათლების შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებები. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილების მიხედვით, არჩეულ ახალ საბჭოებში შევა განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, არა მხოლოდ ხმის უფლებით, არამედ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისგან დამოუკიდებლად სხდომის მოწვევის უფლებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონული კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის, სანდრო ყურულის განმარტებით, საბჭოში განათლების სამინისტროს წარმომადგენლის

შეყვანა იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ გაუმჯობესდეს სკოლების დისციპლინა და გამოცოცხლდეს სასკოლო ცხოვრება. ცვლილების მომხრენი ამტკიცებენ, რომ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები შეძლებენ, დაეხმარონ სამეურვეო საბჭოებს ფუნქციების უკეთ აღსრულებაში.

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის, თეა თუთბერიძის აზრით კი, ეს ცვლილება პრაქტიკულად კლავს სკოლების თვითმმართველობას. „წარმომადგენელი რომელიმე სოფლის სკოლაში ჩადის ადამიანი სამინისტროს წარმომადგენლის სტატუსით, და ამბობს, რომ ეს ასე კი არა, ასე უნდა გავაკეთოთ, სამეურვეო საბჭოს რომელი წევრი გაუნეწეს მას წინააღმდეგობას? ეს უკვე სკოლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა აღარ არის. თუ მათი მიზანი რეალურად სამეურვეო საბჭოების დახმარება და კონსულტაცია იყო, შეეძლოთ მოქმედი კანონით მინიჭებული უფლებამოსილება გამოეყენებინათ და საბჭოში საკუთარი წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებით მიევილინათ. გარდა ამისა, სწორედ კონსულტაციების და დახმარების მიზნით შექმნეს თავის დროზე რესურს-ცენტრებიც“.

მოქმედი კანონის მიხედვით, განათლების სამინისტროს მართლაც ჰქონდა უფლება, თავისი წევრი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებით შეეყვანა საბჭოში, თუმცა ამ უფლებას თითქმის არ იყენებდა.

ილუსტრაცია მიწოდებულია მასწავლებლის



სვლილებაი განათლების შესახებ კანონი ჯერ პარლამენტა უნდა დაამტკიცოს და მხოლოდ ამის შემდეგ შევა კალაში. მათი დამტკიცება ახალი სასკოლო ორგანოს ეფექტურობას კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

23-ე სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მარინა დალაქიშვილი ამბობს: „წესით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები საბჭოებს იმისთვის ენიშნებოდათ, რომ მათ საკუთარ უწყებამდე მიეტანათ სკოლის პრობლემები. ჩვენ სკოლაში ასეთი წარმომადგენელი საკრებულოდან მხოლოდ ერთხელ მოვიდა, 2008 წლის გაზაფხულზე, საპარლამენტო არჩევნების წინ და დაგვიბრდა, რომ ერთგვარი ხიდი იქნებოდა სკოლასა და თვითმმართველობას შორის. მას შემდეგ ეს კაცი არ მინახავს. განათლების სამინისტროდან კი წარმომადგენელი ოფიციალურადაც არ გვყოლია“.

ცვლილებები განათლების შესახებ კანონში ჯერ პარლამენტა უნდა დამტკიცოს და მხოლოდ ამის შემდეგ შევა ძალაში. მათი დამტკიცება ახალი სასკოლო ორგანოს ეფექტურობას კიდევ უფრო დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. თუმცა, საბჭოების სამწლიან მუშაობას რომ გადაავალოთ თვალი, აღმოჩნდება, რომ სკოლების საბჭოების დიდმა ნაწილმა უფლებები და შესაძლებლობები ეფექტურად ვერც აქამდე გამოიყენა. მიზეზი რამდენიმეა.

სამეურვეო საბჭოს წევრებს საბჭოში განუვლი შრომა ხელფასით არ უნაზღაურდებათ. ერთადერთი დაინტერესება, რაც მათ სამეურვეო საბჭოში ყოფნისას უნდა ჰქონდეთ, აბსოლუტურად არამერკანტილურია – მოსწავლეებისთვის აუცილებელი სასწავლო გარემოს შექმნაზე ზრუნვა. ამიტომ საბჭოს მუშაობის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებული მისი წევრების პირო-

ვნულ თვისებებზე – ერთუზიანობა და პრინციპულობაზე. მაგალითად, იგივე ძლიერი ხასიათის გარეშე, შეუძლებელია დირექციის გავლენის ქვეშ არ მოექცე და საკუთარი აზრის დაცვა ბოლომდე შეძლო. „პრინციპულობა, ინიციატივობა და კომპეტენცია – ამ თვისებების გარეშე, საბჭოს მუშაობა ნაკლებეფექტური იქნება. ვფიქრობ, სწორედ ამ ნიშნებით უნდა იხელმძღვანელოს ამომრჩეველმა, მშობელმაც და მასწავლებელმაც“, – აცხადებს 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი გია მურღულია.

სავარაუდოდ, საბჭოს წევრების ამ თვისებების ნაკლებობის გამო, სკოლების ნაწილში სამეურვეო საბჭოს მუშაობა ფორმალური გახდა. თუმცა, რამდენიმე სკოლაში პირიქით მოხდა. რაც უნდა პარადოქსული იყოს, პირველი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში სერიოზული ძალა გახდა სკოლის ყოფილი დირექტორი ლიანა შენირული. საბჭოთა პერიოდში სკოლის მართვის 32-წლიანი გამოცდილების მიუხედავად, დანარჩენ წევრებთან შედარებით, ამ სიახლის მიღება ყველაზე მეტად მან შეძლო. სკოლის ახლანდელი დირექტორი ლელა ნიქარიშვილი აღნიშნავს, რომ ყველა ტიპის დოკუმენტზე, თუნდაც სასწავლო გეგმაზე, ყველაზე სხარტი რეაგირება ლიანა შენირულს ჰქონდა. სწორედ მისი ინიციატივა იყო საბჭოს თავმჯდომარედ მშობლის და არა პედაგოგის დანიშვნა, „რადგან მასწავლებლებს დირექტორთან სხვა ვალდებულებები აკავშირებს, მშობელი კი გაცილებით თავისუფალია და მოთხოვნებისა და პრეტენზიების საფუძველი მეტი აქვს.“

42-ე სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლილა ნარინდოშვილი აცხადებს: „ჩვენი სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა ბიჭია და მშობელი დაინტერესებულია, რომ სკოლაში დაცული იყოს დისციპლინა. ამიტომ საბჭომ შინაგანანგის დამტკიცებისას სწორედ მშობლების მოთხოვნით განსაზღვრა სანქციები, რომლებიც გულისხმობს გარკვეულ სამუშაოებს ბიბლიოთეკასა და სკოლის ეზოში. ამ პუნქტმა სერიოზულად იმუშავა. დავიანებების რაოდენობა მაქსიმალურად არ აღმოფხვრილა, მაგრამ საგრძობლად შემცირდა“.

სკოლის დირექცია საბჭოს გარეშე ვერც ბიუჯეტს დაამტკიცებს. ბიუჯეტის პროექტს მას დირექტორი წარუდგენს.

გია მურღულიას თქმით, „ბიუჯეტის საკითხს დირექტორი ერთპიროვნულად ამ საბჭოების შემოღებამდეც ვერ წყვეტდა. ამას ადგილობრივი თვითმმარ-

თველობის ორგანოები აკეთებდნენ, მაგრამ ახლა, საბჭოს წევრები ძირითადი სასკოლო სუბიექტების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების გამოხატველები არიან. ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას მათ უჩნდებათ შეკითხვები და მე თანხების გადანაწილების ჩემული ვარიანტი უნდა დავასაბუთო. ეს საინტერესოს ხდის მუშაობას იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრაციას იმევე გვეჩვენება იმ საკითხების კარგად გაცნობიერება, რაც სკოლას რეალურად აღელებს“.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლის ბიუჯეტს მოსწავლეთა ვაუჩერები ქმნის (ანუ ერთ მოსწავლეზე წელიწადში 325 ლარი იანგარიშება) და მისი თითქმის 80 პროცენტი მიაქვს მასწავლებელთა ხელფასებსა და კომუნალურ გადასახადებს, სამეურვეო საბჭოს საკონტროლო, სამსჯელო და განსაკარგი ბევრი აღარაფერი რჩება.

თუმცა, ზოგიერთ სკოლაში უკმაყოფილებას ხელფასების ოდენობაც კი იწვევს. მაგრამ ძირითადად საბჭოები ქმედით გადანყევტილებას ვერ იღებენ. პირველი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი, ქალბატონი ლიანა შენირული თითქმის ყოველ სხდომაზე მოითხოვს, დამლაგებლებს გაეზარდოთ ხელფასები, მაგრამ უშედეგოდ.

23-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მარინა დალაქიშვილი კი ამბობს: „ჩვენ სკოლაში ყოფილა შემთხვევა, როცა დირექციის მიერ შემოთავაზებულ ბიუჯეტის პროექტში განსხვავება იყო სკოლის დირექციის წევრთა და მასწავლებელთა ხელფასების ოდენობას შორის. ამის გამო, მასწავლებლები პრეტენზიას გამოთქვამენ, რადგან მეტი მოცულობის სამუშაოს სკოლაში პედაგოგები ასრულებენ, მაგრამ საბჭო უძლური იყო, რამე შეეცვალა“.

საპირისპიროდ გადანყდა ეს საკითხი თბილისის 42-ე საჯარო სკოლაში, სადაც სამეურვეო საბჭომ შეძლო პედაგოგთა ხელფასების ოდენობა გაეზარდა, რის წინააღმდეგაც დირექცია ვერ წავიდა.

სამეურვეო საბჭო მონიტორინგის საკმაოდ ძლიერ ორგანოდ იქცა თბილისის პირველ საჯარო სკოლაში. მის დირექტორს, ქალბატონ ლელა ნიქარიშვილს საბჭო კატეგორიულ მოთხოვნებს უყენებდა, როცა საქმე ეხებოდა სკოლის ბედს, რომელსაც დღემდე დიდწილად განსაზღვრავს მისი მდებარეობა.

„მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან“ დაკავშირებული ცნობილი მოვლენების შემდეგ გავრცელდა ხმები ამ

სკოლის შენობის გადატანის შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაუდასტურებელი იყო, პირველი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო კატეგორიულად მოითხოვდა სკოლის ადმინისტრაციისგან, არ გაჭიანურებულიყო ინსტანციებში შენობის უზუფრუქტით გადაცემის შესახებ დოკუმენტის გაფორმება, რადგან სხვა სკოლებს ეს საკითხი უკვე მოგვარებული ჰქონდათ.

„საკითხის გასარკვევად შევხვდი ქალაქის მერსაც და მან დამარწმუნა, რომ სკოლის გადატანას არ აპირებდნენ. მაგრამ საბჭოს დაკმაყოფილება მერის სიტყვიერი რწმუნებით ვერ შეეძლო. ისინი მანამ არ დამშვიდდნენ, ვიდრე 2008 წელს ხელშეკრულება საბოლოოდ არ გაფორმდა შენობის უზუფრუქტით გადაცემის შესახებ“, – აცხადებს პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, ლელა ნიქარიშვილი.

სამეურვეო საბჭოს ფუნქციებში პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაც შედის. მისი პირდაპირი მოვალეობაა, მასწავლებლის კვალიფიკაციის საკითხი დააყენოს მაშინ, როცა დირექტორს ასეთივე უფლება არ აქვს. თუმცა, ამ უფლებას სამეურვეო საბჭოები თითქმის არ მიმართავენ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლების ძირეული პრობლემები – მაგალითად მაშინ, როდესაც მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ძლევს სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არასრულად, მაგრამ დიდწილად მასწავლებლის არაკომპეტენტურობის შედეგია.

იმას, თუ რატომ ერიდებიან სამეურვეო საბჭოები პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ხმამაღალ საუბარს, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ეროვნული სასწავლო გეგმა სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს მასწავლებლის წინაშე, ეს მისგან მოითხოვს საკმაოდ სერიოზულ კომპეტენციას, განვითარებას და ეს ფუნქციები სრულფასოვნად რომ შეასრულოს, სპეციალური მომზადებაა საჭირო. მასწავლებელთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების ცენტრში მოქმედებს პროგრამები, მაგრამ ჯერჯერობით ეს პროგრამები მხოლოდ დამკვიდრების პროცესშია და ეს სამეურვეო საბჭოებშიც კარგად იცინან. თუმცა, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლის, თეა თუთბერიძის აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც სამეურვეო საბჭოები ამ ფუნქციას ვერ ასრულებენ, მათზე სამინისტროს ზენოლაა: „იმ სკოლებში, სადაც სამეურვეო საბჭოებმა სკოლის

დირექტორს მოსთხოვეს ნაკლებად კვალიფიციური მასწავლებლის გაშვება, პრობლემები შეექმნათ საბჭოსაც და დირექტორსაც. მაგალითად, გორის რაიონში, სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლაში, მასწავლებლის გაშვების მოტივით, დაითხოვეს დირექტორიც და სამეურვეო საბჭოც. გათავისუფლების ბრძანებაში ცხადია, არ ჩაუწერიათ, რომ სწორედ ეს იყო ბრძანების საფუძველი, მაგრამ ამას არ უარყოფდნენ პირად საუბრებში“.

საბჭოს აქვს უფლება, იზრუნოს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და სახსრების მოძიებაზეც. თუმცა იმ ფონზე, რომ სამეურვეო საბჭოები სხვა, უფრო რეალური ფუნქციების განხორციელებას ვერ ახერხებენ, გასაკვირი არ არის, რომ მათ ეკონომიკური კრიზისის დროს სახსრების მოძიება ვერ შეძლეს.

სამეურვეო საბჭოს წევრებს საკუთარი შენიშვნები აქვთ განათლების შესახებ კანონის ზოგიერთი პუნქტისა და თვით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ. ბევრისთვის მიუღებელია, რომ სკოლის დირექტორი არ არის აუცილებელი, იყოს პედაგოგი, ანუ ნებისმიერ ადამიანს უმაღლესი განათლებითა და სამწლიანი მუშაობის გამოცდილებით, შეუძლია გაიაროს დირექტორთა შესარჩევი ტესტირება, გასაუბრება და მხოლოდ მენეჯერის ფუნქციებით წარუდგეს საბჭოს დასამტკიცებლად.

სარეზიუმეო იყო დირექტორთა დამტკიცების დროსაც. იყო შემთხვევები, როცა საბჭომ ვერ გამოიყენა თავისი უფლება, დაეწინაურებინა დირექტორის კანდიდატურა და სკოლის დირექციის გავლენის ქვეშ მოექცა.

„ისეთი შემთხვევაც იყო, როცა კანდიდატმა დირექტორების ტესტირება მაღალი მაჩვენებლებით გაიარა, მაგრამ სკოლაში მოვალეობის შემსრულებლად დარჩა ძველი ადამიანი, რომელმაც სამეურვეო საბჭოს მეშვეობით დაბლოკა ახალი კაცის მისვლა სკოლაში. ისეც მომხდარა, რომ მოქმედი დირექტორი გავიდა კონკურსზე, ვერ დააგროვა საჭირო ქულები, ზოგ შემთხვევაში ჩაიჭრა კიდეც, მაგრამ თანამდებობა მაინც შეინარჩუნა, რადგან სამეურვეო საბჭო მისი ბრმა ან დაინტერესებული მხარდამჭერი იყო“, – ამბობს გია მურღულია, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

არალოგიკურად მიიჩნევენ იმ ფაქტსაც, რომ სკოლის ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს 10 დეკემბრამდე, ანუ იმ დროს, როცა სასწავლო პროცესი უკვე დაწყებულია. როგორც განათლების სამინისტროში განმარტეს, საფინანსო წელი მთელი ქვეყნისთვის იანვარში იწყება და ვერც განათლების სისტემა იქნება გამონაკლისი.

ზოგადად, სამეურვეო საბჭოების მიმართ ორგვარი დამოკიდებულება გაჩნდა – ერთი მხრივ, ეს არის კარგი ფორმა, დემოკრატიის დამკვიდრების უფრო მეტი ძალისხმევა, რომლის სრული რეალიზებისთვის თვითმმართველობის მეტი ბერკეტი და უფრო დიდი გამოცდილებაა საჭირო. თუმცა მეორე მხრივ, ყველა შესაძლებლობა რაც საბჭოებს ჰქონდათ, ამ სამ წელიწადში სრულად არ იყო რეალიზებული. ამ ინსტიტუტის დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდა კი განათლების შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებების დამტკიცება-არდამტკიცებაზეა დამოკიდებული. **■**

შპსტი.

საქართველოს 2000-ზე მეტ საჯარო სკოლაში სამეურვეო საბჭოები 3 წლის ვადით ირჩევა. სკოლაში, რომელიც სწავლობს 500 მოსწავლეზე მეტი, სამეურვეო საბჭოში შედის 12 წევრი, ხოლო 500 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიან სკოლაში – 6 წევრი. სამეურვეო საბჭოებში ნახევარზე მეტი მასწავლებელია, რომელთა კანდიდატურებსაც არჩევნებზე პედაგოგიური

საბჭო წარადგენს, დანარჩენი წევრები კი მშობლები არიან, რომელთაც მშობელთა კომიტეტები ირჩევენ. საბჭოში ხმის უფლებით ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთი წევრი მესამე საფეხურიდან, ანუ მე-10, მე-11 ან მე-12 კლასიდან, რომელიც ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე ირჩევა. გარდა ამისა, დღემდე სამეურვეო საბჭოებს

სათათბირო ხმის უფლებით ენიშნებოდათ თითო წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან და განათლების სამინისტროს რესურსცენტრებიდან. თუკი პარლამენტი განათლების შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს დაამტკიცებს, განათლების სამინისტროს წარმომადგენელს ახალი უფლებები მიენიჭება.

განათლება

მეთორმეტეკლასელები სკოლიდან მიღიან

ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საჯარო სკოლების შეათავსებელი პროგრამები მე-12 კლასელებს აიკრებთ, სკოლაში სიჩარის ნაცვრად, რეპეტიტორებთან იარონ.

რუსუღან ფანოზიშვილი



ნეს, რომლებიც სკოლაში არ გაუვლიათ, ან კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურად ჰქონდათ მითითებული.

თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს თამუნა ცინცაძეს რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“ მასწავლებელმა ახსნის გარეშე, მხოლოდ კლასგარეშე საკითხავად მისცა. „მისაღებ გამოცდაზე კი პროგრამაშია შეტანილი. რთული და დიდი ნაწარმოებია და მართო ჩემი მეცადინეობით მისი დაძლევა გამიჭირდებოდა“, – ამბობს თამუნა, რომელსაც ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდისთვის რეპეტიტორი ამზადებს.

მოსწავლეების ნაწილი მსგავს პრობლემას აწყდება „შუშანიკის ნამების“ შემთხვევაშიც. ზოგ სკოლაში მათ აგიოგრაფიული ტექსტის მხოლოდ შინაარსი მოსთხოვენ. მეთორმეტე კლასელი მათა მარდაღიშვილი ამბობს: „როგორც ვიცი, გამოცდაზე იმ ძველი ქართული სიტყვების შინაარსის გაგება და ცოდნაც მომეთხოვება, რა ენითაც „შუშანიკის ნამებაა“ დანერილი. როგორ უნდა მივხვედ ჩემით, რა რას ნიშნავს, თუკი სკოლაში ნაწარმოები ამ კუთხით ნასწავლი არ მაქვს?“

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი კახა ჯამბურია ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ მასწავლებელი თავისუფალია არჩევანში, ისე ასწავლოს ესა თუ ის საპროგრამო ნაწარმოები, როგორც საჭიროდ ჩათვლის.

„მეთორმეტე კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო არაფრის მომცემია. პროგრამაში შეტანილმა ცვლილებებმა კი მოსწავლეები ზოგადად ნიგნს მოსწყვიტა“, – აცხადებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კლარა ჩხაიძე. ის ჰყვება, რომ მეთორმეტე კლასელების სახელმძღვანელოთი დაინტერესება მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, რაც მოსწავლეებს უთხრა, რომ ნიგნში მოცემული ლიტერატურა, შესაძლოა, მისაღებ გამოცდებზე უცხო ტექსტის სახით მაინც შეხვედროდათ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამას განათლების სამინისტროს

ერთიანი ეროვნული გამოცდები, მეოთხე წელია, ტარდება, მაგრამ პრობლემა, რომელიც აბიტურიენტებს მომზადებისას გაუჩნდათ, ყველაზე მწვავედ წელს გამოჩნდა. მე-12 კლასების შემოღების შემდეგ განათლების სამინისტრომ ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები დაამტკიცა, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ დამამთავრებელი კლასის პროგრამა შინაარსობრივად ძალიან დატვირთული იყო და საგრძნობლად განსხვავდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების სავალდებულო საკითხებისგან. ამიტომ მოსწავლეების უმრავლესობამ, ვისაც ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე გასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, არჩია, სასკოლო სახელმძღვანელოები გვერდზე გადაედო და პირდაპირ საგამოცდო პროგრამისთვის მომზადებულიყო. მათმა ნაწილმა სკოლაში სიარულსაც დაანება თავი, ზოგი იმ სკოლაში გადავიდა, სადაც გაცდენების გამო არ დასჯიდნენ.

სასკოლო პროგრამების შედგენაზე განათლების სამინისტროში ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი მუშაობს. ცენტრის ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია აცხადებს, რომ ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების ერთ-ერთი მიზანი სკოლის როლის გა-

ძლიერება უნდა ყოფილიყო. „სკოლის მიზანი ეროვნულ გამოცდებზე ორიენტაცია არ არის, სკოლის ფუნქცია მოსწავლისთვის ზოგადი განათლების მიცემაა, რომელიც მათ არა მარტო მისაღები გამოცდებისას, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ“. ამიტომაც, მისი თქმით, სკოლაში გაცილებით უფრო მრავალფეროვან საკითხებს ასწავლიან, ვიდრე კონკრეტულად გამოცდებისთვის არის საჭირო.

არათავსებადობა ყველა საგანს თანაბრად არ ეხება. მცირე განსხვავებაა ისტორიის სახელმძღვანელოსა და მისაღები გამოცდების ტესტებში და ამ საგნის მასწავლებლები უფრო სასკოლო პროგრამის ზედპირულობას უჩივიან. მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები სკოლაში უფრო ღრმად ისწავლება, ვიდრე ეროვნულ გამოცდაზე გასასვლელადაა საჭირო. ქართული ენისა და ლიტერატურის შემთხვევაში კი, პირიქითაა – გამოცდაზე მოსწავლეებს იმ მასალას სთხოვენ, რომელსაც სასკოლო პროგრამა არ ითვალისწინებს. არადა, ამ საგნის ჩაბარება, განურჩევლად პროფილისა, ყველა აბიტურიენტს მოეთხოვება.

მეთორმეტე კლასელებმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართულ პროგრამაში ისეთი ნაწარმოებები აღმოაჩი-

გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს. წლევანდელი საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაშიც და სხვა საგნებშიც ცენტრმა სკოლებს სასწავლო წლის დაწყებისთანავე, 2008 წლის სექტემბერში წარუდგინა.

მამინვე გაირკვა, რომ ეროვნული გამოცდების ქართულის პროგრამა, სასკოლო სახელმძღვანელოებში შესული ნაწარმოებების გარდა, ასევე, მოიცავდა და გრიგოლ ორბელიანის ისეთ ლექსებს, რომელთაც მეთორმეტე კლასელებს არ ასწავლიდნენ. აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ კი სასკოლო პროგრამაში მხოლოდ მცირე ნაწყვეტების სახით შედიოდა, ისიც არადაამთავრებელ კლასებში. „გამოცდებზე აბიტურიენტებს კი მათი ანალიზი მოეთხოვებათ. თუ არ უსწავლიათ, როგორ უნდა განიხილონ?“ – აცხადებს მე-10 სკოლის პედაგოგი მარინა გიორგაძე.

სასკოლო პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, რომ „თუ ისეთი საკითხები, რომლებიც მოსწავლეებს სკოლაში არ გაუვლიათ, საგამოცდო პროგრამაში შედის, მაშინ პრობლემასთან გვაქვს საქმე. თუ გამოცდაზე სკოლაში ნასწავლი საკითხები არ შევა, მაშინ მოსწავლე ორიენტირებული იქნება იმაზე, რაც გამოცდებზე ბარდება და არა იმაზე, რასაც სკოლაში ასწავლიან“.

საგამოცდო პროგრამა რომ დამატებით საკითხებს მოიცავს, ამას გამოცდების ეროვნულ ცენტრში მათი მიზნის სპეციფიკით ხსნიან – გამოცდებზე აბიტურიენტების აზროვნება მოწმდება. „მათგან საზეპიროების ცოდნას არ ვითხოვთ. მთავარია, ამა თუ იმ მწერლის თუ ლიტერატურული მიმდინარეობის ფსიქოლოგია ესმოდეთ. ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, უკვე შესწავლილ ნაწარმოებზე მსჯელობას მოვითხოვთ თუ სხვაზე“, – აღნიშნავს ია გამყრელიძე.

სკოლის სახელმძღვანელოების გრიფირების წესის მიხედვით, საჯარო სკოლებს საშუალება აქვთ, ზოგიერთ საგანში სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოებიდან სასურველი ამოირჩიონ. „ამიტომ კონკრეტულად რომელიმე სახელმძღვანელოს არჩევა და საგამოცდო პროგრამის მასზე მორგება ჩვენი მხრიდან ამ სახელმძღვანელოს ავტორის ლობირება იქნება და სხვა არაფერი“, – აცხადებს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი სოფო დოლიძე.

არადა, ყველაზე პრობლემურ საგანს – ქართულ ენასა და ლიტერატურას საჯარო

სკოლების დამამთავრებელი კლასები ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ავტორის, თამაზ ვასაძის წიგნით სწავლობენ.

ერთი მხრივ, ქართულის XII კლასის პროგრამით, მოსწავლეებმა ფრანც კაფკას, ბულგაკოვის, კაუფმანის და სხვათა ნაწარმოებების, პუბლიცისტური წერილების განხილვა უნდა მოასწრონ, რეცენზიების წერა ისწავლონ, მეორე მხრივ კი, გამოცდებისთვის მოემზადონ, რაც წინა წლებში ნასწავლი საკითხების გამეორებასაც მოითხოვს.

„მესმის, რომ ერთდროულად აბიტურიენტებს გასამეორებლად და სასწავლად ბევრი მასალა უგროვდებათ, – აცხადებს სიმონ ჯანაშია, – ამიტომაც ერთ-ერთი ჩვენი რეკომენდაცია ცენტრის მიმართ ასეთია, რომ მათ საგამოცდო საკითხებში წინა კლასების ბევრი მასალა არ შეიტანონ“, – დასძენს ის.

სკოლის გაძლიერებაში რეპეტიტორების ინსტიტუტის შესუსტებაც იგულისხმება. ამიტომ, რეფორმისა და სკოლის „ბავშვებთან დაახლოების“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი ძველი სისტემის ამ გადმონაშთთან ბრძოლაცაა. თუმცა, სიმონ ჯანაშიას თქმით, ჯერჯერობით „არ არსებობს კონკრეტული პოლიტიკა რეპეტიტორობის მიმართ. ეს კი მთლიანობაში სისტემის პრობლემას ასახავს. რაც უფრო მეტია რეპეტიტორობის საქიროება, უფრო ნაკლებია შანსი, რომ ყველამ შეძლოს კონკურსში მონაწილეობა“.

წელს თბილისის საჯარო სკოლებმა სიმონ ჯანაშიას ცენტრში დასახული მიზნებისაგან აბსოლუტურად საპირისპირო სურათი მიიღეს: თბილისის მე-20 საჯარო სკოლის დირექტორი ნუგზარ კანდელაკი ამბობს, რომ დასწრება მეთორმეტე კლასებში მხოლოდ 50 პროცენტი იყო.

მე-10 საჯარო სკოლის დირექტორის, ბელა ხუბუტიას ცნობით კი, მისი სკოლის მეთორმეტე კლასებიდან მოსწავლეების ოცი პროცენტი სხვა სკოლებში გადავიდა, რადგან იქ გაკვეთილების დროის ხარჯზე რეპეტიტორებთან სიარულის საშუალებას აძლევდნენ.

„მას შემდეგ რაც აბიტურიენტებს გაკვეთილებზე დასწრება მოსთხოვეს, მეთორმეტე კლასებიდან ერთი კლასი მთლიანად დაცარიელდა 51-ე საჯარო სკოლაშიც“, – ამბობს სკოლის დირექტორის მოადგილე მერი ალბორიშვილი.

სიმონ ჯანაშია აცხადებს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ცვლილებები პროგრამაში გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა უნდა შეიტანოს: „ბავშვები ჯერ სკოლაში დადიან და შემდეგ აბარებენ გამოცდებს და არა პირიქით. ამიტომ, არ შეიძლება, ისინი იმაში გამოვცადოთ, რასაც სკოლაში არ ასწავლიან. მზად ვართ, ამ საკითხში გამოცდების ცენტრთან ვითანამშრომლოთ“.

თუმცა, წლევანდელი საგამოცდო პროგრამის შედგენაში ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს აქტიური მონაწილეობა უშუალოდ არ მიუღია. ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა უფრო ადრე შეადგინეს, ვიდრე ეს ცენტრი შეიქმნებოდა, ხოლო წელს, მიუხედავად იმისა, რომ მეთორმეტე კლასი დაამატეს, „ინერციით ძველი საგამოცდო პროგრამა გაგრძელდა“.

მიმავალი თანამშრომლობისთვის გამოცდების ცენტრშიც მზად არიან. ქართული ენისა და ლიტერატურის ფგუფის ხელმძღვანელის, კახა ჯამბურის განცხადებით, პროგრამაში სამომავლოდ ძირითადად ისეთი საკითხები შევა, რაც სკოლებში ერთი საგნის ყველა სახელმძღვანელოში იქნება მოცემული. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გამოცდაზე აბიტურიენტების აზროვნება უფრო მოწმდება, ვიდრე ცალკეული ტექსტის ცოდნა, არასაპროგრამო ლიტერატურა მოსწავლეებს მაინც ექნებათ განსახილველი. ამ დაგეგმილ ცვლილებებს, რომლებიც სავარაუდოდ მხოლოდ მომავალ წელს იქნება ხელშესახები, საჯარო სკოლების ხელმძღვანელები უკვე ელიან, რადგან წელს მათ მოსწავლეებთან ერთად ვაუჩერებაც დაკარგეს, რის გამოც, სკოლების ბიუჯეტიც შემცირდა. ■

მეთორმეტე კლასელებმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართულ პროგრამაში ისეთი ნაწარმოებები აღმოაჩინეს, რომლებიც სკოლაში არ გაუვლიათ, ან კლასებში საკითხავ ლიტერატურად ჰქონდათ მითითებული.



მოხარებალის უფლებები

სასურსათო ფილავა

საქართველში სურსათის – ქაჩაში თუ პრესტიჟული სპეციალური, მნიშვნელოვან პრემიაზე, მის ხარისხიანობას განსაზღვრავს მისი გარემოთი განსაზღვრავს, სურსათის ვარგისიანობა საკონტროლო არა კონტროლირება, >>

ნინო რობაქიძე



თბილისის ცენტრალური ბაზარი

1 ივნისს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა ეროვნული სამსახური ახალ ხელმძღვანელს მაია მეტრეველს ჩააბარეს. „ეს სამსახური უმნიშვნელოვანესია ევროინტეგრაციის კუთხით და იმედი, რომ ამ ნაწილში არსებული პრობლემები სწრაფად მოგვარდება“. – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეციანი. გაჩნდა იმედი, რომ ეს საკადრო სიახლე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ სამსახურში რეალური ცვლილებების დასაწყისი იქნებოდა. თუმცა ამ ეტაპზე, როგორც მაია მეტრეველი აცხადებს, სამსახური მხოლოდ მზადების პროცესშია. აღმასრულებელი ორგანო პარლამენტის გადაწყვეტილებას ელოდება და იმ დროისთვის, როცა გაირკვევა, რომ 2006 წელს მიღებული კანონი, „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, მართლაც შევა ძალაში, უკვე მზად იქნება დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

თავის დროზე ეს კანონი მიიღეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რომელიც სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებასაც გულისხმობდა. მიზანი ევროპულ სავაჭრო სივრცესთან

დაახლოება იყო. ნესით, პრესტიჟული ევრობაზარი, თავისი მომხმარებელთა მრავალრიცხოვანი არმიით, ევროინტეგრაციის მოსურნე ქვეყნისათვის პირდაპირ მისწრება უნდა ყოფილიყო. მაშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნული სამსახურიც შეიქმნა, რომლის უშუალო ფუნქცია სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება იყო.

თუმცა, კანონის მოქმედება მიღებისთანავე შეჩერდა. პირველ მიზეზად საქართველოში სურსათის უვნებლობის შესამოწმებლად საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობა დასახელდა. გაირკვა ისიც, რომ ახლად შექმნილი შესაბამისი სამსახური, არც ტექნიკური ბაზისა და არც კადრების კვალიფიკაციის თვალსაზრისით, მზად არ იყო რთული მაკონტროლებელი ფუნქციის განსახორციელებლად; არსებობდა იმის საშიშროებაც, რომ მაკონტროლებელი ორგანოს შექმნა და მის ხელში ძალიან ბევრი ქმედითი სადამსჯელო ბერკეტის თავმოყრა ამ სფეროში კორუფციას გაზრდიდა.

ხელისუფლებამ კანონის ასამოქმედებლად საჭირო ინფრასტრუქტურის მომზადებისა და სურსათის უვნებლო-

ბის სამსახურის უკეთ გამართვისთვის 2010 წლამდე ტაიმაუტი აიღო. 2010 წლამდე შეიდი თველა რჩება, მაგრამ სამსახურის უფროსის შეცვლის გარდა, დასახული მიზნების განსახორციელებლად თითქმის არაფერი გაკეთებულა. საქართველოს მთავრობაში ერთმნიშვნელოვანი აზრი არც იმის თაობაზე არსებობს, საერთოდ ამოქმედება თუ არა კანონი, და საბოლოოდ გაეხსნება თუ არა გზა ქართულ პროდუქციას ევროპულ ბაზარზე.

თუ გადავხედავთ ევროპაში ქართული პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებლებს 2006 წლამდე და 2006 წლის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ მაჩვენებელი შესამჩნევად არ შეცვლილა. დღესაც საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობები ძალიან ერთფეროვანია. ევროპაში გატანილი ქართული პროდუქციის ბრუნვის მოცულობა კი – ძალიან მცირე. ეს მაშინ, როცა სხვა არანაერთი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველო 14 სხვა ქვეყანასთან ერთად ევროკავშირის განსაკუთრებული სატარიფო შეღავათებით სარგებლობს – ქართველ მენარმეებს ევროპულ ბაზარზე 7 000-ზე მეტი დასახელების პროდუქტის ნულოვანი ტარიფით შეტანის უფლება აქვთ. აღნიშნული შეღავათები 2008 წლის ბოლოს ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა. თუმცა, ევრობაზარი ქართველი მენარმეებისთვის კვლავ დახურული რჩება. რეალურად, ევროკავშირში საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებისას ქართველ მენარმეებს თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას უქმნის არასატარიფო ბარიერები.

არასატარიფო ბარიერები ის ტექნიკური, სანიტარული თუ ფიტოსანიტარული სტანდარტებია, რომლებსაც პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე შესაღწევად უნდა აკმაყოფილებდეს, და რაც საბოლოო ჯამში პროდუქტის ჯანმრთელობისთვის უვნებლობას განსაზღვრავს. ევროპულ ქვეყნებში, ტრადიციულად, პროდუქციის ასეთი დონის კონტროლს სახელმწიფო ახორციელებს.

სწორედ ამ სეგმენტში ვაწყდებით ევროინტეგრაციის მიზნებსა და არსებულ რეალობას შორის მკვეთრ კონ-

ფოტო: ნინო რობაქიძე

ტრასტს. ჩვენთან რომ სახელმწიფო კონტროლი არსებობდეს, მეტროს ამო-სასვლელში, მზის გულზე ძეხვი არ გაიყიდებოდა, სუპერმარკეტში ძეხვის ყიდვის კი არავის შეეშინებოდა. უფრო გლობალურად კი, ქართველი მენარმეები ევროკავშირის ქვეყნების მენარმეებთან თანაბარ პირობებში იქნებოდნენ და ევრობაზრისკენ გზა ხსნილი ექნებოდათ.

დღეს ევროკავშირში პროდუქციის გატანის მსურველი ქართული წარმოებები („ნატახტარი“, „ყაზბეგი“) საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას თავადვე ცდილობენ; პროდუქტს საკუთარ ლაბორატორიებში ამოწმებენ და ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატების მოსაპოვებლადაც ზრუნავენ. ამიტომ კანონის ამოქმედების შემთხვევაში, მათ ევრო-ხარისხის მისაღწევად მცირედი დამატებითი დანახარჯების გაღება მოუწევთ. სასურსათო პროდუქტის უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შემდეგ კი სარგებელი გაცილებით გაიზრდება – პროდუქციის ექსპორტს ევროპის ბაზარზე უფრო მარტივად შეძლებენ.

თუმცა კანონი მხოლოდ იმ მსხვილ მენარმეებს არ ეხება, რომლებიც საკუთარ პროდუქციას საექსპორტოდ ამზადებენ. ცვლილებები, სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შემთხვევაში, საცხოვრებელს, რესტორნებს, სწრაფი კვების ობიექტებსაც შეეხებათ. მაგალითად, თბილისში საკონდიტრო ნაწარმით ცნობილი „ბელას ტორტების“ მალაზიათა ქსელს სერიოზული ფინანსური დანახარჯის გაღება მოუწევს იმისათვის, რომ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის კრიტერიუმები დააკმაყოფილოს. მცირე წარმოებები, გაზრდილი დანახარჯების სანაცვლოდ, სავარაუდოდ, საკუთარ პროდუქციაზე ფასს გაზრდიან, რაც საბოლოო ჯამში, კონკურენტულ გარემოში, შესაძლოა, მათი დახურვის მიზეზი გახდეს.

გამოდის, რომ მენარმეების ნაწილი დაინტერესებულია კანონის ამოქმედებით, ნაწილი კი იძულებული იქნება, უბრალოდ, დაემორჩილოს კანონს.

სურსათის მცირე საწარმოების უმეტესობა ჯერ აღწერილიც კი არ არის. განსაკუთრებით რთულია იმ საწარმოებზე რაიმე ინფორმაციის მოძიება, რომლებიც საკუთარი პროდუქტის გატანას ექსპორტზე ისედაც არ გეგმავენ, მაგრამ საქართველოს ბაზარს ფრიად საეჭვო წარმოშობის სურსათით აქტიურად ამარაგებენ.

2010 წლიდან კანონის ამოქმედების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებული იქნება, შეამოწმოს სურსათის წარმოების, შეფუთვისა და დისტრიბუციის ადგილები, დადგინდეს წესით აილოს ნიმუშები და გამოცადოს სპეციალურ ლაბორატორიებში, შეამოწმოს დოკუმენტური მასალები. მსგავსი ღონისძიებები უნდა იყოს იმის გარანტი, რომ ბაზარზე მხოლოდ მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პროდუქტი მოხვდება.

მომხმარებლის ჯანმრთელობის გარანტიად ევროკავშირში მოქმედებს სპეციალური უნივერსალური კონტროლის სისტემა სურსათის უვნებლობის შესაფასებლად – „საფრთხის ანალიზი და კრიტიკული კონტროლის პუნქტები“ (Hazard Analysis and Critical Control Points - HACCP). ამ რთული მექანიზმის მთავარი დანიშნულებაა სურსათის წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა საფეხურზე არსებული საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა და მათი გაუვნებლყოფა. ევროკავშირის ბაზარზე ამ სისტემის

მეშვეობით სასურსათო პროდუქციის იმპორტიც მკაცრად რეგულირდება.

ვიდრე კანონის ამოქმედების საკითხი ღიადაა, არც ის არის ცნობილი, როდის ამოქმედდება ეს სისტემა საქართველოში. მთავრობა ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა, რა ჯობია – ქართულ საექსპორტო წარმოებას გაეხსნას გზა ევრობაზარზე, თუ ქვეყანაში სწრაფად განვითარდეს მცირე ბიზნესი, რასაც კანონის ამოქმედებამ, შესაძლოა, დაბრკოლება შეუქმნას.

ამასობაში ქართველი მომხმარებლის ინტერესების დაცვა მხოლოდ მენარმეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. რესტორანს, რომელშიც რაიმე კერძი მოგნამლავთ, შეგიძლიათ ბოიკოტი გამოუცხადოთ და მეორედ აღარ ესტუმროთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი გადარჩით. სამართლიანობის აღდგენის სხვა მექანიზმი ჯერჯერობით არ არსებობს.

აღნიშნულმა პრობლემამ ცოტა ხნის წინ, „ლალიდის წყლებისა“ და კომპანია „ყაზბეგის“ დავის დროს იჩინა თავი, როდესაც „ლალიდის წყლებმა“ „ყაზბეგი“ ქიმიური შემადგენლობის მქონე ლიმონათების წარმოებაში დაადანაშაულა. გოგი თოფაძემ ბრალდება უარყო. თუმცა, რადგან არც „ლალიდის წყლებს“ და არც „ყაზბეგს“ ხარისხის სახელმწიფო კონტროლის დასკვნა არ აქვთ, ბრალდებების დასაბუთება შეუძლებელია.

12-22 მაისს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ინსპექტორებმა სპეციალური სწავლება გაიარეს „რისკზე დაფუძნებული სურსათის ინსპექტირების“ თემაზე. ტრენინგი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში ჩატარდა და მას საერთაშორისო ექსპერტი უძღვებოდა. თუმცა, კანონის ამოქმედების შემთხვევაში, მხოლოდ მსგავსი ტიპის ტრენინგები ვერ იქნება მისი თანმიმდევრული შესრულების გარანტი. არც სოფლის მეურნეობის მინისტრი და არც სურსათის უვნებლობის სამსახურის ხელმძღვანელი არ ასახელებენ იმ ნაბიჯებისა და პროგრამების თანმიმდევრობას, რაც კანონისთვის ნიადაგის მოსამზადებლად საჭირო. დღესაც, კანონის მიღებიდან ოთხი წლის შემდეგ, სურსათის უვნებლობის სფეროში ძირითადად არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები აქტიურობენ. საქართველოს მთავრობა კი კვლავაც დილემის წინაშე დგას. **□**



■ თბილისის ცენტრალური ბაზარი

მსირა ნარმოვაბი, ბაზრდელი დანახარჯების სანაცვლოდ, საკუთარ პროდუქციაზე ფასს გაზრდიან, რაც საბოლოო ჯამში, კონკურენტულ გარემოში, შესაძლოა, მათი დახურვის მიზეზი გახდეს.

გარემო

შავი ზღვა ისევ შავია

ახარ საკაროტსო სკოლს ბათუმი ისევ დაბინძურებული შავი ზღვით შეხვდება. >>

ნინო კახიძე



ფოტო REUTERS / სპინსენი

წლების განმავლობაში შავი ზღვის დაბინძურების მთავარი მიზეზი კანალიზაციის მოუწესრიგებელი სისტემა და პლასტიკური დამონტაჟებული კოლექტორებიდან ზღვაში ჩამავალი ჭუჭყიანი წყლები იყო.

ბათუმის მერიის მონაცემებით, შავ ზღვაში ქალაქიდან დღე-ღამეში 130-150 ათასი კუბური მეტრი კანალიზაციის წყალი იღვრება, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ფლორა და ფაუნას“ მტკიცებით კი – გაცილებით მეტი. როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარე, არჩილ გუჩმაანიძე ამბობს, ბათუმში დაახლოებით 26 ათასი ოჯახი ცხოვრობს. მხოლოდ ერთი ოჯახიდან 24 საათში ზღვაში მიწიშუმ 10 ლიტრი კანალიზაციის წყალი ჩადინება. აქედან გამომდინარე, შავ ზღვას დღე-ღამეში, სულ ცოტა, 260 ათასი კუბური მეტრი ჭუჭყიანი წყლები უნდა უერთდებოდეს.

ზღვისპირა ქალაქების უმრავლესობაში კანალიზაცია საბოლოოდ მანც ზღვაში ჩადინება, მაგრამ დაბინძურებული წყ-

ლები განმდის რამდენიმე ეტაპს გადის. ფეკალური მასა ჯერ სპეციალურ აუზებში თავსდება, სადაც ჭუჭყიანი წყალი ილექება და იქვე იქლორება. ბოლოს კი წყალი დიატომებისაგან (დიატომა წყალმცენარეა, რომელიც წყლიდან აზოტოვან შენაერთებს იწოვს) დამზადებულ მილებში ტარდება და ბიოლოგიურად ინმინდება. მხოლოდ ამ სამი ეტაპის გავლის შემდეგ უერთდება წყალი ზღვას.

ბათუმის ზღვის გამწმენდი შენობა-ნაგებობა კი, რომელიც 60-იანი წლების ბოლოს დაბა ადლიაში აშენდა, დღეს მაღალმთიანი აჭარისა და ეკომიგრანტების თავშესაფრადაა ქცეული. ისინი ამბობენ, რომ წლების წინ იქ ჩასახლების უფლება ასლან აბაშიძემ მისცათ, იმ მოტივით, რომ ობიექტს მანც არაფერში იყენებდნენ. შესაბამისად, 7 ჰექტარზე განლაგებული გამწმენდი ნაგებობა დღეს მიტოვებული, ნახევრად დანგრეული და ამორტიზირებულია. აუზები, სადაც წლების წინ წყალი ინმინდებოდა, ახლა ფუნქციონირებულა

და მდორე წყლითაა სავსე.

ტრანსფორმატორების ყოფილ შენობაში ახლა დავითაძეების ოჯახის ბოსელია მოწყობილი. ისინი ორ სულ საქონელს და შინაურ ფრინველებს უვლიან. გამწმენდ აუზებთან ახლოს კი მინას ამუშავებენ და მოსავალს იღებენ.

დავითაძეების გარდა, გამწმენდ ნაგებობას საცხოვრებლად კიდევ რვა ოჯახი იყენებს. თუმცა, მათი თქმით, ეს შენობები უკვე თავშესაფრის ფუნქციასაც ვეღარ ასრულებს. „როცა წვიმს, ოთახშიც გვწვიმს“, – ამბობს ქეთევან შაშიკაძე.

ბათუმის გარემოს დაცვის დეპარტამენტის 2004 წლის კვლევის მიხედვით, ზღვაში ჩალვრილი საკანალიზაციო წყლები მხოლოდ მექანიკურად – დალექვის ხარჯზე ინმინდებოდა, რაც გამწმენდი ნაგებობების ეფექტურობის მხოლოდ 16 პროცენტი იყო. „გუბურებში კანალიზაციის წყალი ბუნებრივად ილექებოდა. სწორედ ამის საშუალებით ითვლებოდა 16-პროცენტის ეფექტურობა, ეს კი არაფერს

ნიშნავს“, – განმარტავს „ფლორა და ფაუნას“ თავმჯდომარე არჩილ გუჩმაინიძე.

ამ რეალობის მიუხედავად, გარემოს დაცვის სამმართველოს ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს ინტეგრირების სამსახურში მაინც ამტკიცებენ, რომ გამწმენდი ნაგებობა თავის ფუნქციას ასრულებს და ზღვას სუფთა წყალი უერთდება. სამსახურის უფროსის, ნოდარ კონცელიძის თქმით, ზღვის სისუფთავეს წყლის სინჯების პასუხებიც ადასტურებს. ის ამბობს, რომ გარემოს დაცვის სამმართველო, უკვე ერთი წელია, საბანაო წყლის ბიოლოგიურ და ქიმიურ ანალიზს კვირაში სამჯერ ატარებს. კვლევა სანაპიროზეც ტარდება და მისგან მოშორებითაც. აღებული სინჯების მიხედვით, ზღვა ყველგან ერთნაირად სუფთაა.

თუმცა, არასამთავრობო სექტორი დარწმუნებულია, რომ ქალაქის გარემოს დაცვის სამმართველო რეალურ სურათს მაღავს. არ შეიძლება ზღვის წყალი სუფთა იყოს იქ, სადაც ზღვაში კანალიზაცია უტილიზაციის გარეშე ჩაედინება. „ამას სინჯი არ უნდა, ისედაც ნათლად ჩანს ყველაფერი. სანაპიროზე, კოლექტორთან ახლოს, შემანუხებელი სუნის გამო, ვერ გაჩერდები“, – აცხადებს არჩილ გუჩმაინიძე.

შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები კი ამბობენ, რომ ადგილობრივი მთავრობა მათ აიძულებს, წყლის უხარისხობის შესახებ ინფორმაცია დამალონ. „უხერხულ ვითარებაში გვაყენებენ, რომ არ ვთქვათ ის, რაც სინამდვილეშია“, – აცხადებს რეზო გორაძე. „სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, შედეგები ცუდიც რომ იყოს, არ ვამბობთ, იმიტომ რომ ტურისტებს ვეღარ მოვიზიდავთ და, შესაბამისად, შემოსავალიც არ გვექნება“, – დასძენს ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი რეზო დიასამიძე.

როდესაც 2006 წელს ბათუმის გარემოს დაცვის სამმართველომ ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი ჩაატარა, „ფლორა და ფაუნას“ ახლანდელი თავმჯდომარე, არჩილ გუჩმაინიძე სამმართველოში მუშაობდა. მაშინ სინჯები ბათუმი-ადლიის სანაპიროს აკვატორიაში 14 სადგურზე აიღეს და შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის ლაბორატორიაში გაანალიზეს. პასუხებმა აჩვენა, რომ წყლის დაბინძურების მაჩვენებელი დასაშვებ კონცენტრაციას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. თუმცა, რეაგირება ამ ამბავს არ მოჰყოლია. 2006 წელს ჩატარებული მონიტორინგიდან სამი წლის თავზე ბათუმის ზღვაში წყლის მდგომარეობა არ შეცვლილა. ზღვის გასაწმენდად დღემდე არაფერი გაკეთებულა.

ზღვის სისუფთავეს სპეციალისტები იმ სახეობის თევზებზე დაკვირვებითაც ამტკიცებენ, რომელთაც ბიოლოგიურ ინდიკატორებს უწოდებენ: თუ ზღვაში ინდიკატორების გარკვეული სახეობები ვეღარ მრავლდება, ესე იგი, წყალი დაბინძურებულია.

ბიოლოგიური ინდიკატორი, სარგანი, უკვე 20 წელია, ბათუმის სანაპიროზე აღარ ბინადრობს. გადაშენების პირასაა ორსაგდულიანი მოლუსკებიც. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრის თანამშრომლებს ცარიელი ნიჟარები – ანუ უკვე მკვდარი მოლუსკები მასობრივად ხვდებათ. ორსაგდულიანი მოლუსკები დაბინძურებული ზღვის წყლის გამო ღვიძლის ციროზით ავადდებიან და იღუპებიან.

ეკოლოგები დელფინების გადაშენების საფრთხესაც ხედავენ. მარტიდან მოყოლებული ზღვამ ზურგის ტვინის სტრუქტოკოკული ინფექციით დაავადებული 11 დელფინი გამოირიყა. ასევე „ფლორა და ფაუნას“ მონაცემებით, შარშან აჭარის სანაპიროზე ზღვამ 70 დელფინი გამოირიყა. დელფინების დაცვის კონვენციის ACCO-BAMS-ის ექსპერტების ალექსეი ბირკუმისა და სერგეი კრივობიჩინის გამოკვლევით, ძუძუმწოვრების დაავადებას ჭუჭყიანი წყალი იწვევს.



■ ზღვის წყლის ბაიომონიტორინგის მუშაობა-ნაგავიძა, ალაბა ადლია

შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრის მუშაობის თანამშრომლები ამბობენ, რომ ადგილობრივი მთავრობა მათ აიძულებს, წყლის უხარისხობის შესახებ ინფორმაცია დამალონ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ველური ბუნების დაცვის საზოგადოების“ პრეზიდენტი იზოლდა მაჭუტაძის თქმით, გამორიყული დელფინი სხვა პრობლემებს აჩენს: დაავადების გადადების შიშით, გახრწნილ გვამს არავენ ენება და ძუძუმწოვრები ისევ ზღვას მიაქვს.

ეკოლოგ რეზო გორაძის თქმით, კეფალი ის თევზია, რომლისთვისაც ფეკალიებით დაბინძურებული წყალი სასურველი გარემოა, რადგან ეს სახეობა ორგანული ნაერთებით იკვებება. ამიტომ ისინი ბათუმშიც ძირითადად კანალიზაციის კოლექტორებთან მრავლდებიან. „ფლორა და ფაუნას“ დაკვირვებით, კეფალი ბათუმის სანაპიროზე ობელისკის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველაზე ინტენსიურად მრავლდება, რაც, მათივე თქმით, ადასტურებს იმას, რომ აქ წყლის დაბინძურების მაჩვენებელი მაღალია. ბათუმის გარემოს დაცვის სამმართველოს 2006 წლის კვლევის მიხედვით კი, დაბინძურების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კოლექტორებთანაა, კონკრეტულად კი: ობელისკთან, მე-10 გემმისადგომთან, საზღვაო სადგურთან, ე.წ. „პიშევიკებთან“, სასტუმრო „მედეასთან“ და კიდევ ცხრა სხვა ადგილას.

ბათუმის ხელმძღვანელობა თან უარყოფს ზღვის წყლის მკვეთრი დაბინძურების ფაქტს, თან ახალი გამწმენდი ნაგებობის აშენებაზე ზრუნავს და პროექტში რამდენიმე მილიონ ევროს დებს. ქალაქის მერიის ინფორმაციით, წყლის გამწმენდი ობიექტების რეაბილიტაცია ახლო მომავალში უნდა დაიწყოს. მერიის ოფიციალური განმარტებით, საპროექტო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ავსტრიული კომპანია Posch & Partners Hydro Ingenieure ახორციელებს. მათივე ინფორმაციით, ავსტრიელი სპეციალისტები ამ ეტაპზე საძიებო სამუშაოებსა და ტოპოგრაფიულ გადაღებებს აწარმოებენ. ბათუმის მერიაში ამბობენ, რომ ორ წელიწადში გამწმენდი ობიექტები უკვე მზად უნდა იყოს და 2011 წლისათვის ბათუმს ყველაზე გამართული ფეკალური მასის გადამამუშავებელი შენობა უნდა ჰქონდეს. „ვეფიქრობთ, ზაფხულში საპროექტო სამუშაოები დასრულდება და პროექტი დამტკიცდება, რის შემდეგაც ტენდერში იმ გამარჯვებულ კომპანიას გამოვავლენთ, რომელიც გამწმენდი შენობა-ნაგებობის განახლებას დაიწყებს“, – ამბობს ქალაქ ბათუმის მერის მრჩეველი საინვესტიციო პროგრამების დარგში ზაურ ფატლაძე. მისივე ცნობით, შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია 13-დან 15 მილიონ ევრომდე დაჯდება. ■



მედიცინა

გვამური ტრანსპლანტაცია

ვირეა კანონმდებლები და მეცნიერები ეპოპენ, აქამინები უპერეოპ ელორებინ ორგანოთა ტრანსპლანტაციას, >>

აპა ჭითანავა



მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

საქართველოში თირკმლის მწვავე უკმარისობა ათასამდე ადამიანს აწუხებს. აქედან 850-ზე მეტი პაციენტი კვირაში მინიმუმ სამჯერ სისხლის გასაწმენდად საავადმყოფოს პალატაში 4 საათს ატარებს. თითოეული მათგანისთვის ეს ხანგრძლივი პროცედურა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მათგან 500-ზე მეტი თირკმლის გადანერგვას უპრობლემოდ გადაიტანდა და სრულფასოვან ცხოვრებას დაიწყო, თუმცა საქართველოში შარშან მხოლოდ შვიდი ასეთი ოპერაცია გაკეთდა.

მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 100 000-ზე მეტი ორგანო და ქსოვილი ინერგება. სალი ორგანოებისა და ქსოვილების დონორები კი უფრო ხშირად გარდაცვლილი ადამიანები არიან.

ტრანსპლანტაციას საქართველოში 2000 წელს მიღებული კანონი არეგულირებს, რომლის მიხედვითაც, ორგანოს ცოცხალი დონორი შეიძლება იყოს პაციენტის მეუღლე ან გენეტიკური ნათესავი. კანონი გვამურ დონაციას არ კრძალავს. მიუხედავად ამისა, ჩვენთან ტრანსპლანტაციის ოპერაცია, გარდაცვლილის ორგანოების გამოყენებით, დღემდე არასდროს ჩატარებულა. მედიცინის ამ დარგის განვითარებას კანონის სიმკაცრე, მართლმადიდებლურ

ეკლესიასთან შეუთანხმებლობა და საზოგადოებაში არსებული რელიგიურ-ეთიკური დილემა აფერხებს.

„ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მოსახლეობა არ არის ფსიქოლოგიურად მზად დათანხმდეს, ერთი მხრივ, თავისი გარდაცვლილი ახლობლის ორგანოს გადანერგვას, ხოლო მეორე მხრივ, უჭირს, გარდაცვლილად ჩათვალოს ადამიანი, რომლის ტვინმაც მუშაობა შეწყვიტა, მაგრამ გული მაინც ცემს“, – აღნიშნავს საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი გია თომაძე.

უმთავრესი საკამათო საკითხი, რაც გვამურ ტრანსპლანტაციას აფერხებს, სწორედ გარდაცვალების კრიტერიუმის განსაზღვრაა.

ექიმთა განმარტებით, ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი ძირითადი ორგანო ტვინია. თუ ტვინი წყვეტს მუშაობას, მაშინაც კი, როცა გულისცემა შენარჩუნებულია და ძარღვებში სისხლი ჯერ კიდევ მოძრაობს, ადამიანი გარდაცვლილად ითვლება. თავის ტვინის სიკვდილის შემდეგ გულისცემა და სუნთქვა აპარატის გამოყენებითაც შეიძლება შენარჩუნდეს.

მართლმადიდებლური ეკლესია კი მიიჩნევს, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ ითვლება გარდაცვლილად, როდეს

საც გული ჩერდება, რადგან სწორედ ამ დროს ტოვებს სული სხეულს.

ცნება „თავის ტვინის სიკვდილი“ საქართველოს კანონმდებლობაში პირველად 1997 წელს მიღებულ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონშია ნახსენები. მაგრამ მაშინ ამას საზოგადოების მხრიდან უარყოფითი გამოხმაურება არ მოჰყოლია, რადგან ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული ადამიანის გარდაცვალების დასადგენად საჭირო კრიტერიუმები. 2000 წელს კი ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის მონაწილეობით ჩამოყალიბდა თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმები, რომლებიც ბიოეთიკის ეროვნულმა საბჭომაც დაადასტურა.

ამ კრიტერიუმების მიხედვით, სიკვდილის დიაგნოზის დასასმელად საჭიროა: 1. კლინიკური გასინჯვა (რეფლექსების არარსებობა); 2. დიაგნოზის დადასტურება მინიმუმ 12-საათიანი ინტერვალით ორჯერ, სხვადასხვა ექიმის მიერ; 3. დიაგნოზის დადასტურება ერთ-ერთი ინსტრუმენტული მეთოდით (მაგალითად, ელექტროენცეფალოგრაფიით).

საზოგადოებისა და ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობა, ზოგადად, არც ამ კრიტერიუმების გამოცხადებას მოჰყოლია. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 2006 წელს საქართველოს ბიოეთიკის ეროვნულ საბჭოში განსახილველად შევიდა უროლოგიის ეროვნული ცენტრისა და ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის ერთობლივი პროექტი, რომელიც გვამური დონაციის დასაწყებად საჭირო ღონისძიებებს მოიცავდა.

ორგანოს დონაციის შესახებ ერთ-ერთი ღონისძიება ე.წ. ნაგულისხმევ თანხმობას ითვალისწინებდა, რომლის მიხედვითაც, გარდაცვალების შემდეგ ნებისმიერი ადამიანი დონორად ითვლება, თუ მას სიცოცხლეში არ დაუწერია უარი საკუთარი ორგანოების დონაციის შესახებ. ასეთი პრინციპი მოქმედებს დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგრამ ტრანსპლანტოლოგთა ინიციატივას არც ეროვნულმა საბჭომ და არც პარლამენტმა, ეთიკური მოსაზრებით, მხარი არ დაუჭირა.

საზოგადოება

მეორე პუნქტი, რომელიც საბჭომ დაინუნა, ოჯახის არაპირდაპირ ფინანსურ წახალისებას ეხებოდა. მაგალითად, გვამური დონორის ოჯახის ნაწილობრივ გათავისუფლებას დაკრძალვის ხარჯებისაგან. ამ ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტი დაფარავდა. ბიოეთიკის საბჭომ პროექტს მხარი არ დაუჭირა.

საბჭოს გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია. თავმჯდომარის, გივი ჯავაშვილის თქმით, კანონი იმისთვის იქმნება, რომ ზენოლა გამოირიცხოს. „როცა ერთი ადამიანი მეორე ადამიანის მძიმე ფინანსური მდგომარეობით სარგებლობს და, ორგანოს სანაცვლოდ, ფულს სთავაზობს, ამით მასზე ზენოლას ახდენს, – განმარტავს ჯავაშვილი, – ორგანოებით ვაჭრობის რეალური საფრთხე არსებობს, და ამას ყველა ეთანხმება“.

ამ საფრთხის არსებობას ადასტურებს კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი გია თომამაძეც. მისი აზრით, ტრანსპლანტაციის შესახებ კანონი, რომელიც, ნათესავის გარდა, სხვა ადამიანს ზღუდავს, უანგაროდ გასცეს თავისი ორგანო, რეალურად ამ დარგის განვითარებას აფერხებს, მაგრამ, „მეორე მხრივ, ეს შეზღუდვა ხელს უშლის ორგანოებით ვაჭრობას. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ნახევარი მოვალეა და ნახევარიც მველავ, ადვილი შესაძლებელია, რომ ადამიანებმა ორგანოების ჩაბარება მატერიალური დაინტერესების გამო დაიწყონ“.

თუმცა, გია თომამაძე აცხადებს, რომ გვამური ტრანსპლანტაციის დაწყება მნიშვნელოვანია და საამისოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც არსებობს. საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ოთარ თოიძე კი დასძენს, რომ ამ მხრივ, „კანონიც სრულყოფილია და საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს“. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია, სიცოცხლეშივე დაწეროს თანხმობა გარდაცვალების შემდეგ მისი ორგანოების გადანერგვის შესახებ. თუმცა, საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციაში მხოლოდ ასი ადამიანის ხელმოწერა ინახება. ისინი მზად არიან, სიკვდილის შემდეგ საკუთარი ორგანოები გვამური დონაციისთვის გასცენ, თუკი ეს პროცესი საქართველოშიც დაიძვრება. გია თომამაძის ცნობით, ამ ასი ადამიანიდან უმეტესობას საექიმო წრეებთან აქვს შეხება და გვამური ტრანსპლანტაციის შესახებ პირადი წყაროებით სმენიათ.

2007 წელს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციამ სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ მართლმადიდებელი მრევლი ცოცხალი დონაციის მიმართ პოზიტიურად იყო განწყობილი; ხოლო გარდაცვლილი ახლობლის ორგანოს გადანერგვაზე 500 რესპონდენტიდან უმეტესობა უარს ამბობდა. ნაწილი თავშეკავების მიზეზად გარდაცვლილისთვის „დამატებითი ტრავმის“ მიყენებას ასახელებდა, ნაწილი კი – „რელიგიურ მოსაზრებას“, ან „სხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს“ იმიზეზებდა.

რელიგიური საკითხის გასარკვევად, ეკლესიის წარმომადგენლებთან ხანგრძლივი დისკუსიები გაიმართა. მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე), რომელიც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორიცაა და ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს წევრიც, მიიჩნევს, რომ გვამური ტრანსპლანტაციისგან „თავი აუცილებლად უნდა შევიკავოთ“. თუმცა დასძენს, რომ ეკლესია კატეგორიულობისაგან შორსაა და მხოლოდ რეკომენდაციებს იძლევა. „ორგანოთა გადანერგვას ჩვენ არ ვენიანაღმდეგებით და კარგად გვაქვს გააზრებული გადარჩენილი სიცოცხლის მნიშვნელობა, – ამბობს მამა ადამი, – მაგრამ ექიმები ხშირად მხოლოდ რეციპიენტის სიცოცხლეს წარმოაჩენენ, როგორც ყველაზე ფასეულს, თითქოს დონორის სიცოცხლე ნაკლებად ფასეული იყოს. რაც შეეხება, ზოგადად, ორგანოთა გადანერგვას, ამ დარგმა მოიტანა მედიცინის კრიმინალიზაცია და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა.“

თუმცა, გვამურ დონაციასა და ადამიანის ცნობიერებაზე მის უარყოფით გავლენაზე აზრი ხანდახან სასულიერო პირებს შორისაც იყოფა. ბერი იოაკიმე ბაღდავაძე, რომელიც ტრანსპლანტაციის ასოციაციის შიგნით არსებული ეთიკური კომისიის წევრია, ამბობს, რომ „ექიმებს აბსოლუტურად ემხრობა“ და გვამური ტრანსპლანტაციის სანინაღმდეგოდ „საბაბს ვერ ხედავს“.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ტვინის სიკვდილის დიაგნოზი ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციაში ორჯერ დასვეს. იქ აცხადებენ, რომ ტვინის სიკვდილის დასაფიქსირებლად საჭირო აპარატურა აქვთ, თუმცა აკლიათ ფინანსები, რაც სადონაციო ორგანოს დამუშავებას, მოვლას, გადანერგვის ოპერაციის მომზადებას და ოპერაციის შემდეგ საჭირო მედიკამენტების შეძენას სჭირდება.

საბოლოო ჯამში, თუკი ხარჯებს გადავითვლით, გამოვა, რომ ტრანსპლანტაცია პაციენტსაც და სახელმწიფოსაც გაცილებით უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე, მაგალითად, დიალიზით მკურნალობაა. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, შარშან თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მლნ. 971 ათასი ლარი გამოიყო. წელს სახელმწიფო პროგრამა 15 მლნ. 748 ათას ლარს ითვალისწინებს. ინდივიდუალურად ყოველი პაციენტის მკურნალობა ყოველწლიურად 15 ათასი ლარი ჯდება. თირკმლის გადანერგვა კი პირველი წლის განმავლობაში 20 ათას ლარამდე ღირს, რადგან ამ თანხაში ოპერაციის ხარჯებიც შედის, მაგრამ მეორე წლიდან მკურნალობისთვის საჭირო თანხის რაოდენობა თანდათან კლებულობს და, თუ მდგომარეობა არ კარგდება, ხარჯები 6 ათას ლარამდეც მცირდება.

14 წლის სალომე კუტალაძე დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობს. ის წყალს თითქმის ვერ სვამს. კვირაში თორმეტ საათს საავადმყოფოს პალატაში, სადიალიზო აპარატთან ატარებს. „ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ბევრ წყალს დავლევ და ცუდად გახდომის არ შემეშინდება“, – ამბობს სალომე.

გოგონა ახალი თირკმლის გადანერგვას ყოველდღე ელოდება, ტრანსპლანტოლოგები და მათი ოპონენტები კი ამ დროს ეთიკური დილემების გადაჭრას ცდილობენ. ■

მოსახლეობა არ არის ფსიქოლოგიურად მზად დათანხმდეს, ერთი მხრივ, თავისი გარდასცვლილი ახლობლის ორგანოს გადანერგვას, ხოლო მეორე მხრივ, უჭირს, გარდასცვლილად ჩათვალოს ადამიანი, რომლის გვინააც გუშაობა შეწყვიტა, მაგრამ ბული მიიწეცხავს.




კულტურული მემკვიდრეობა

დაობებული ფიროსმანი

ვირეა ფიროსმანის სახლ-მუზეუმის განკარგულების ქარი დაგეგმვა, მუზეუმში დასრულდა 12 ნახატს ობი გაერსა, >>

სალომე ალანია



ფიროსმანის სახლ-მუზეუმში მირზაანში

ფიროსმანის სახლ-მუზეუმში მირზაანში

მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმს, უკვე თექვსმეტი წელია, არც ელექტროენერგია აქვს, არც – გაზი და არც – წყალი. საგამოფენო სივრცის ვენტილაციას მუზეუმის თანამშრომლები ორპირი განიავებით ახერხებენ. ნესტისგან დამძიმებული ჰაერი მუზეუმში შესვლისთანავე იგრძნობა.

სახლ-მუზეუმში დაცული ფიროსმანის ნამუშევრების დაზიანების მიზეზიც ეს მძიმე პირობები გახდა.

ეროვნული მუზეუმის მხატვარ-რესტავრატორი, ნანა მანაგაძე აცხადებს, რომ ფიროსმანის 14 ნამუშევრიდან 12-ს ობი გაუჩნდა. მან ნახატების დაზიანება პირველად შვიდი წლის წინ შენიშნა, როდესაც მირზაანში ნახატების რეესტრი მიმდინარეობდა.

ეროვნულმა მუზეუმმა კულტურის სამინისტროს ნამუშევრების დაზიანების შესახებ მაშინვე აცნობა, მაგრამ სამინისტრო მათ არ გამოხმაურებია.

„ვიცოდით ამის შესახებ, ისიც ვიცით, რომ ეს ნახატები ერთ დღეში არ დაზიანებულა, მაგრამ სამინისტრომ ვერაფრით მოახერხა თანხის გამოყოფა“, – განმარტავს კულტურის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ინგა ქარაია.

ნამუშევრებს მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება ორი წლის წინ შენიშნეს, როდესაც ტილოების ნაწილი სილნალის მუზეუმში დროებით გამოსაფენად გადაჰქონდათ.

სამი ნახატი („მალაკნების ქეიფი“, „მუშა სოსო“ და „კალო“) იმდენად დაზიანებული იყო, რომ სარესტავრაციოდ თბილისში ჩაიტანეს. აღმოჩნდა, რომ

სამივე ტილოს უკანა ნაწილი ობით იყო დაფარული. „ნახატების უკანა მხარეს ობი მწვანედ ისე ბიბინებდა, როგორც ჯეჯილი“, – ამბობს ნანა მანაგაძე.

„ორი კვირის წინ ვიყავი მირზაანში, სადაც ვნახე, რომ მუზეუმის კედლებზე მარლია გამოყოფილი. მუზეუმის დირექციამ არ იცის, რომ ეს სურათები მათ თვალწინ ილუპება. დროთა განმავლობაში კი რესტავრირება შეუძლებელი გახდება და განადგურდება“, – აცხადებს ნანა მანაგაძე.

ნახატების დაზიანების ფაქტს საერთოდ უარყოფს მუზეუმის დირექტორი, ანზორ მაძლარაშვილი: „არავითარი სოკო არ გასჩენია ნამუშევრებს, ეტყობა, ვიღაც არის მუზეუმით დაინტერესებული და უნდათ, რომ წაგვართვან“.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი, ნიკა ვაჩიშვილი კი აცხადებს, რომ სიტუაცია მირზაანში არც იმდენად რთულია. „რა თქმა უნდა, არ არის სახარბიელო მდგომარეობა... მაგრამ არც საგანგაშოა, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის, როგორც სფეროს რეაბილიტაცია დიდი უძრავობის შემდეგ, მხოლოდ ხუთი წლის წინ დაიწყო.“

ობის შესახებ კი ნიკა ვაჩიშვილი ამბობს: „ნამუშევრების მდგომარეობა ისეთივეა, როგორც მუზეუმთა უმეტესობაში... როცა ვლაპარაკობთ სოკოზე, კატასტროფულ პროცესებზე და სხვა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პროცესების შემსწავლელი ლაბორატორიები ჩვენთან ჯერჯერობით არ არსებობს. უმეტესად ნამუშევრების მდგომარეობა ისეთ ადგილებში უარესდება, სადაც, მირზაანისგან განსხვავებით, გარემო პირობების მკვეთრი ცვალებადობაა. მირზაანის საგამოფენო სივრცე კი შედარებით სტაბილურია, ამიტომ მუზეუმში პირველ რიგში აღსადგენთა შორის ვერ მოხვდა და „საკუთარ ჯერს“ დაელოდა.

„ჯერის“ დადგომის შემდეგ, პირველ ეტაპზე, ფიროსმანის ნამუშევრების სრული ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია მოხდა. ნიკა ვაჩიშვილი აცხადებს,

რომ 2005 წლიდან მუზეუმს სადღეღამისო მორიგე პოლიცია იცავს, ჰყავს მეთვალყურეც. შენობას, სადაც ისე წვიმდა, როგორც გარეთ, ახალი სახურავიც აქვს, თანამშრომელთა სახელფასო პრობლემებიც მოწესრიგებულია. ვაჩიშვილის თქმით, ეს ის მინიმუმი იყო, რამაც სააგენტოს საშუალება მისცა, მუზეუმის რეაბილიტაციის მთავარი ეტაპისთვის მომზადებულიყო.

„მთავარი ეტაპი“, რომელიც მუზეუმში შეუქის, გათბობისა და წყლის პრობლემების მოგვარებას გულისხმობს, 2009 წელს დადგა. გეგმის მიხედვით, მირზაანის მუზეუმს დიდი მანძილიდან სპეციალური ხაზით გამოყვანილი ელექტროენერგია ექნება. საგარეუდოდ, ამ დროისთვის, ანუ, როცა საგამოფენო ოთახებში ნათურები აინთება, ოთახების ცივილიზებული მეთოდებით კონდიციონერბაც მოხდება და ნახატებისთვის სოკოს გაჩენის საფრთხეც გამოირიცხება.

მანამდე კი, მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის დირექტორი სოკოს გაჩენის ფაქტს საერთოდ უარყოფს, ვაჩიშვილი კი მხოლოდ მოზომილი შეფასებით შემოიფარგლება, მირზაანში დაცული ყველა ნამუშევრის გამოკვლევა და რესტავრაცია საჭირო. ნიკა ვაჩიშვილის თქმით, რეაბილიტაციის „მთავარი ეტაპის“ დადგომა ყველაზე რთულ მდგომარეობაში მყოფ ტილოების შევლასაც გულისხმობს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება „მათი ექსპონირება მსოფლიოს უდიდეს საგამოფენო სივრცეებში“.


კონკრეტულად რა ტიპის მკურნალობა დასჭირდება ფიროსმანის ნახატებს, ჯერჯერობით უცნობია. უმაღლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიების არარსებობის გამო კი, ქართველი რესტავრატორები, მრავალი წელია, ტილოებს ალერნატიული გზით მკურნალობენ. პირველ რიგში, ცოცხალ ორგანიზმს, ობს ანადგურებენ, შემდეგ ნამუშევრებს უკეთებენ შენამვლას. ამის შემდეგ, რადგანაც არ არსებობს ულტრაიისფერი სხივებით მკურნალობის პირობები, ნახატებს მზის სხივებით შევლიან.

გვისმინეთ

მთელ საქართველოში

უცვლელ სიხშირეზე

106.4



fm

www.106.4.ge





ბაზანიჭვიბუნი საქანიჭვიბუნი ბანკი

ბანკიბიტი ანაბანი,
ჩიბიბიტი ბანიბანი,
ბანიბიტი ბანიბიტი
და ბანი



საქანიჭვიბუნი ბანკი
BANK OF GEORGIA

